

ANTHONY
BURGESS

**ERNEST
HEMINGWAY**

and his World

Tbilisi „Merani“ 1987

**ენტონი
ბერჯესი**

**ერნესტ
კეამინგუეი**

და ვინი საყარო

წიგნი ღიღი ამერიკელი შწერლის — ერნესტ ჰემინგუეის ცხოვრების თავი-
ხებური შატერული მატჩანება, რომელიც, ამასთანავე, უხვად არის ილუსტრი-
რებული სათანადო ფოტოსურათებით. ძალზე საინტერესოდ არის აღწერილი
სახელოვანი შწერლის ცხოვრების გზა, ის გარემო, რომელშიც იქმნებოდა მი-
ხი საუკუთესო ნაწარმოებები და ის ადამიანები, რომლებთანაც მას ურთი-
ერაობა ჰქონდა. ეს წიგნი დაინტერესებს ყველას, ვისაც უყვარს ჰემინ-
გუეის შემოქმედება და ბიოგრაფიული ვანრი.

ინგლისურიდან თარგმნა
ირაკლი კენჭოშვილმა

ერნესტ ჰემინგუეი და მისი სამყარო

ერნესტ ჰემინგუეის ნაწარმოებთა განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით და ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის მაღალი დონით აიხსნება ის გარემოება, რომ მისი ტალანტის „აღმოჩენა“ დიდ ხანს არ გაჭიანურებულა. ოცდაათი წლისაღ არ იყო იგი — მოთხრობების კრებულია და ერთი რომანის ავტორი — როდესაც ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსად და ახალი, ჯერ უვალი გზის მეკლედ გამოაცხადეს. „გზაზე გოლიათი მოაბიჯებს“, — ასეთი იყო კრიტიკოსთა საერთო აზრი. თანდათან ჰემინგუეი მთელი მსოფლიოს მკითხველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა.

არიან დიდი მწერლები, რომლებიც საზოგადოების ყურადღებას არსებითად მხოლოდ თავიანთი ნაწარმოებებით იქცევენ. ჩვენი საუბრის თემას დიდად რომ არ დავშორდეთ, აქვე ვიტყვი, რომ ასეთები არიან, მაგალითად, უილიამ ფოლკნერი და კიდევ უფრო მეტად — ტომას ელიოტი. მაგრამ არიან ისეთი დიდი მწერლებიც, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით, სხვადასხვა პიროვნული თვისებებით არანაკლებ ინტერესს აღძრვენ, ვიდრე მათი ნაწარმოებები. ასეთ შემოქმედთა რიცხვს განეკუთვნება ერნესტ ჰემინგუეი — მოუსვენარი, დაუღვარი, გარკვეულადაც ყურადღების მიმქცველი ადამიანი, რომელიც, წინამდებარე წიგნის ავტორს რომ დავესესხოთ, ყოველთვის იქ იყო, სადაც რაიმე ხდებოდა. მას შესწევდა ძალა დრამატულობა მიენიჭებინა არა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრებისათვის, არამედ საკუთარი ცხოვრება კატასტროფებითა და მშფოთვარე თავგადასავლებით აღსავსე დრამის კანონებისათვის დაემორჩილებინა. იგი ისევე წერდა, როგორც ცხოვრობდა. ეს დაკვირვება მე არ მკუთვნის. ჯეიმზ ჯოისი შენიშნავდა: ჰემინგუეი „შზად არის თვითონ იცხოვროს იმ ცხოვრებით, რომელსაც აღწერს. არასოდეს დაწერდა ასე, მისი ჯან-ღონე ამგვარი ცხოვრების უფლებას რომ არ აძლევდეს“. ჰემინგუეი არ იზიარებდა იმ რომანტიკულ რწმენას, რომ ხელოვნება და ცხოვრება სხვადასხვა გალაკტიკებია, რომლებიც არასოდეს ხვდებიან ერთმანეთს. ძნელად მოიძებნება ჩვენს ღრუში მეორე ისეთი დიდი მწერალი, რომლისთვისაც გზომ უცხო ყოფილიყო ლიტერატურული ასპექტიზმი. სად და ვისთან ერთად არ ვხვდებით მას: ბრძოლის ველზე და პარიზის კაფეებში, ალაქებსა და კორიდაზე, უაიომინგის უდრან ტყეებსა და აფრიკის მწვანე ბორცვებზე, ალყამემორტყმულ მადრიდსა და ოკეანეზე ბინინის კუნძულებთან, ბოქმის წრეში და პარიზის გამათვისუფლებლებთან, კინოვარსკლავებთან და მთევველებთან, მწერალთა კონგრესზე და მეზღვაურთა ბარში. დიდი ნოვატორი მწერლის სახელს ზედ დაერთო მუდამ მოვლენათა შუაგულში მყოფი ბობოქარი პიროვნების პოპულარობა: მისი წიგნი, მისი სახელის ხსენება, მისი ფოტოპორტრეტი ლიტერატურის როგორც გულწრფელ თაყვანისმცემელთა, ასევე მოდას აყოლილთა ანტურაჟად იქცა. ჰემინგუეიმ მილიონობით ადამიანთა ყურადღება, ხიჯარული და სიმპათია დაიმსახურა. ექსტერიერში — ცხოვრება, სასურველია ფიესტის, დღე-

სასწაულის კანონების შესაბამისად; ინტერიერში — ცხოვრების მთავარი მიზანი — წერა, შემოქმედება. ასე წარმოდგება დროის პერსპექტივიდან ჰემინგუეის, როგორც მწერლისა და პიროვნების, პორტრეტის განმსაზღვრელი კონტურები.

აღამიანთა ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას, რაც შეიძლება მეტი იცოდეს მის თვალთახედვაში მოხვედრილ გამორჩეულ პიროვნებაზე, ხოლო ბევრისათვის — ერთგვარ კერპზე, ნაწილობრივ თვით ჰემინგუეი აკმაყოფილებდა, როგორც ისტორიულ მოვლენათა სცენაზე ხშირი გამოჩენით, ასევე, მისი ნაწარმოებების მეტ-ნაკლებად ავტობიოგრაფიული ხასიათით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჰემინგუეი თავისი ქმნილებების შინაარს საკუთარი ცხოვრებიდან იღებდა, მაინც ყოველთვის ძნელია, უფრო ხშირად — შეუძლებელი, პირწმინდად განაცალკევო ნაწარმოებში ავტობიოგრაფიული საწყისი იმისაგან, რასაც გამოწვავსა თუ შემოქმედების ფანტაზიას უწოდებენ. აი რატომ არის, რომ კრიტიკოს უარესად სპატიობ, მაგრამ ერთობ სარისკო დარგი — ბიოგრაფიული კრიტიკა ივეელირულ სინატიფესა და მახვილ თვალს მოითხოვს. მაგრამ კრიტიკოსებმა, ზოგჯერ — ჩინებულებამაც, ვერ გაუძლეს ცთუნებას და ზოგჯერ ერთობ ახლო პარალელი გააუღეს ჰემინგუეისა და მის გმირთა შორის. მწერლის სიცოცხლეშივე ასეთი ცთუნება იქამდე მივიდა, რომ „და აღმოხდების შუე“-ს ერთ-ერთი მთავარი გმირის — ჯეიკ ბარნსის იმპოტენცია ჰემინგუეის მამაკაცური ძალის უცილობელი ნაკლულობის ნიშნად მიიჩნიეს. ჰემინგუეის როგორც მწერლის, პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწის, სწორ შეფასებას ისიც უშლიდა ხელს, რომ იგი მთლიანად და საეხებით არც შემარცხენე ძალებს აკმაყოფილებდა და არც მათ მოწინააღმდეგეებს. ვარდა ამისა, მწერლის გარდაცვალების შემდეგ, მის შესახებ იქმნება მეშურები, რომელსაც ბოლო არ უჩანს და რომელშიც რაც უფრო დრო გადის, ჰემინგუეის პიროვნება სულ უფრო რომანტიკულ სამოსელში იმოსება. ამ მეშურების დიდ ნაწილზე შეიძლება ითქვას, რაც ჰემინგუეიმ იმ ნეკროლოგებზე სთქვა, რომლებიც გაზეთებს უმაღლესად მოეწონა, როდესაც 1954 წელს იგი აფრიკაში ავიაკატასტროფაში მოკვდა და დაღუპულად მიიჩნიეს. ნეკროლოგებში, — წერდა ჰემინგუეი, — ისეთი აღამიანები მათვასებდნენ, რომლებიც თავიანთ თავს „ერთადერთ ჭეშმარიტ და ახლო მეგობრებად აცხადებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მათთვის ცნობილია ჩემი გულის ყველაზე იღუბალი მხარეები. წესიერად ჩემთვისაც კი უცნობია ჩემი გულის იღუბალი მხარეები, ამიტომ, ზოგიერთმა ამ ნეკროლოგმა ნამდვილად გამოაცა... ამ ნეკროლოგთა ერთი ნაწილი გუთვინის იმ პირთ, რომელნიც მდიდარი ფანტაზიით არიან დაჯილდოებული“. არავის შეუძლია საეჭვოდ გახადოს მეშურისა და ბიოგრაფიული ნარკვევის როგორც ეანრისა და თავისებური გამოკვლევის უფლებამოსილება და საჭიროება. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჰემინგუეისადმი მიძღვნილ მოგონებათა და ბიოგრაფიულ ნარკვევთა უმრავლესობაზე შეგვიძლია გავიგეოროთ ერთი მწერლის ნათქვამი ნეტარი ავგუსტინის „აღსარებაზე“: წმინდანი აქ ხელს მიშლის დაეინახო აღამიანი. რომანტიკულ წერებში იკარგება რეალური აღამიანი. ამასთანავე, ცალკეულ მოგონებებსა და კრიტიკულ ბიოგრაფიებში, მაგალითად ჰოტინერის გახმაურებულ წიგნში, რომელიც ჰემინგუეის მეგობრის გენერალ ლანკემის თქმით, მწერალზე დაწერილი პაროდიია, აღარაფერი რჩება ჩვენთვის ცნობილი იმ მომხიბლავი ჰემინგუეისაგან, ვისაც თავის დროზე მარლენ დიტრიხმა „ყველაზე შესანიშნავი პიროვნება“ უწოდა.

ენტონი ბერჯესის წინამდებარე წიგნი ერთგვარი რეაქციის გამოვლინებაა ჰემინგუეის ცხოვრების გზისა და მისი პიროვნების შეფასების სფეროში შექმნილი სიტუაციისადმი.

ბერჯესის წიგნი გვეხმარება ვიპოვოთ ის პოზიცია, შევიარადღეთ იმ კრიტიკიუ-

მით. რომლის საშუალებითაც ჰემინგუეიზე შექმნილ ლიტერატურაში გაყარჩვეთ

საექვოსა და სარწმუნოს, და რომელიც საშუალებას მოგვცემს პასუხი გავცეთ კითხვას — რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ჩვენს ცნობიერებაში ჩამოყალიბებული ჰემინგუეის ლეგენდარული სახის სტერეოტიპი. სიმართლის, ჭეშმარიტების, ფაქტების გადამოწმების მოთხოვნის დასტურება აუცილებელი და კანონიერია. რაგინდ წარმტაცი და მომზიბლავი იყოს ზღაპარი თუ სხვა ინფორმაცია, ბოლოს მაინც გაისმის კითხვა: მართალია თუ არა იგი და რამდენად?

ბერჯესის წიგნში ეს კითხვა დასმულია და მასზე პასუხი მთელი სიცხადითაა გაცემული. ამასთანავე, ავტორი გვაწვდის ჰემინგუეის თანამიმდევრულ ბიოგრაფიას, საგანგებოდ ჩერდება მწერლის ცხოვრების ყოველ ცალკეულ ეტაპზე, მოიხმობს საგულისხმო და დამახასიათებელ ფაქტებსა და დოკუმენტურ მასალას, სათანადოს მიუხედავს მწერლის სტილსა და ნოვატორობას. ბერჯესის ბიოგრაფიული ნარკვევის ერთ-ერთი დიდი ღირსება ისაა, რომ იგი აყენებს სხვადასხვა დებულებებსა და მოსაზრებებს, მაგრამ არ ცდილობს ნებისმიერი გზით თავს მოგვეხვიოს ისინი. ბერჯესის „ერნესტ ჰემინგუეი და მისი სამყარო“ ერთ დიდ, მთლიან კონცეფციას ემყარება, რომლის თანახმად ჰემინგუეი როგორც პიროვნება (და არა როგორც მწერალი უფრო დაბალი რანგის ზედნაშენია, ვიდრე მისი შემოქმედება; რეალური ჰემინგუეი არ შეესაბამება იმ წარმოდგენას, რომელიც მან საკუთარ თავზე შექმნა; მისი პიროვნება „ლეგენდასავით წარმტაცი არაა“, თუმცა, ამასთანავე, „საკმარისად შთამბეჭდავია“; პოზიტივობამ გაიტაცა, ბოლომდე ვერ უერთგულა ხელოვნების იდეალს, რითაც ზიანი მიაყენა თავის შემოქმედებას. ასეთია ჰემინგუეის პიროვნებისადმი ბერჯესის მიერ წაყენებული საყვედურის ძირითადი არსი.

შევეცადით გავერკვეთ, რამდენად გამართლებულია ეს ბრალდება, ანუ მწერლის გაიგოება „კლიმანჯაროს თოვლიანი მთის“ მთავარ გმირთან — პარისთან, რომელიც სიკედილის პირას მყოფი ხდება, რომ არასწორად იცხოვრა, უღალატა თავის იდეალებს და ახლა ყველაფრის ხელახლა დაწყება შეუძლებელია.

დავიწყით იმით, რომ ჰემინგუეი პროზის ხელოვნების დიდი ოსტატია. იმდენად დიდი, რომ ვერც კი ამჩნევ როგორაა „გაკეთებული“ მისი ნაწარმოებები, იმდენად სრულყოფილი, რომ აღარ სჭირდება დამხმარე ძალა — შთაგონება, პათოსი, რომ აღარაფერი ეთქვამთ პათეტიკაზე. ჰემინგუეისათვის სიმართლე სრული ობიექტურობაა. ამ მხრივ მისი სტილი, თხრობის მანერა რომანტიზმის უარყოფაა. მან არა მხოლოდ რომანტიზმის გზას გადაუხვია. მის ნაწარმოებებში გაქრა ტრადიციული რაინდული სულიც, ბურჟუაზიული რესპექტაბელობაც და რომანტიკული ელიტარულობაც. მეოცე საუკუნის ლიტერატურაში ჰემინგუეიმ პირველმა შემოიყვანა სტიოკური სულის ინდივიდუალისტი ადამიანები, რომელთა ზნეობრივ კოდექსს ერთმა მწერალმა „ტურისტის მკაცრი ფილოსოფია“ უწოდა.

მსოფლიო სახელი ჰემინგუეიმ მარტოხელა სტიოკოსების ჩვენებითა და გამჭვირვალე სადა სტილით მოიპოვა. ეს სტიოკოსები განსაკუთრებული ზნეობრივი კოდექსით ცხოვრობენ, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი ბრძოლისას პათიოსნების კანონების დაცვას, ქედუხრელობას განსაცდელისას და სულიერი ტკივილების მალვას. ამ კოდექსის გამოცდაა ლომებზე ნადირობა აფრიკაში და მატადორის ორთაბრძოლა ხართან, სანტიაგოს დუელი „დიდ თევზთან“ და „სუფთა და ნათელი ადგილის“ გმირის ყოფნა „იადა“ — ს წინაშე. მაგრამ ეს გმირები ჩაილდ ქაროლდის შორეული ვარიაციები იქნებოდნენ, ამქვეყნიურ სიამეთა მიღებისაკენ დაუკლებელი სწრაფვა რომ არ გააჩნდეთ. ჯეიკ ბარნის თვისი სულიერი და ფიზიკური ტრავმის მიუხედავად, სიციოცხლეს შეხარის, რომერტ ჯორდანი ედება იმ შეგნებით, რომ ეს ქვეყანა კარგი ადგილია, რომლისთვისაც ღირს ბრძოლა“ („ვის უხმობს ზარი“); სანტიაგო მზადაა, თუნდაც დამარცხების ფასად, მოიპოვოს შინაგანი გამარჯვება და ამ გზით

საკუთარი ღირსებით იამაყოს. მაგრამ ჰემინგუეის სტოიკოსი გმირები თავიანთ ინდივიდუალურ გზას ეძებენ ცხოვრებაში, ცდილობენ არ იფიქრონ იმაზე, რა ხდება ირგვლივ. ისინი აიძულებენ თავიანთ თავს გულცივი იყვნენ, განერიდონ სინამდვილის ორბიტრიალს და საკუთარი გზა პოვონ ცხოვრების ოკეანეში. შწერლის გმირები არაერთგზის მიდიან იმ აზრამდე, რომ მარტოხელა ადამიანი ვერ ჩაერთვება ცხოვრების ფიესტაში, რომ „მარტოხელა ადამიანი არაფრის მაქნისის არაა“ („კონე-ბა და უქონლობა“), ვინაიდან ყოველი ადამიანი დიდი მატერიის ნაწილია („ვის უხმობს ზარი“). ინდივიდუალური ამაღლებული და კეთილშობილი ზნეობრივი კოდექსის შეუთავსებლობა იმ ფაქტთან, რომ ადამიანს არ შეუძლია კუნძულივით განკერძოვდეს, ტრაგიკულ იერს ანიჭებს ჰემინგუეის მცხუნვარე შხით განათებულ და ძლიერი სულის ადამიანებით დასახლებულ მხატვრულ სამყაროს. ამავე ტრაგიზმითაა აღბეჭდილი ჰემინგუეის ცხოვრების გზა, რომელიც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ბერჯესი, მისივე ნაწარმოებების გმირთა ყვიდაზა აგებული. ჰემინგუეიმ, ამბობს წინამდებარე წიგნის ავტორი, თავისი ცხოვრება ვაჟაცობის მისეული ფილოზოფიის პრაქტიკულ გამოცდად გადააქცია, მეტისმეტად შეიჭრა ენერგიული, ძლიერი კაცის როლში, რაც არაა ნამდვილი ვაჟაცობის თვისება. ჰემინგუეის ზნეობრივი კოდექსი ყოველთვის ვერ უძლებს ცხოვრების გამოცდას, ხოლო ჰემინგუეის პირად ცხოვრებას შესაძლოა რამდენადმე ლიტერატურული გმირის იერი დაკრავს. მართლაც, შწერლის გულცივობასა და აუღელვებლობას სისასტიკეთა და ძალისხმევითა აღწერისას მარტოდენ ანგლოსაქსური თავშეკავებულობით ვერ ახსნი. შესაძლოა ჰემინგუეის პიროვნებასა და ხელოვნებაში მართლაც არის გამოვლენილი ორტოვული დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლისადმი და საკუთარ თავში დაქვევება, რომელიც თითქოს არ შეესაბამება ომებსა და ნადირობისას გამოვლენილ ვაჟაცობას“. მაგრამ ჰემინგუეის ვერ დაუძრავხავეთ იმისათვის, რომ საკუთრივ გამოსცადა თავისი გმირების ზნეობრივი კოდექსი. და თუ იგი ამ გამოცდისას დამარცხდა, ეს მინც გენიოსის მარცხია. რომ ეს მარცხი და ამ მარცხით გამოწვეული სულიერი ტკივილები არ ყოფილიყო, შესაბამისად არ იქნებოდა ჰემინგუეისეული განუმეორებელი ხელოვნება. მართებულად შენიშნავს ბერჯესი, რომ „შევიდობით, იარაღ“-სა და „მოხუცი“ და ზღვის“ ავტორმა „შეძლო ენის ტრადიციული ესთეტიკური ადგილსამყოფელი გონებიდან და გულიდან ნერვებსა და კუნთებში განეზიდა, რაც ნამდვილ გადატრიალებას ნიშნავდა“. ვაღიარებ, მე დამაჯერებლად მჭევენება ჰემინგუეის პიროვნებისადმი ბერჯესისეული კრიტიკული რეპლიკების დიდი ნაწილი, მაგრამ ამის გამო მინც არ გამწელებია ის ალტაცება, რომელსაც იწვევს ჰემინგუეი.

ენტონი ბერჯესის ბიოგრაფიული ნარკვევის შემეცებუნებელ ასპექტად გამოიყურება ჰემინგუეის ფარული სულიერი აგონიის მიზეზად მამაკაცური, სექსუალური სისუსტის გამოცხადება. ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მიჩნეულია შწერლის პირველი რომანის ავტობიოგრაფიული გმირის — ჯეიკოს (თავდაპირველ ვარიანტებში ერნი, ე. ი. ჰემინგუეის სახელის შემოკლებული ფორმა) სექსუალური უძლურება. ამავე მოტივის უკუშირელება, თუმცა უფრო გაშუალებულად, ცალკეული მოთხრობები კრებულში „საცემი უქალბოდ“; რომანში „მდინარის გაღმა ხეების ჩრდილში“ ცალკეული ავტობიოგრაფიული ნიშნებით აღბეჭდილი გმირის სახელია კანტუელი (რაც ასე ითარგმნება: არ შეუძლია კარგად). გარდა ამისა, ბერჯესს საექვოდ მიჩნია ჰემინგუეის მისწრაფება საკუთარი ვაჟაცობის დემონსტრირებისაკენ, ჰემინგუეი „ყოველთვის ტრახახობდა *cojones*-იანი“ ვარო, მაგრამ ამ უკანახეულს არაფერი აქვს საერთო თოფის სროლასთან“. არგუმენტად არის მიჩნეული

ისიც, რომ ულამაზესი ქალები ჰემინგუეის „შვილობილები“ იყვნენ, რომლებთანაც მას სულიერი მეგობრობა აკავშირებდა. თუ რამდენად სარწმუნოა ბერჯესის ეს თვალსაზრისი, ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდია, მით უმეტეს, რომ ავტორი ჰემინგუეის პიროვნებისა და ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე დაფიქრებისაკენ და შემუშავებულ შეხედულებათა კრიტიკული განსჯისაკენ გვიბიძგებს და სულაც არ ისახავს მიზნად საკუთარ მოსაზრებათა თავზე მოხვევას.

ორიოდე სიტყვით საკუთრივ ამ წიგნის ავტორის — ენტონი ბერჯესის შესახებ. იგი ინგლისელი რომანისტი და კრიტიკოსია, დაბადებულია 1917 წელს. 70-იან წლებში ლიტერატურას კითხულობდა ჩრდილო კაროლინას, პრინსტონისა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტებში და იყო მინეაპოლისის თეატრის კონსულტანტი. მასვე ეკუთვნის სხვადასხვა სატელევიზიო დაღმები. იგი საკმაოდ საინტერესო კომპოზიტორად ითვლება. 1975 წელს დიდი წარმატება ხვდა მის შესამე სიმფონიას. როგორც კრიტიკოსი, ბერჯესი საყოველთაოდ აღიარებულ და განმტკიცებულ აზრობრივ კონსტრუქციათა დამარღვეველის ავტორიტეტით სარგებლობს. როგორც რომანისტი, იგი ჯოისის ხაზის გამგრძელებელია და ალბათ იმიტაც აიხსნება, რომ ბერჯესი თითქოს წუხს იმის გამო, რომ ისეთი ნიჭიერი კაცი, როგორც ჰემინგუეი იყო, არ გაჰყვა ჯოისის გზას და მოდერნიზმსა და კლასიკურ რეალიზმს შორის შუალედური გზა ამაჯობინა. ბერჯესს ეკუთვნის ჯოისის „ფინეგანის აღაპის“ შემოკლებული და გამარტივებული გამოცემა და წიგნი ჯოისზე „მეფე-ჯოისი“. იგი აჩქორია, აგრეთვე ბიოგრაფიული ნარკვევებისა შექსპირზე და კიტსზე. როგორც კრიტიკოსი, ბერჯესი ზომიერად იყენებს ფროიდისტული და მითოლოგიური ლიტერატურათმცოდნეობის ცალკეულ პოზიტიურ მიღწევებს. განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა ბერჯესის „ნაპოლეონის სიმფონიაში“ (1974) — ნაპოლეონისადმი მიძღვნილმა რომანმა, რომელიც ბეთოვენის პეროიკული სიმფონიის ფორმის მიხედვითაა აგებული. 1980 წელს გამოიცა ბერჯესის 650 გვერდიანი რომანი „მიწიერი ძალები“, რომელიც რაბლესა და ჯოისის სტილთა ერთგვარ სინთეზს მოგვაგონებს.

ენტონი ბერჯესის წიგნი „ერნესტ ჰემინგუეი და მისი სამყარო“ ზოგიერთი თავისი ასპექტით მკითხველს შესაძლოა სადავოდ ეჩვენოს, მაგრამ წიგნის დიდი ღირსებაა სახელწოდანი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მთლიანი პანორამის ჩვენება ჰემინგუეისათვის შესაფერისი სადა და ნათელი სტილით და ისეთი კრიტიკული მიდგომით, რომელიც გონებას ფიქრისა და განსჯისაკენ უბიძგებს. ქართული მკითხველისათვის უთუოდ სასიამოვნო და საინტერესო იქნება ერთხელ კიდევ თავლის გადავლება ჰემინგუეის ბიოგრაფიისათვის და ხელახალი მიბრუნება ამ დიდ მწერალთან, დიდ შემოქმედთან, რომელმაც ეგზომ საგრანობი ადგილი დაიკავა მისი დროის ადამიანთა ცნობიერებაში, ხოლო 50-60-იან წლებში ყველა დასავლელ მწერალზე მეტად შემოიჭრა ჩვენს სულიერ ცხოვრებაში და გარკვეული კეთილმოწყობილი როლიც ითამაშა ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე ძვრებსა და ძიებებში.

ერნესტ ჰემინგუეის გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგაც არ განელებულა ინტერესი მისი შემოქმედებისადმი, რომლის ნოვატორული მიგნებები თავის ღროხე მკითხველთა გაცემას იწვევდა და რომელიც დღესაც მომნუსხავად ზემოქმედებს. მისი მხატვრული სტილი, ინტელექტუალური თავმომწონეობისაგან და მაღალფარდოვნებისაგან თავისუფალი და ლამის ფიზიკურად ხელშესახები, სავსებით შეესაბამება მისავე გმირს — სტოიკურ, ტანჯულ, მტკიცე და ძლიერ ადამიანს, რომელიც, როგორც გვასწავლიდნენ, „ქედუხრელია გნსაცდელის უამს“. როგორც კი ერთ-ერთ უდიდეს მწერლად აღიარეს, ერნესტ ჰემინგუეის მრავალი მიმბაძველი გაუჩნდა და ყველამ ჩათვალა, რომ მისი მიბაძვა არაა ძნელი. ადრეულ ძიებათა უამს არც ერნესტ ჰემინგუეი იყო მთლიანად თავისუფალი მიმბაძველობისაგან. მაგრამ საბუკლ მანქანაზე სასწრაფოდ მომზადებულ „ნაწარმოებებს“, რომელთაც „ჰემინგუეისებურ პროზას“ ეძახიან, ცოტა რამ აქვს საერთო ჰემინგუეის საუკეთესო ქმნილებათა ლაკონურ სტილთან, თხრობის მანერასთან, რომელიც მან გაჭირვებისა და ესთეტიკური იდეალისადმი ერთგულების პერიოდში თავაუღებელი შრომით შეიმუშავა.

ერნესტ ჰემინგუეი როგორც პიროვნება ისეთივე ზედნაშენია, როგორც მისი ნაწარმოებები, მაგრამ — უფრო დაბალი რანგის ზედნაშენია. უდავოა, რომ მისი ღროხის მწერლებს შორის ერნესტ ჰემინგუეი ყველაზე ვაჟკაციური, ძლიერი და მომხიბლავი იყო. ამის შემოწმება ძნელი არაა. მაგრამ ჰემინგუეის არ კმაროდა მონადირის, მეთევზის, მოკრივისა და სამხედრო მოხალისეთა რაზმის მეთაურის შარავანდედი. მას სურდა საკუთარი თავი ჰომეროსისებურ მითად ექცია. ეს მიზანსწრაფვა პოზიორობით, ტრაბახითა და

ლიტერატურული გმირის ყაიდაზე ცხოვრების სახით გამოვლინდა. მართალია, ზოგიერთი მისი სიცრუე (მაგალითად, მისი მონაყოლი, რომ მატა ხარი მისი საყვარელი იყო) ადვილად გაირკვა, მაგრამ ასევე ადვილი როდია მის მიერ შექმნილი ლეგენდის ჩამოცილება იმ სინამდვილისაგან, რომელიც მართალია, ლეგენდასავით წარმტაცი არაა, მაგრამ მაინც საკმარისად შთაბეჭდავია. ერნესტ ჰემინგუეის როგორც ადამიანს, პიროვნებას, ჩვენ ვიცნობთ არა მისი წერილებითა და დღიურებით, არამედ მის მიერ ბარებში, გემბანზე ან ნადირობისას მონაყოლი და შემდეგ სხვების მიერ გადმოცემული ამბებითა და იმ მემუარებით, რომელთა ავტორები ვერ ელკვიან ლეგენდებს, და რომლებიც მით უფრო ნაკლებ სარწმუნო ხდება, რაც უფრო ისტორიის კუთვნილებად იქცევა მათი თხრობის მიზეზი.

ერნესტ ჰემინგუეის ცხოვრების გზასთან დაკავშირებული ფაქტების ყველაზე უფრო სანდო კომპენდიუმი ის ბიოგრაფიაა, რომლის ავტორია პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი, ლიტერატურათმცოდნე კარლოს ბეიკერი. მართალია, ერთხელ ჰემინგუეის უთქვამს (ანდა მიაწერენ, უთქვამსო) — კარლოს ბეიკერი ძალიან პედანტურად ეკიდება ფაქტებსო. მაგრამ ბიოგრაფიული სიმართლისადმი ასეთი თანამიმდევრული ერთგულება გაცილებით უკეთეს სამსახურს უწევს ჰემინგუეის, ვიდრე ა. ე. ჰოტინერიის გახმაურებული მემუარები (რომელიც ერთი ორჯერ მაინც დავიმოწმე). კარლოს ბეიკერი სკეპტიკურად ეკიდება ჰემინგუეისე შექმნილ ლეგენდას. ამასთანავე ჰემინგუეის რეალური, ნამდვილი პორტრეტი სულაც არ ამცირებს მას როგორც მწერალს, მონადირეს, მებრძოლსა და კორიდის თაყვანისმცემელს. მადლიერების გრძნობით აღვნიშნავ იმ სამსახურს, რომელიც გამიწია კარლოს ბეიკერის ცხრაასგვერდიანმა წიგნმა „ერნესტ

ჰემინგუეი“ (1969) და რომელიც იმათაც ძალიან გამოადგება, ვინც საკითხის უფრო საფუძვლიანად გაცნობას მოისურვებს, ვიდრე ეს ჩვენს მომცრო წიგნში მოხერხდა.

მე მინდა კუთვნილი მიეუზლა კიდევ ერთი ჩემი კოლეგის წიგნს, ნიუ იორკ სიტი კოლეჯის პროფესორის — ართურ უოლდ-ჰორნის გამოკვლევას „ერნესტ ჰემინგუეის მკითხველის მეგზური“ (1972), რომელშიც ჩემთვის ცნობილ ნაშრომთაგან ყველაზე სრულყოფილად არის განხილული ჰემინგუეის შემოქმედება. მე სწორედ ამ წიგნის წყალობით გაეთავისუფლდი იმ საკმაოდ მიაბიტური წარმოდგენისაგან ჰემინგუეიზე, რომელიც ბავშვობიდან მქონდა, ვიდრე ამ წიგნის წერას დავიწყებდი. არის კიდევ ბევრი სხვა კარგი წიგნი ჰემინგუეიზე, როგორც პიროვნებაზე ან შემოქმედზე ან ორივეზე ერთად. ჩემი წიგნის ბოლოს მითითებული მაქვს ყველა ის წიგნი, რომელიც წავიკითხე და სასარგებლოდ ვცანი.

მონაკო, 2 ივლისი 1977

ენტონი ბერჯესი

„და აღმოხდების მზე“, „მშვიდობით, იარაღო“, „მოხუცი და ზღვა“, მოთხრობები ნიკ ადამსზე... მათი ავტორი გულით დაავადებულნი ან ჭლექიანი ჩია კაციც რომ ყოფილიყო და ძლიერი პიროვნების ხასიათი მხოლოდ თავის ნაწარმოებებში რომ გამოვევლინა, იგი, რასაკვირველია, მაინც ერთ-ერთი უდიდესი ამერიკელი მწერალი იქნებოდა. მაგრამ ის ნამდვილად არ ყოფილა ჩია კაცი. მაღალი (ექვსი ფუტი), მხარბეჭიანი, ლამაზი და მოუსვენარი კაცი იყო — ჯარისკაცი და მონადირე, მეთევზე და მსმელი. ერთ პიროვნებაში დახვეწილი და თავისებური ხელოვანისა და კუნთმაგარი ენერგიული მამაკაცის თანხედრობამ ჰემინგუეის XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მითიური პიროვნების სახელი მოუხვეჭა. მასზე შექმნილი წარმტაცი მითისადმი ინტერესს ამჟამურებს ჰემინგუეის პიროვნებასა და ხელოვნებაში თანაბრად გამოვლენილი ორჭოფული დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლისადმი და საკუთარ თავში დაეჭვება — რომელიც თითქოს არ შეესაბამება ომებსა და აფრიკაში ნადირობისას გამოჩენილ ვაჟკაცობას — და ის აშკარად არაჯანსაღი საწყისი, რომლის ფესვები ისეა გადახლართული, რომ მათი განცალკევება ერთობ ძნელია; მაგრამ ეს ორი ძირითადი



ერნესტ ჰემინგუეის მამა — კლერენს ედმუნდ ჰემინგუეი. „ძალიან მიხარია, და ვამაყობ, რომ უკვე ნამდვილი ვაჟკაცი ხარ“, — წერდა იგი ერნესტს 1915 წელს.



ნიშან-თვისება ჰემინგუეისა, რომელსაც სა-
ზოგადოება მოარული ანეკდოტებით, რკი-
ნისკოლოფიანი ლუდის რეკლამით, ბესტსე-
ლერების სიითა და ამერიკული პროზის საუ-
ნივერსიტეტო პროგრამით იცნობს, მშობლე-
ბისაგან გამოყოფილი გენებისა და ტემპე-
რამენტის შერწყმის შედეგია.

ჰემინგუეის წინაპართა კვალს ჩრდილო
ამერიკის ატლანტის სანაპიროს პორტებთან
მივყავართ. მისი მშობლები ანგლო-საქსები
იყვნენ, შეძლებულად ცხოვრობდნენ, ესწრე-
ბოდნენ წირვა-ლოცვას, პატრიოტულად იყ-
ნენ განწყობილი, არაფრით გამოირჩეოდნენ,
მაგრამ თავი ღირსეულად ეჭირათ. მამამი-
სი — კლერენს ედმუნდს ჰემინგუეი, ანუ — ედ,
როგორც მას ჩვეულებრივ ეძახდნენ, ექიმი
იყო, საკუთარი პრაქტიკა ჰქონდა ილინოი-
სის შტატის ქალაქ ოუკ ჰარკში. დამთავრე-
ბული ჰქონდა ობერლინის კოლეჯი და ჩიკა-
გოს რაშის სამედიცინო კოლეჯი. ედის მამა
სამოქალაქო ომის ვეტერანი იყო და ჩიკა-
გოში ცხოვრობდა. ედი შავწვერა, მხარბე-
ჭიანი, ექვსი ფუტის სიმაღლის კაცი იყო.
უყვარდა ნადირობა, თევზაობა, ფიტულების
კეთება, გველების დასპირტვა, კოცონზე კერ-
ძების მოშხადება. მისგან გამოჰყვა ერნესტს
მჭედლის გარეგნობა, მანვე შეასწავლა ნა-
დირობა. ედ ჰემინგუეის მიჩიგანის ტყეში
სააგარაკო სახლი ჰქონდა. მოგვიანებით იქვე
ერთი ჰექტარი ნაკვეთიც შეიძინა. ორიოდე
კვირის იყო ერნესტი — იგი დაიბადა 1899
წლის 21 ივლისს — როდესაც პირველად წა-
იყვანეს უღრან ტყეში. საკმაოდ დამქანცავი
გზა იყო: ოუკ ჰარკიდან ჩიკაგომდე — მატარ-
ებლით, მიჩიგანის ტბამდე — ეტლით, ჰარ-
ბორ სპრინგსამდე — ორთქლმავალი გემით,
პეტოსკიმდე — ვიწრო ლიანდაგის მატარებ-
ლით, დათვის ტბამდე — კვლავ მატარებლით



გრეის პოლი — ერნესტის დედა,
მორწმუნე, სენტიმენტალური, უღ-
რესად მუსიკალური ადამიანი. ჰე-
მინგუეის მისგან გამოჰყვა კარგი
სმენა და ცუდი მხედველობა.

ერნესტი ბავშვობისას მასზე 18
თვით უფროს დასთან — მარსელი-
ნასთან და მშობლებთან ერთად.

◀
სააგარაკო სახლი ტბის პირას,
1901.



ერნესტი 18 თვის.

ერნესტი და მარსელინა მათ ბაღ-ში ოჯკ პარკ ავენუზე. ორივე ბავშვისთვის ერთნაირად ჩაუცვამს დედას.

და შემდეგ ნავით — მათ კარ-მიდამომდე, რომელსაც ერნესტის დედამ უინდემარი უწოდა. ამ გზით ერნესტს შემდეგომ ბევრჯერ მოუწევს მგზავრობა.

ედ ჰემინგუეიმ შეასწავლა ვაჟს თევზაობა, ხელსაწყოებისა და იარაღის ხმარება, ირმის, ენოტის, ციყვის, ქედნისა და ტბის თევზის კერძების მომზადება. სეირისათვის არ უნდა ინადირო — ასეთი იყო წესი, რომელსაც ჰემინგუეი დიღობისას აღარ იცავდა. თუ რაშეს მოკლავ, კიდევაც უნდა შეჭამო, — ეუბნებოდა მამა. ასე რომ, თუ დაუფიქრებლად მოკლავდა მაჩვზღარბას, სხვა გზა არ იყო — უნდა ედეჭა უგემური და ტყავივით მაგარი ხორცი. თავისი საგმირო საქმეების გაზვიადებისა და შეთხზვის უნარი ჯერ კიდევ მაშინ აღმოაჩნდა, როცა ხუთი წლისაც არ იყო. ბაბუამის ჰოლს განუცხადა — აწვეპტილი ცხენი ცალი ხელით გავაჩერეო.

მოსუცმა უთხრა — შენ ისეთი ფანტაზიის
უნარი გაქვს, რომ ან ცნობილი კაცი გახდე-
ბი ან ციხეში ამოყოფ თავსო.

ერნესტ ჰოლი დანებითა და საჭრელი
ნაკეთობით ბითუმად ვაჭრობდა ჩიკაგოში.
მორწმუნე კაცი იყო, შინ ლოცულობდა, და
თავისი მძახალივით, ისიც სამოქალაქო ომის
ვეტერანი იყო. მაგრამ (ეს მისი სუსტი მხარე
იყო, რაც მის შვილიშვილს არ გამოჰყოლია),
მისი თანდასწრებით ვერავინ გაბედავდა ომ-
ზე ლაპარაკს. ერნესტ ჰემინგუეიმ მეორე სა-
ხელი — მილერი — ბაბუის ქმისაგან მიიღო,
რომელსაც საწოლების საწარმო ჰქონდა. ამ
მხრიდან ერნესტს შეიძლებოდა გამოყოლო-
და ლითონით ვაჭრობისა და ნადირობის
ღარი და ქრისტიანული ღვთისმოსაობა,
ხოლო ყველაზე ნაკლებად — მწერლური ნი-
ჭი. მუსიკის ნიჭი ერნესტს დედისაგან გა-
მოჰყვა. ედ ჰემინგუეი ოუკ პარკის საშუალო
სკოლაში გრეის ჰოლთან ერთად სწავლობდა.
გრეისს წმინდა ინგლისური გარეგნობა ჰქონ-
და — მაღალი, ცისფერთვალეობა, ცქრიალა
გოგონა იყო. ოუკ პარკში გამოკეტვას არ აბი-
რებდა: მას კარგი კონტრალტო ჰქონდა და
დედამისი და მასწავლებლები ურჩევდნენ
საოპერო კარიერას გაჰყოლოდა. მაგრამ ქუნ-
თრუშისაგან მხედველობა დაუსუსტდა და
როდესაც ნიუ იორკის მედისონ სკვერ გარ-
დენში სადებიუტო კონცერტზე რამპის
შუქმა ძალიან ატკინა თვალები, იგი ოუკ
პარკში დაბრუნდა და ცოლად გაჰყვა ედ ჰემინ-
გუეის. ოუკ პარკის ნოით ავენიუზე იგი მუსი-
კას ასწავლიდა, ხოლო სამზარეულოს საქ-
მე თავისი ქმრისათვის ჰქონდა მინდობი-
ლი. ავადმყოფთან რომ გამოუძახებდნენ, ედი
მოსამსახურე გოგოს ურეკავდა ტელეფონ-
ით — ღუმელიდან ღვეზელი გამოიღეო. ედი
საუცხოო ღვეზელს აცხობდა.



გრის ჰემინგუეი სენტიმენტალურად ღვთისმოსავი ქალი იყო და ამდენად ბავშვების განათლებაზე მაინცდამაინც თავს არ იკლავდა. როდესაც ერნესტი ეყოლა, ღლიურში ჩაიწერა: „გულწითელები საამო გალობით ესაღმებოდნენ ამ ლამაზ ქვეყნად უცნობის მოსვლას“. პატარა ერნესტის ნათლობა მიხნეულ იქნა „უფლისათვის ზვარაკის გაღებად, მისგან სახელის მიღებად, რომ ამიერიდან იყოს კრავად კეთილი მწყემსისა“. კრავი უმაღ აცდა გზას, მიაღწია თუ არა ყოჩობის ასაკს. შეიძლება ითქვას, რომ ერნესტის შემდგომი ცხოვრება თავის ვაჟზე დედამისის წარმოდგენისადმი უკიდურესად საპირისპირო რეაქციას წარმოადგენდა. ცხრა თვისა იყო, როდესაც დედამისმა ვარდისფერი კაბითა და ბაფთებიანი ქუდით გამოაწყო, სუსტად ისეთით, მასზე თვრამეტი თვით უფროს დას მარსელინას რომ ეცვა. მოგვიანებით ერნესტი ისე არ ახსენებდა დედამისს, რომ მისთვის ძუენა ძალღი არ ეწოდებინა. მამისადმი მას შემდეგ განეწყო მტრულად, როდესაც მამამისმა, ისევე როგორც შემდგომ ერნესტმა, სულიერი დეპრესიისას თავი მოიკლა. ერნესტს უჭირდა ერთგულების გაწევა და პირიქით — ადვილად შეეძლო ზურგის შექცევა.

თავიდანვე თავნება, ჯიუტი და მოჩხუბარა იყო. ნატრობდა, უმცროსი ძმა ჰყოლოდა საძიძგილაოდ, მაგრამ ამაოდ. ლესტერ კლერენს ჰემინგუეი გვიან დაიბადა და სიყმაწვილეში შესულ ერნესტს ვერც დასაჯანად გამოადგებოდა და ვერც თანამზრახველად, ერნესტი ოთხ დასთან (მარსელინა, ურსულა, მადლენი და კეროლი) ერთად იზრდებოდა. ოთხივენი მაღალი, ლამაზი გოგონები იყვნენ. მათ მნიშვნელოვნად განაპირობეს მისი დამოკიდებულება ქალებისადმი. მოგვიანებით შესამჩნევი გახდა, რომ თავისი ხნის ქალებს იგი, მისდა უნებურად, დამცი-



ნავი, მფარველი და ადვილად დამყოლი ძმასავით ეყრობოდა. ცოლებისაგანაც (ცოლიც ოთხჯერ მოიყვანა და ამთვან პირველი სამი ერთი და იგივე ქალაქიდან — სენტლუიზიდან იყო) სათნო და-ძმურ მოპყრობას მოითხოვდა. ნატრობდა, ქალიშვილი ჰყოლოდა, მაგრამ არ გაუმართლდა და ბოლოს მისი

და-ძმანი ჰემინგუეები: ერნესტი, მადლენი (სანი), მარსელინა, ურსულა, ლესტერი და კეროლი ნორთკენილუერთის ავნიუზე.

„შვილობილები“ გახდნენ ისეთი ლამაზი ქალები, როგორებიც არიან: ავა გარდნერი და ინგრიდ ბერგმანი (ამასვე ვერ ვიტყვით მარლენ დიტრიხზე, რომლისადმი რაღაც უფრო რთული დამოკიდებულება ჰქონდა). ერნესტი მათ „შვილო“-ს ეძახდა და მათ კი მისთვის „მამა“ უნდა დაეძახათ. ასე გახდა იგი, შედარებით ახალგაზრდა კაცი, „Papa (მამა) ჰემინგუეი“. ძმობა და მამობა ეხერხებოდა, ხოლო შვილობა ყოველთვის უჭირდა.


მამამისისაგან განსხვავებით, მეცნიერებით არ დაინტერესდა და ასე თუ ისე წინააღმდეგობა გაუწია დედამისსაც, რომელსაც უნდოდა, რომ იგი მუსიკას გაჰყოლოდა, ვიოლონჩელისტი გამხდარიყო. სკოლის ორკესტრში საოპერეტო და მუსიკალური კომედიების პარტიას ასრულებდა ჩელოზე. აგრეთვე: მღეროდა მესამე კონგრეციული ეკლესიის გუნდში, მაგრამ სიმღერის დროს, მამამისივით, ზოგჯერ სმენა ღალატობდა. მოგვიანებით ჰემინგუეი თავს დებდა მუსიკის ცოდნაზე და კონტრაპუნქტზეც კი მსჯელობდა (კიდევ კარგი, რომ ეს მსჯელობა არაეის ჩაუწერია). პარიზში ეწეინათ, როდესაც მან განაცხადა — „უხეირო მუსიკოსს“ ჯორჯ ანთელს (იგი ეზრა პაუნდის პროტეჟე იყო, რომელსაც ახლა გასართობი ფილმების მუსიკით თუ იხსენებს ვინმე) მე სტრავინსკი მიჩვენიაო. ეს განცხადება მის მუსიკალობაზე შეტყვევებს. ჰავანაში თავისი საყვარელი ბარის მომღერლისა და გიტარაზე დამკვრელისათვის შეთხზა სიმღერა, რომელსაც ყოველთვის ასრულებდნენ, როცა კი იქ მივიდოდა. უთუოდ დედამისისაგან გამოჰყვა მას ხმის მოდულირებისა და რიტმის გრძნობა, რომლის წყალობითაც იგი ლიტერატურის ერთ-ერთი დიდი სტილისტია. ჯოისიც მუსიკის ნიადაგს ემყარება. როგორც „ულისეს“, ასევე „მშვიდობით, იარაღო“-ს კითხვისას შეუძლებელია არ იგრძ-

ნო, რომ სიტყვებს მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული ტონალობა, ხოლო სტრუქტურული მხარე მუსიკალური ნაწარმოების თვისებრიობითაა აღბეჭდილი. ერნესტის დედას ხატვაც ემარჯვებოდა და, შუა ხნისა რომ იყო, იმ მხარეში მხატვრის სახელიც მოიხვეჭა. ფერწერაში შვილს უფრო დახვეწილი გემოვნება აღმოაჩნდა და, მართალია, თვითონ ერნესტი ამბობდა, ჩემი მიზანია პროზაში იმასვე მივაღწიო, რაც სეზანმა თავის ფერწერაში შეძლო, მაგრამ სისასტიკეთა ზოგიერთმა მისეულმა აღწერამ კრიტიკოსებს გოია გაახსენა.

დაწყებით სკოლაში, ოუკ პარკის სასახლესავით დიდებულ საშუალო სკოლასა და რივერ ფორესტის რაიონულ საშუალო სკოლაში ერნესტი სწავლის მხრივ მხოლოდ ინგლისურ ენაში გამოირჩეოდა, ხოლო სკოლის დამთვარების შემდეგ უნივერსიტეტში შესვლის არავითარი სურვილი არ გამოუჩენია. საერთოდ, მის ხასიათში ყოველთვის იყო რაღაც ანტიინტელექტუალური. სწრაფვა ძალადობის აღწერისაკენ და მაღალფარდოვანი რომანტიკული ლექსიკის უგულვებელყოფა მის სკოლისდროინდელ მოთხრობებსა და სასკოლო ჟურნალისათვის დაწერილ რეპორტაჟებში კიდევ უფრო მეტად საგრძნობია, ვიდრე გვიანდელ ნაწარმოებებში. გული სპორტისაკენ მიუწევდა, მაგრამ საშუალო სკოლაში ერთ ხანს ჯერ კიდევ ტანმორჩილი და სუსტი იყო, რასაც ძაილან განიცდიდა. ვინაიდან ფეხბურთის სათამაშოდ მეტისმეტად ტანმორჩილი იყო; თოფის სროლაში დაიწყო ვარჯიში და ოცი იარღის მანძილზე 150-დან სულ ცოტა 112 ქულას აგროვებდა, მიუხედავად იმისა, რომ დედამისისაგან მარცხენა თვალში სუსტი მხედველობა გამოჰყვა, რის გამოც ძალიან ბრაზობდა დედამისზე. მაგრამ მოგვიანებით, როცა დედამისისას აღარაფერს ცნობდა, მარცხენა თვალის სისუსტეს კრივში უსინ-



სკოლისდროინდელი სურათი. ერ-
ნესტი სწავლობდა ოუკ პარკისა
და შემდეგ — რივერ ფორესტის
საშუალო სკოლაში. სასკოლო ჟურ-
ნალი „ტაბულა“ და ყოველკვირე-
ული გაზეთი „ტრეპის“. ქვემოთ
მარჯვნიდან — მეორე — ერნესტი.



Trapeze Staff

ASSOCIATE EDITORS

Elliott Smeeth	Earle Pashley
Ernest Hemingway	Le Roy Huxham
Susan Lowrey	Marcelline Hemingway

AIR LINE PILOT

Morris Musselman

CARTOONIST

Albert Dungan

REPORTERS

Arthur Thexton	Florence Winder
Allen Speelman	Edward Andresen
Laura Canode	Helen Sinclair
Fred Wilcoxon	Raymond George
Franklin Lee	Annabel Marchant
Helen Carr	Itay Ohlsen
Jack Pentecost	Clarence Savage

FACULTY ADVISORS

Business _____ Mr. Owen
 Editorial _____ Mr. Gehlman

BUSINESS STAFF

Business Manager _____ Gordon Shorney
 Assistant _____ Wilbur Brandt
 Advertising Manager _____ Dale Bumstead
 Assistants _____ Wiley Caldwell, Julian Lull

MADELEINE HANCOCK

Glee Club (3) (4); Opera (3); Atlanta (2) (3) (4); French Club (3) (4); Girls' Club (3) (4).

"As smooth as the business side of a banana peel."

WARD BELMONT

WILBUR HAUT

Glee Club (2) (3); Opera (2); German Play (2); Athletic Association (4); Boys' High School Club (3) (4); Hanna Club (3).

"Cheeks like roses."

ILLINOIS

ERNEST HEMINGWAY

Class Prophet; Orchestra (1) (2) (3); Trapeze Staff (3); Editor (4); Class Play; Burke Club (3) (4); Athletic Association (1) (2) (4); Boys' High School Club (3) (4); Hanna Club (1) (3) (4); Boys' Rifle Club (1) (2) (3); Major Football (4); Minor Football (2) (3); Track Manager (4); Swimming (4).

"None are to be found more clever than Ernie."

ILLINOIS

MARCELLINE HEMINGWAY

Commencement Speaker; Orchestra (1) (2) (3) (4); Glee Club (3) (4); Tabula Board (4); Trapeze Staff (3); Editor (4); Opera (1) (2) (3); Atlanta (1) (2) (3) (4); Girls' Rifle Club (2) (3) (4); Commercial Club (4); Drama Club (3) (4); Girls' Club (3); Council (4); Story Club (3).

"I'd give a dollar for one of your dimples, Marc."

OBERLIN

OPHAS

დისო პარტნიორებს აბრალებდა. 15 წლისამ უცებ აიყარა ტანი, მალე სიმაღლესა და წონაში მამამისს დაეწია და მასაც გამოჰყვა მამისეული მიდრეკილება ოფლიანობისა და სიმსუქნისაკენ. იმთავითვე იქცევედა ყურადღებას თავისი მოუქნელობით: ფეხბურთს თამაშობდა თუ ცეკვავდა, გვეგონებოდა — დაბაჯებაჯებსო. ფეხბურთს ცუდად თამაშობდა, მაგრამ ემარჯვებოდა სირბილი, კრივი და ცურვა და ერთხანს წყალბურთელთა გუნდის კაპიტანიც იყო. ამასთანავე, ცხადია, წერდა.

მისი კერპი რინგ ლარდნერი იყო, რომელსაც „ჩიკაგო ტრიბუნ“-ში ცალკე პოპულარული რუბრიკა ეთმობოდა. ერნესტი ბაძავდა მის სტილს, რომელიც მდამბოქროს



რინგ ლარდნერი — შარჟი „ვენეტი ვეარ“-ში, 1925.



ჰამამისივით, ერნესტს უყვარდა
ბუნებაში ხეტიალი. სურათზე: ლა-
შქრობა კარვებით ამხანაგებთან
ერთად.

ჰემინგუეების მეორე სახლი ოუკ
პარკში: ნორთ კენილუერთ ავენიუ,
600. სახლის ერთ მხარეს გრეისი
უკრავდა, მეორე მხარეს — ელის
ლაბორატორია ჰქონდა მოწყობი-
ლი.




მეტყველების პაროდირებას ემყარებოდა. ლარდნერისეული თხრობის მანერა გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს: თავისებურია და ამასთანავე — უაღრესად ამერიკული, ხალისიანი, დახვეწილი და, როცა საჭიროა, ზომიერად ამალელებელი. ერნესტი ოხუნჯურად წერდა; პროვინციული ამერიკული ოხუნჯობა იმხანად დიდად ფასობდა (აღბათ ამის უკიდურესი გამოვლინებაა სინკლერ ლუისის „ბებიტი“). სერიოზული განსჯა ინტელექტის ნაყოფად ითვლებოდა. ხოლო ყოველივე ინტელექტუალურს ეჭვის თვალით უყურებდნენ როგორც ევროპულ. დეკადენტურ და საძრახის მოვლენას. ოხუნჯობა ყველაზე მეტად სახელების შერქმევაში მუდავნდებოდა, რაც ჰემინგუეის იმთავითვე ეხერხებოდა. თავის ძმას კომიქსის პერსონაჟის სახელი — ლესტერ დე პესტერი შეარქვა და მოსწონდა, თუ მას პორთოსს, ბუტჩს, ძველ ბრუტს და განსაკუთრებით, თუ ჰემინგსტაინს დაუძახებდნენ. ამ უკანასკნელში ერთგვარი ანტისემიტიზმი გამოკრთის: იგულისხმება, რომ ყველა ებრაული გვარი კომიკურად უღერს. ბოლომდე შერჩა მიდრეკილება ებრაელების გამოჯავრებისაკენ, ისევე როგორც ყოველთვის მოსწონდა, თუ ჰემინგსტაინს დაუძახებდნენ, მეორე მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცებს ასე ეცნობოდა: „ერნი ჰემორიდი“.

ამერიკის შუა დასავლეთში ცხოვრება დულდა და გადადულდა იქაური დიდრონი მწვადებით, აიდაჰოს კარტოფილით, სურნელოვანი ლუდით, მხარზე ხელის დარტყმით, შოვინიზმითა და ოპტიმიზმით. ნევროზს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფესვები გადგმული და შეერთებული შტატები არ იყო ურიგო ქვეყანა, თუკი საერთოდ არსებობს ამქვეყნად კარგი ადგილი. წესიერება ოუკ პარკში უფრო მეტად იყო შენარჩუნებული, ვიდრე ჯოისის დუბლინში. წარმოუდგენელია, რომ ჰემინგუეის. ქაღზე ატეხილსა და სასოწარკვეთილებამდე მისულს, ძუენა ძაღლივით ღამით



ერნესტი ნანადირევით უოლუნის ტბასთან, 1913.

ახალგაზრდა ერნესტი თევზაობისას მინივანის ტყეში. მოგვიანებით უფრო დიდ თევზებს იჭერდა.



ქუჩებში ეხეტიალა. მას უდავოდ თვალში მოსდიოდა რამდენიმე გოგონა და მოგვიანებით ტრაბახობდა — ქალი თუ მომწონებია, ხელიდან არ გამიშვიაო. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ მან უფრო დიდხანს შეინარჩუნა უმანკობა, ვიდრე ჯოისმა. ოუკ პარკის რელიგიურობის გამო ბავშვებს ამ ქვეყნისა ბევრი არაფერი გაეგებოდათ. ისეთი ექიმიც კი, როგორც ედ ჰემინგუეი გახლდათ, დარწმუნებული იყო, რომ ონანიზმი სიგიჟეს იწვევს. ოუკ პარკი ცნობილი იყო იმით, რომ, მთავრდებოდა თუ არა რესტორნები, იწყებოდა ეკლესიები. ქალაქში არ იყვნენ თავისუფალი ქცევის ქალები, ხოლო სკოლის გოგონები კდემამოსილებით გამოირჩეოდნენ. ერნესტი, სწავლის პერიოდში სპორტზე გადაყოლილი, ზაფხულის არდადეგებს დიდი მიჩიგანის ბუნების წიადში ატარებდა. გავიდა წლები, შორს დარჩა ხალისიანი, ხმაურიანი დღეები, ჰემინგუეი სიყმაწვილეში შევიდა და მას აღარ გვრიდა ჩვეულ სიხარულს ციყვების მოძახილი და ოუკ პარკის საამო, მაგრამ ვიწრო სამყარო.

1917 წლის 6 აპრილს შეერთებულმა შტატებმა დაარღვიეს ორწელნახევრიანი ნეიტრალიტეტი — „შშვიდობა ნებისმიერ ფასად“ — და გერმანიას ომი გამოუცხადეს. ახალგაზრდებს გული საბრძოლოდ მიუწვევდათ, ზოგი მათგანი სანიტარულ რაზმებში მსახურობდა, ხოლო ზოგიც — კანადის საავიაციო კორპუსებში 49-ე პარალელს იქით. მაგრამ ერნესტი არ ჩქარობდა. მას იმთავითვე დაჰყვა თადარიგის დაჭერის ინსტინქტი და გადაწყვიტა, ჯერ წერის ხელოვნებას დაუფლებოდა და შემდეგ — ბრძოლის ხელოვნებას. ასეა თუ ისე, მამამისმა გააგებინა, რომ მარცხენა თვალში ცუდი მხედველობის გამო ომში არ გაიწვევდნენ. კანზას სიტიში ერნესტს ჰყავდა ბიძა — ტაილერ ჰემინგუეი, რომელიც ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი გა-

ზეთის „კანზას სიტი სტარ“-ის ოდინდელი თაყვანისმცემელი იყო. როგორც კი შეიტყო ერნესტმა, რომ შეეძლო ამ გაზეთის შტატ-გარეშე კორესპონდენტი გამხდარიყო, გამოემშვიდობა მამამისს, რომელმაც ვაჟი გულთბილად გადაკოცნა რკინიგზის სადგურზე. მამას უღვაშები ცრემლებით დასველებოდა და ბუტბუტით ლოცულობდა. მოგვიანებით ერნესტმა ეს სცენა გააცოცხლა თავის რომანში „ვის უხმობს ხარი“: „უცებ თავი მამამისზე უფროსად იგრძნო და ისე შეეცოდა, რომ აღარ იცოდა რა ექნა“.

არ იქნებოდა სწორი იმის თქმა, რომ ჰემინგუეი „ლიტერატურული პატივმოყვარეობით“ იყო შეპყრობილი. სკოტ ფიცჯერალდი, პრინსტონის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე წიგნის წერას — კიტსისებური ტროპებით შეფურადებულ რომანზე მუშაობას შეუდგა კომპტონ მაკენზის ყაიდაზე. ჰემინგუეის გაუცნობიერებელი მიზანი უფრო მარტივიც იყო და უფრო რთულიც. მას სურდა ენის ტრადიციული ესთეტიკური ადგილსამყოფელი გონებიდან და გულიდან ნერვებსა და კუნთებში განეხიდა. ეს ნამდვილ გადატრიალებას ნიშნავდა, რაც იმხანად ჟურნალისტიკის უმარტივეს საშუალებათა მომარჯვებაში გამოვლინდა. ვერ ვიტყვით, რომ ჰემინგუეი ჟურნალისტობაზე ოცნებობდა, და არც იმის თქმა იქნებოდა სწორი, რომ მას უნდოდა ჩვენი დროის ტოლსტოი ან დიკენსი გამხდარიყო.


ორი კანზას სიტი არსებობს. ერთი კანზასის შტატშია და მასში დაახლოებით 130 ათასი კაცი ცხოვრობს. მეორე მისურის შტატშია, თითქმის ნახევარმილიონიანი ქალაქია. როდესაც საუბარსა თუ სიმღერაში კანზას სიტის ახსენებენ, ჩვეულებრივ ეს უკანასკნელი იგულისხმება. აქ დაიწყო მუშაობა ჰემინგუეიმ როგორც პროფესიონალმა ანუ ხელფასიანმა მწერალმა. დღეს კანზას სიტი

ერთ-ერთი თვალსაჩინო სამრეწველო და კულტურული ცენტრია, ფართო ხეივანებით, ესპანურ სტილზე ნაგები შენობებით, საუცხოო ვილებით, რესტორნებით, რომლებშიც მანეკენები haute couture-ს უჩვენებენ; მსოფლიოში საუკეთესო ბიფშტექსი აქ მზადდება. ქალაქში არის იესუიტთა კოლეჯი და მთის მთელ ფერდობზე წამოჭიმული მდიდრული სასტუმრო ინტერიერში ჩართული კორმებიტა და ნაკადულებით. 1917 წელს იგი მზარდი ქალაქი იყო, რომლის სასახლერო ახალშენის მკაცრი სტატუსი არც ისე დიდი ხნის მოსაგონარი იყო. აქ ცოდვის გამკითხავი არავინ იყო, კანონისადმი, თვით მაგისტრთა შორისაც, ცინიკური დამოკიდებულება სუფევდა, ხოლო მეთორმეტე ქუჩაზე იმდენი მეძავი იყო (ნებისმიერ ფასად), რომ მას მეძავეების პროსპექტს ეძახდნენ. ჰემინგუეი არც სკანდალებში გარეულა და არც ბოჰემურ ცხოვრებას აჰყოლია. იგი მკაცრ სამყაროს აკვირდებოდა. „კანზას სიტი სტარ“-მა მას კვირაში 15 დოლარი დაუნიშნა და მისცა სტილისტური ინსტრუქცია, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მისგან სხვას არას მოითხოვდა, თუ არა ისე წერას, როგორც წერდა მოგვიანებით. მას მოეთხოვებოდა აზრის მოკლედ, ნათლად და ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ჩამოყალიბება და მოვლენებისადმი პოზიტიური მიდგომა (თქვი რა არის, და არა — რა არ არის). გაივლის ხანი და ჰემინგუეი საკუთარ ნაწარმოებებში ამავე მიზნებს დაისახავს.

ახალბედა რეპორტიორი მასალის ნაკლებობას არ უჩიოდა, ბევრი რამ ჩაებეჭდა გულში და შემდეგ თავის პროზაში მოახდინა მათი მხატვრული უკუფენა. ასე, მაგალითად, შესანიშნავი მოთხრობა „მრავალ შობას დაეწიარით, ბატონებო“, ემყარება ერთ საოცარ ამბავს, რომელიც ჰემინგუეიმ ქალაქის სავადადმოფოში შეიტყო, სადაც ხშირად დაიარებოდა: ერთმა ყმაწვილმა, კკლესიის მამა

ორიგენივით, ღვთის სიყვარულით თავი დაი-
საჭურისა. სქესობრივი გრძნობის ფიზიკუ-
რი თუ ფსიქოლოგიური დათრგუნვით ჰემინ-
გუეი აშკარად მოიხიბლა: სქესობრივი კავ-
შირისადმი შიში პირადად მისთვისაც არ
ყოფილა უცხო. რაც მთავარია, მიხვდა, რომ
ცხოვრება აღემატება მხატვრულ ფანტაზიას,
რომ ლიტერატურა უპირველესად გამონაგო-
ნი კი არ არის, არამედ მდიდარი ცხოვრე-
ბისეული გამოცდილების donniées-ის ესთე-
ტიკური მოწესრიგებაა.

კანზას სიტიში ცხოვრებას გაეცნო, მაგ-
რამ მალე უფრო დიდი ცხოვრების — ომში
ჩაბმული ევროპის სამკედრო-სასიცოცხლო
ბრძოლის ნახვა მოუნდა, მის ნაცნობ რეპორ-
ტიორს ტედ ბრუმბეკს ცალი თვალი არა თუ
სუსტი, არამედ შუშისა ჰქონდა, მაგრამ ოთ-
ხი თვე საფრანგეთში დაყო ამერიკის სავე-
ლე სანიტარულ რაზმში. ამით გამხნეებულ-
მა ჰემინგუეიმ 1918 წლის აპრილის ბოლო
დღეს უკანასკნელად მიიღო ხელფასი „კან-
ზას სიტი სტარ“-ში, ხოლო მაისში უმც-
როსი ლეიტენანტის საპარადო ფორმაში
გამოწყობილი ბროდვეიზე დასეირნობდა. იგი
წითელი ჯვრის რაზმში ჩარიცხეს. ოფიცია-
ლურად, როგორც მეზრძოლს, მას არც ერთ
ომში არ მიუღია მონაწილეობა. მაგრამ მითს
ჰემინგუეის საბრძოლო გზაზე იმთავითვე და-
ედო სათავე. თავის მეგობრებს კანზას სი-
ტიში მან შესაშური მტკნარი სიცრუე მისწე-
რა: ტრაბახობდა, მეი მარში (კინოვარსკვლა-
ვი ფილმში „ნაციის დაბადება“) ჩემი შეყ-
ვარებულია და 150 დოლარი, გამომშვიდობე-
ბისას რომ მაჩუქა მამაჩემმა, ნიშნობის ბე-
ჭედში მივეციო. ის კი მართალია: პრეზიდენ-
ტი უილსონი მართლაც ნახა, კიდევაც ჩა-
უარა მას, როგორც ოცეულის მარჯვენა წი-
ნამძღოლმა, მეხუთე. ავენიუზე გამართულ
75-ათასიან პარადზე. მისი შინ გამოგზავ-



მეი მარში უმცროსი დი. როდ. აი
 დ. უ. გრიფიტის ფილმში „მაც. აიას
 დაბადება“.




☞

ნილი წერილის სტილი გამოიყვება მგზნებარეა: „ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა“ მე. უწარჩინებულესი ჰემინგუესტაინი. გაახლებთ ამ ეპისტოლეს“. ცოტაც და, სასიამოვნო და საზეიმო გამოთხოვების შემდეგ გემა „ჩიკაგო“-მ საფრანგეთისაკენ აიღო გეზი; ჰემინგუე ბრძოლის ველისაკენ მიემშურებოდა და შორს რჩებოდა შუა დასავლეთის უმანკობა. ბორდოს, პარიზის და სენის მთის გვირაბის გავლით იგი მილანისაკენ წაიყვანეს. მილანში წითელი ჯვრის სხვა რაზმელებთან ერთად პირველსავე დღეს იწვინია ომის საშინელება; აფეთქდა სამხედრო აღჭურვილობის ქარხანა და მათ უნდა აეკრიფათ ცხედრები და ცხედართა ნაფლეთები, უმეტესწილად ქალებისა. ყოველივე ამან თავზარი დასცა მიაშიტ ყმაწვილს, რომელსაც მანამდე წვრილფეხა ნადირი თუ მოკვლა, მაგრამ არასოდეს შესწრებია ადამიანის სიკვდილს, მით უმეტეს — ამდენსა და ასეთი სახით. მე-


პირველი მსოფლიო ომი დაწყდა
 ბი.

ჯარების ნაპირკარი იტალიის
 ფრონტზე. სადაც უმეტესად მოუწია ყოფნა



წითელი ჯვრის ლეიტენანტი —
ერნესტი კროჩე როზა ამერიკანას
ჰოსპიტალში.

ერნესტი ყავარჯნებით.



სამე დღეს 25 კაციან რაზმთან ერთად დოლომიტეს მთებში, შიოში გაგზავნეს. მთებში გახურებული ბრძოლა იყო და საჭირო გახდა დაჭრილი იტალიელების ევაკუირება. აქ ჰემინგუეი შეხვდა ჩიკაგოელ ახალგაზრდას — დოს პასოსს, რომელიც აგრეთვე სანიტრად მუშაობდა და რომელიც შემდეგ, ჟან პოლ სარტრის აზრით, ამერიკის უდიდესი მწერალი გახდა. ამ პირველი შეხვედრისას მათ ერთმანეთის სახელი ალბათ წესიერად არც დამახსოვრებიათ. ვენეციის ჩრდილოეთით, პიავეს გაყოლებით, ავსტრიელები უტევდნენ და იტალიელები სანგრებში აფარებდნენ თავს. ფრონტის ხაზთან პატარა ქალაქებში წითელი ჯვრის სასადილოებში მოხალისეები ესაჭიროებოდათ. ერნესტმა, რომელიც როგორც კანზას სიტიში ამბობდნენ, ყოველთვის იქით მიემუშურებოდა, სადაც რაიმე ხდებოდა, განსაკუთრებულად დაზარალებულ

სიყვარული: მოწყალების და აგნეს პანა ფონ კუროვსკი, ერნესტის რჩეული 18 მიძათა შორის.



ბულ სოფელში — ფასალტაში გაგზავნა ითხოვა.

ერთ დახუთულ და უმთვარო ღამეს ჯარისკაცებისათვის ტრანშეაში სიგარეტებისა და შოკოლადის მისატანად თავზე კასკით, წელმოხრილი, ჯვარედინა ცეცხლში რომ არ მოხვედრილიყო, იგი ველოსიპედით გაემგზავრა მოწინავე საკომანდო პოსტისაკენ. ნაშუალამევეს ავსტრიელებმა მდინარის მთელ გაყოლებას ყუმბარები — ლითონის წვრილი ნატეხებით გამოტენილი ოცლიტრიანი ფთქებადი კანისტრები დაუშინეს. ბევრი იტალიელი დაიჭრა. ჰემინგუეი ერთ დაჭრილს მიეშველა, რომელიც გამწარებული ყვიროდა, და შეეცადა საკომანდო პუნქტთან მიეყვანა. ორმოცდაათამდე იარღი ჰქონდა გავლილი, როცა ავსტრიელთა ტყვიამფრქვევმა იგი მარცხენა ფეხში დაჭრა. დაეცა, გონს მოგო და დარჩენილი ასი იარღი ზურგზე მოკიდებული თავისი სულთმობრძავი ტვირთით იხობა. შემდეგ ცნობა დაკარგა. კიტელი დაჭრილი იტალიელის სისხლით ისე ჰქონდა ერთიანად მოთხერილი, რომ მაშველსანიტრებს თავდაპირველად ეგონათ, მკერდშია დაჭრილიო. ფარდულში მოათავსეს, სადაც იმდენი დაჭრილი და მკედარი იწვა, რომ, როგორც მოგვიანებით თქვა ჰემინგუეიმ, უფრო ბუნებრივად მიაჩნდა -- მომკვდარიყო, ვიდრე გადარჩენილიყო. ორი საათის შემდეგ ფორნაჩის სამედიცინო პუნქტში მიიყვანეს, სადაც ფეხში მოხვედრილი ასობით ნატეხიდან ოცდარვა ამოუღეს. ბოლოს ისევ იქ მიიყვანეს, საიდანაც ექვსი კვირის უკან გამოემგზავრა. ეს იყო „ოსპიდალე კროჩე როზა ამერიკანა“ (ამერიკული წითელი ჯვრის ჰოსპიტალი) მილანში აღესანდრო მანძონის გზაზე. აქ მხოლოდ ოთხი პაციენტი იყო და 18 მოწყალეების და. ჰემინგუეის საბრძოლო გზა ამით დამთავრდა, თუმცა მას დიდი სურვილი ჰქონდა. როგორც კი ფეხი

მოურსებოდა. კვლავ ფრანტზე დაბრუნებულ
ლიყო. გმირი იყო. წარადგინეს იტალიურ
მედალზე „მაძაცობისათვის“ ახალგაზრდა
და ღამაში იყო. ბუღალსაკით ჯანდონით სავ-
სე და ომში დაჭრილი. 18 მოწყალების
და თავს დაფუხვუხვებდა. არსეკანი დიდი
იყო. მას უგონოდ შეეყვარდა ვაშინგტონე-
ლი შავთმიანი მოწყალების და აგნეს ჰანა
ფონ კურთვსკი.

შინ დაბრუნებული გმირი იტა-
ლიური ღაბაღით. თუკ პარკი, 1918.

ჩიკაგო. შინიგანის პროსპექტი.
წრდილოეთის ხედი მდინარის მხრი-
დან.





ქალმაც უთანაგრძნო, მაგრამ ცდილობდა ზედმეტად არ აჰყოლოდა გრძნობებს, ვინაიდან თვითონ ოცდაათისა იყო, ხოლო ერნესტი — მასზე ათი წლით უმცროსი. უდავოა, რომ მას მოსწონდა ერნესტი, და არა მხოლოდ მას. მომხიბლავი გარეგნობის გარდა იგი ვაჟკაცური იერითა და ომშიგამოვლილის სერიოზულობით გამოირჩეოდა. ნაწვნივი ჰქონდა ომის ქარ-ცეცხლი; ახლა სიყვარულის გაკვეთილებს იღებდა და კიდევ მეტი — სიკვდილზე საკუთარ თვალსაზრისს აყალიბებდა. ბევრს ფიქრობდა პირველი დახმარების პუნქტში გაცნობილ 55 წლის ჭაღარა მამაკაცზე, რომელმაც, როცა ერნესტმა უთხრა — „თქვენ troppo vecchio ხართ ომისათვის, ბიძაჩემო“, ასე მიუგო: „მე ისევე შემიძლია მოვკვდე, როგორც ყველა სხვას“. მილანში გაცნობილმა ინგლისის სახმელეთო ჯარის ოფიცერმა ერიკ დორმან-სმითმა მასთან საუბრისას „ჰენრი IV“-ის II ნაწილიდან დაი-მოწმა სიტყვები, რომლებიც ჰემინგუეისათვის ამიერიდან ერთგვარ შელოცვად იქცა. ჭნავი, რომელსაც ფოლსტაფი ბრძოლისაკენ მოუწოდებს, ასე აცხადებს: „სინდისს ვფიცავარ, არ დავეძებ როდის მოვკვდები. ყველანი ვალში ვართ ღმერთის წინაშე. ადრე თუ გვიან ხომ უნდა მოვკვდეთ, რომ ღმერთს ვალი გადავუხადოთ... ვინც წელს მოკვდება, მშვიდად იქნება, გაისად ვალზე აღარ იფიქრებს“.

გამოცდილება იტალიის ომში, მოწყალეობის დის შეყვარება, ზიარება უფრო ძველ რელიგიასთან, ვიდრე ის რელიგიაა, რომელსაც ილინოისში მისი მშობლების სარწმუნოებით — მესამე კონგრეციული ეკლესიით იცნობდა, ღვისი და სისხლი, ევროპის სიძველენი — ასეთი იყო ის გზა, რომელმაც ჰემინგუეი თანდათან „მშვიდობით, იარაღო“-ს gestalt-თან მიიყვანა და, ასე ვთქვათ, ევროპელად აქცია. შეიძლება ითქვას, რომ ჰემინ-

გუვის არაფერი დაუწერია ამერიკაზე, სადაც მისი სიტყვით, არასოდეს არ ხდება რაიმე საინტერესო. ოუკ პარკში უგუნებოდ დაბრუნდა, თუმცა აქ მას როგორც გმირს, დიდ პატივს სცემდნენ. დაეხეტებოდა თავისი იტალიური ლაბადით, სვამდა vino-ს, პიავის მხარის სიმღერებს მღეროდა და სამუშაოს ძიებით თავს არ იწუხებდა. მეტყველებაც კი გამოეცვალა. ღორმან-სმითისაგან სხაპასხუპით ლაპარაკს დაეჩვია, რაც ძალიან მოუხდა მის თანდაყოლილ ლამბდაციზმს (გვერდითი თანხმონის გამოთქმის დეფექტს; ასე რომ, „ლილი“-ს ნაცვლად „ვივი“-ს გამოთქვამდა). აგნესზე ფიქრობდა და ყოველდღე წერილს უგზავნიდა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ აგნესს ლამაზი ნეაპოლიტანელი შეყვარებოდა. ერნესტი ერთხანს სიბრაზისაგან ცოფებს ყრიდა. მაგრამ ბევრი არაფერი დაუკარგავს. ამიერიდან აღარ შეეშლება სიყვარული და უბრალო Schwärmerei; ერთ დღეს, რაც თავს გადახდა, წიგნად იქცევა. ამასობაში დედამ შინიდან გამოაძევა უსაქმობისათვის. ერნესტი ჩიკაგოში წავიდა. „ტორონტო სტარ“-ისათვის რეპორტაჟებს წერდა და ცდილობდა რომელიმე გამომცემელი თავისი მოთხრობებით დაეინტერესებინა.

1920 წლის შემოდგომაზე სენტ ლუიზიდან ჩიკაგოში ჩამოვიდა ქალიშვილი, ელიზაბეთ ჰედლი რიჩარდსონი, რომელსაც დედა ახლად გარდაცვლოდა. გადაღლილი იყო დედის ხანგრძლივი ავადმყოფობით და უნდოდა ერთხანს მეგობრებთან დაესვენა. სტუმრობა-სტუმრობაში ბევრ შფოთისთავ ახალგაზრდას გაეცნო. ერთ მათგანს მრავალი სახელი ჰქონდა — ერნი, ნესტოუ, უომეჯი, ჰემი, სტაინი, ჰემინგსტაინი. მათ მოეწონათ ერთმანეთი. ელიზაბეთი ერნესტზე რვა წლით უფროსი იყო; წაბლისფერი თმა და მაღალი ლამაზი ტანი ჰქონდა. ცხოვრებაში გამოუცდელი ელიზაბეთი აღტაცებული შეჰყურებ-



ელიზაბეთ ჰედლი რიჩარდსონი,
ჰემინგუეის პირველი მეუღლე.

და წერისა და ანეკდოტების მოყოლის ნიჭით დაჯილდოებულ ქათქათაკბილებიან გმირს. ჩიკაგოში ელიზაბეთს მეტსახელად ჰაში ერქვა. ერნესტი მას ჰედლის ეძახდა. როდესაც იგი სენტ ლუისში დაბრუნდა, ერნესტმა ჩააკითხა და ჰედლის არ დაუმაღავს თავისი სურვილი კვლავ მოენახულებინა გაჩირადნებული ჩიკაგო და ესმინა — რა საძაგელი ქვეყანაა ამერიკა და რა შესანიშნავია საცხოვრებლად ევროპა. მალე ქორწინებაზე დაიწყეს მსჯელობა, მაგრამ ერნესტი ერთობ ხელმოკლედ იყო. მოთხრობები გამომცემლებს ვერ მიჰყიდა, ხოლო რომანი დაწყებული ჰქონდა, მაგრამ არ ეწერე-



ქორწინების დღე. 9 მარტი, 1921.
საქორწინო სახუკრებზე ჰემინგუე
წერდა:

ბუხრის რაფაზე
სამი დასადგმელი საათის
წიკწიკი
მძიმე

ხოლო ახალგაზრდას – შია.
ჰემინგუე, ცოტა არ იყოს, აჭარ-
ბებდა. არც ასე შავ დღეში იყო.

შერუდ ანდერსონი. მან ურჩია
ახალდაქორწინებულებს პარიზში
წასულიყვნენ.



პარიზი, 1920-იანი წლები. Cafe du Dome.

ბოდა. თვეში მხოლოდ ორმოც დოლარს იღებდა; კოოპერატიული მოძრაობის რაღაც ჟურნალს რედაქტორობდა, რომელსაც ფაქტიურად მთლიანად თვითონ წერდა. ეს იყო და ეს. ჰედლის ჰქონდა საკრედიტო ფონდი, რომლის შემოსავალი წელიწადში 3000 დოლარს შეადგენდა. ერნესტი, მასზე ადრე თუ მის შემდეგ მრავალი დამწყები ხელოვანის მსგავსად, მზად იყო ცოლის ხარჯზე ეცხოვრა, ვიდრე წელში გაიმართებოდა. იქორწინეს თუ არა, გამოაცხადეს, იტალიაში მივდივართ საცხოვრებლად.

არა, — უთხრა მათ შერვუდ ანდერსონმა, — იტალიაში არა. წადით პარიზში, ეს ერ-



ჯეიმზ ჯოისი, გაჭირვებული, მაგრამ გამოწვეპილი, სილვია ბინთან ერთად მალაზიის – „შექსპირი და კომპანია“ – შესასვლელთან, 1920. ორი წლის შემდეგ, რადგან სხვა გამომცემელი არ მოიძებნა, „ული-სე“ სილვია ბინმა გამოსცა.

ჯოისი ესაუბრება სილვია ბინს მის მალაზიაში.





გერტრუდა სტაინი, ექსპერიმენტალისტი პროზაიკოსი, პარიზში. მან გაუწოდა დახმარების ხელი ახალბელა ჰემინგუეის.

თადერთი ადგილია ხელოვანისთვის. ანდერსონი ამ დროს შუა ხანს მიღწეული ცნობილი მწერალი იყო; ამეამად მას იცნობენ მოთხრობების კრებულით „უინსბერგ, ოჰაიო“. მან როგორც სტილისტმა ზეგავლენა იქონია ახალგაზრდა ჰემინგუეისზე, თუმცა ეს უკანასკნელი მალე განუდგა ანდერსონს და მასზე პაროდიაც კი დაწერა. იმხანად ანდერსონი თავის ცოლთან — ტენესისთან ერთად ჩიკაგოს გარეუბანში ცხოვრობდა, შუა დასავლეთის მეშჩანური საზოგადოებისაგან თავი შორს ეჭირა, თავის პროზაში მას თავს ესხმოდა და არც ის გამოპარვია მხედველო-



ბიდან, რომ მთელი ამერიკა საქმოსნური ვინით იყო შეპყრობილი, რაც სულიერ სიღატაკეს მოასწავებდა. წადი პარიზში, — უთხრა ანდერსონმა, — სადაც ხელოვნებას მთელი სერიოზულობით ეკიდებიან, სადაც, ჰენრი ჯეიმზისა არ იყოს, ჰაერიც კი სტილითაა გაჟღენთილი. „ტორონტო სტარ“-ი მზად იყო ებეჭდა ჰემინგუეის რეპორტაჟები ევროპიდან. მან შეუკვეთა ბილეთები გემზე „ლეოპოლდინა“. გემის ჯოისისებური სახელი კარგის მომასწავებელი გამოდგა. აი სარკომენდაციო წერილები, — უთხრა შერვუდ ანდერსონმა, —

ჯოისი, 1934. თვალის ტკივილითა და მხედველობის დაქვეითებით გატანჯული ჯოისი იმხანად თავის უკანასკნელ დიად ექსპერიმენტულ წიგნს — „ფინევანის ალას“ კმნიდა.

ეს გერტრუდა სტაინისადმია, იგი ემიგრანტია, ამერიკული პროზის დიდი ნოვატორი; ეს სილვია პინისადმია, მას თავის კომპანიონთან ერთად ოდესონის ქუჩაზე აქვს წიგნის მაღაზია „შექსპირი და კომპანია“; ეს ეზრა პაუნდისადმია, იგი პოეტია და ჩემი მეგობარი; ამ წერილს ლუი გალანტიეს მისცემ, იგი ვაჭრობის პალატაში მუშაობს. მაღლობის ნიშნად, გემით გამგზავრების წინა ღამეს ჰემინგუეიმ მთელი თავისი დარჩენილი კონსერვები ტომარაში ჩაალაგა, ზურგზე მოიგდო და ანდერსონთან მიიტანა. მოგვიანებით მან კრივს მიჰყო ხელი, მეტწილად მესპარინგე იყო და ამით ცოტაოდენ ფულს შოულობდა. გემით მგზავრობისას კრივში საჩვენებელი შეჯიბრი მოაწყო ცოტაოდენი ფრანკის შესაგროვებლად ერთი ფრანგი ქალიშვილისათვის, რომელიც ქმარს – ამერიკელ ჯარისკაცს მიეტოვებინა და ახლა, აცრემლებული და უმწეო, შინ ბრუნდებოდა. ლამის პირველი, რაც ჰემინგუეიმ პარიზში მოიმოქმედა, ის იყო, რომ ლუის გალანტიე, რომელიც სასტუმროში ეწვია და ცოლთან ერთად სადილად დაპატიჟა, კრივში გაიწვია და სათვალე გაუტეხა. გვონებ არავინ დარჩენილა, რომ აღრე თუ გვიან კრივში არ გამოეწვია, ამ საქმისათვის შეუფერებელი ფორდ მედოქს ფორდის, ბეცი ჯეიმზ ჯოისისა და გერტრუდა სტაინივით სექსუალურად საეჭვო ადამიანთა გარდა. პარიზში დიდ დროს უთმობდა კრივს. გარეგნულად ასე ვლინდებოდა შინაგანი ბრძოლა, მიმართული არა ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, როგორცაა ხასიათები, მოტივირება, ფილოსოფიური სიღრმე და არქიტექტონიკა, რომლებიც მთავარი იქნებოდა ჯეიმზისებური რომანისტიკისათვის, არამედ „ჭეშმარიტი და უბრალო თხრობითი წინადადების დასაწერად“. ბულვარის კაფეებში გაფანტული სხვა ავანგარდისტი მწერლების მსგავსად, ჰემინგუე-

იც ორიგინალურ მხატვრულ ამოცანას ისახავდა მიზნად. უსამკაულებოდ და მოვლენებისადმი დამოკიდებულების გამოუმუდავებლად თხრობა, იმგვარად თხრობა, რომ სიტყვა და მთელი ტექსტი აზრსა და გრძნობასაც გამოხატავდეს და საგანთა სამყაროსაც, — დღეს ადვილია ამაზე მსჯელობა, უმთავრესად იმის გამო, რომ ჰემინგუეიმ ნათელჰყო თუ როგორ უნდა მიაღწიო ამ მიზანს. მაგრამ ეს ადვილი არ იყო იმ დროს, როდესაც „ლიტერატურა“ ნიშნავდა ვიქტორიანულ ყაიდაზე წერას, ანუ ნეოგოთიკური სამკაულების, მწიგნობრული აღუზიებისა და დახლართული ქვეწყობილი წინადადებების გამოყენებას და ზომიერ თუ თავაშვებულ თვითნებობას ავტორისა, რომელიც მკითხველს თავს ახვევდა თავის მოსაზრებებს ამა თუ იმ მოვლენაზე.

გერტრუდა სტაინი იმ ამერიკელ ემიგრანტ მწერალთაგანი იყო, რომლებიც ენის, ცოტა არ იყოს, ჭარბი გამარტივებით ინგლისური ენის დახვეწას და მკითხველის ესთეტიკურ გაცეზებას ისახავდნენ მიზნად (ანუ მკითხველისათვის გარე სამყაროს ისე ჩვენებას, თითქოს პირველად ხედავსო). ჰემინგუეიმ სტაინს, რომელსაც ასაკით შვილად ერგებოდა, თვისი ნაწარმოებები უჩვენა — დაწყებული რომანი და ეზრა პაუნდის „იმაჯისტური“ სტილით დაწერილი თავისუფალი ლექსი. ბევრი ზედმეტი აღწერაა, — უთხრა სტაინმა, — ბევრი სამკაულია. შეამოკლე, შეამჭიდროვე. ჯეიმზ ჯოისის ჯერ კიდევ ტრიესტში დაწყებული სტილისტური ძიებანი აქ, პარიზში, „ულისე“-თი დაგვირგვინდა („ჯერარნახული უბადლო წიგნი“ უწოდა მას ჰემინგუეიმ, როდესაც იგი გამოიცა 1923 წელს), და რომელშიც კომიზმი არღვევს ტრადიციულ რიტორიკულობას, ცნობიერება უშუალოდ მუდავნდება შინაგან მონოლოგებში, ხოლო გარე სამყაროს ასახვა იშვიათი ლაკონურობით ხასიათდება. ეზრა პაუნდს, რომელ-

4. ენტონი ბერჯისი.

მაც „სექსტუს პროპერციუსით“ 1917 წელს ახალი ინტონაცია შემოიტანა ინგლისურ-ენოვან პოეზიაში და პირველმა გააცნო ჯოისი საერთაშორისო (ე. ი. პარიზის) ლიტერატურულ სამყაროს, არც ჰემინგუეის ნიჭი გამოპარვია მხედველობიდან. მან წაახალისა ერნესტი, რომელიც სამაგიეროდ კრივში ავარჯიშებდა.

მაგრამ ლიტერატურული ჟურნალებისაკენ ჰემინგუეის გზა გაუხსნა შერვუდ ანდერსონმა, რომლის ხელშეწყობით ახალი ორლენის ჟურნალში „დაბალ დიილარ“ უილიამ ფოლკნერის – სამხრეთელი მწერლის, მოგვიანებით ამერიკული რომანის აგრეთვე თვალსაჩინო და თავისებური რეფორმატორის ვრცელი ლექსის შემდეგ დაიბეჭდა ჰემინგუეის სატირული იგავი და ოთხტაეიანი ლექსი. ჰემინგუეი წახალისდა და ჰედლის თხოვა პარიზიდან ლოზანაში, სადაც იგი „ტორონტო სტარ“-ის მივლინებით იმყოფებოდა, ჩამოეტანა ყველა მისი ხელნაწერი. უნდოდა ენახა, თუ გამოადგებოდა რამე დასახვეწად ან დასაბეჭდად. ჰედლიმ ხელნაწერებით სავსე პატარა ჩემოდანი მატარებელში ორიოდე წუთით უმეთვალყურეოდ დატოვა ლიონის სადგურში მისვლისას და როცა დაბრუნდა, აღარ დახვდა. ერნესტის გულისწყრომას საზღვარი არ ჰქონდა და ჰედლიმ იგრძნო, რომ მისი მრისხანე მზერა მათ ურთიერთობაში ბზარის გაჩენას მოასწავებდა. „მზად ვიყავი რაიმე ქირურგიული ოპერაცია გამეკეთებინა, რათა დანაკარგი დამვიწყებოდა“, – ამბობდა ერნესტი მოგვიანებით, მაგრამ ზოგი ჭირი მართლაც მარგებელია: იძულებული გახდა ხელახლა დაეწყო წერა.

1923 წელს მისი არაერთი ნაწერი მიიღეს დასაბეჭდად. მარგარეტ ანდერსონი და ჯეინ ჰიპი სცემდნენ ავტორიტეტულ ჟურნალს „ზი ლიტლ რივიუ“, ხოლო ჰარიეტ



მონროუ „პოეტრი“-ს გამოსცემდა; ჰემინგუეი ორივეგან უნდა დაეუბნებინათ. პარიზი არა მხოლოდ ჭეშმარიტი მწერლებისა და უსაქმური პოზიორების ადგილსამყოფელი იყო; იგი ამავე დროს უანგარო გამომცემელთა ცენტრი იყო: ჰარი კროსბი, რობერტ მაკალმონი, უილიამ ბერდი და სხვები ფულიანი ხალხი იყო, რომლებიც მზად იყვნენ დაეუბნებინათ მცირე ტირაჟით მწერალთა ნაწარმოებები. კანზასელმა მაკ ალმონმა (ანი უინიფრედ ელერმანის ქმარმა), რომელიც ლიტერატურაში მეტწილად ბრაიერის სახელითაა ცნობილი,

ჯონ დოს პასოსი შრუნსში, ავსტრია, 1920-იანი წლების შუა ხანა. ჟან პოლ სარტრი მას მისი დროის უდიდეს ამერიკელ მწერლად თვლიდა. განსაკუთრებით ცნობილია სტილისტურად ავანგარდისტული და მემარცხენეობის პოზიციებიდან დაწერილი ტრილოგიით „აშშ“.



ჰემინგუეი კორიდაზე მადრიდში, 1923. ამ დროს იწყება მისი გატაცება ხარების ბრძოლით.


მამბლონა, ბასკეთი. სან ფერმინის ფიესტას დროს ყოველ დილას პლაცა დე ტოროსისაკენ გარეული ხარების თქარათუქური იხმობდა.



გადაწყვიტა გამოეცა ჰემინგუეის „სამი მოთხრობა და ათი ლექსი“. ოდნავ მოგვიანებით ბერდმა გამოუცა მოთხრობებისა და მინიატურების კრებული „ჩვენს დროში“ (in our time) რომელიც მთლიანად პეტიტით აწყობილი სათაურით განსხვავდება ჰემინგუეის

პირველი კომერციული გამოცემისაგან — „In Our Time“.

ამასობაში ჰემინგუეი ტორონტოში რეპორტაჟებს გზავნიდა იმ მოუსვენარ და ტანჯულ ევროპაზე, რომელიც დამყარებული მშვიდობის წიაღში იბადებოდა. ინფორმაციებს გზავნიდა არა მხოლოდ პარიზიდან, არამედ — გენუიდან, რომლის ქოხმახებში იტალიური კომუნისტური მოძრაობა იბადებოდა, მადრიდიდან და აღრიანოპოლიდან, საბერძნეთ-თურქეთის ომის სხვა ადგილებიდან, კონსტანტინეპოლიდან, რომელიც მალე სტამბულად და ქემალ ათათურქის სოციალური რევოლუციის ცენტრად იქცა, ლოზანას სამშვიდობო კონფერენციიდან, რომელიც 1923 წელს ბალკანეთის ტერიტორიული დავის მოსაგვარებლად იქნა მოწვეული. იგი შეხვდა კლემანსოს, რომლის უხეში ბრალდება, თითქოს კანადამ არასაკმარისად მიიღო მონაწილეობა გასულ ომში, „ტორონტო სტარ“-მა პრინციპულად არ დაბეჭდა თავის ფურცლებზე. შეხვდა მუსოლინის — „ვეროპის უდიდეს ბლეფს“. იტალიაში მან შეცდომა დაუშვა — ჰედლისთან ერთად თავისი წარსული მოინახულა („გუშინდელის გამოდევნება უკანალის ჩვენებაა“), ხოლო შიოში ერნესტი და დოს პასოსი კვლავ გაეცნენ ერთმანეთს. დოს პასოსი მუშაობდა ტრილოგიაზე „აშშ“, რომელიც თავისი ფორმით ჰემინგუეის ნებისმიერ ნაწარმოებზე უფრო ექსპერიმენტულია და სწორხაზოვანი პოლიტიკური ტენდენციურობით ხასიათდება. დოს პასოსი კომუნისტებს მიემხრო; ჰემინგუეი არასოდეს ყოფილა წმინდა პოლიტიკური მწერალი, ხოლო მისი „მეხუთე კოლონა“ და „ვის უხმობს ზარი“ განეკუთვნება ესპანეთის სამოქალაქო ომის პერიოდს, როდესაც ყველა პატიოსანი მწერალი რესპუბლიკელთა მხარეზე იყო. მოგვიანებით ამერიკელი მემარცხენეები მას „ნეიტრალურ ჰედონიზმს“



ასპარეზზე ხარების გამორეკვა, რაც
პემინგუის, მისი თქმით, ათას -
ჯერ მაინც უნახავს.

სახელოვანი ტორერო - ნიკანორ
ვილალტა.

სდებდნენ ბრალად, მაგრამ იგი თავიდანვე მტკიცედ დაადგა იმ აზრს, რომ მწერლის უფლება და ვალია მოვლენები და ადამიანები იდეოლოგიური შეფერადების გარეშე გვიჩვენოს. მის მიერ „ტორონტო სტარ“-ისათვის გაგზავნილ რეპორტაჟებში ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვა ერთობ გამჭრიახი და ზოგჯერ — წინასწარმეტყველურიცაა. მას ჰქონდა საოცარი ალღო წინასწარ ეგრძნო პოლიტიკური სიტუაციებისა და რეჟიმების მომავალი განვითარება.

ესპანეთს იგი არა ჟურნალისტური მიზნით, არამედ ცნობისმოყვარეობის გამო ეწვია: პირენეის ნახევარკუნძული ერთადერთი რომანულენოვანი ქვეყანა იყო, რომელიც არ ენახა. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კორიდამ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ხარების ბრძოლა ტრაგიკული რიტუალია და არა უბრალოდ სისხლის ღვრა. პარიზში რომ დაბრუნდა, გერტრუდა სტაინმა ურჩია ნავარას მხარეში პამპლონაში სან ფერმინის ივლისის ფიესტას დასწრებოდა. მასაც და ჰედლისაც ძალიან უნდოდათ წასვლა. ჰედლის მობეზრებული ჰქონდა პარიზში მათი ბინის სიღატაკე; მოუსვენარი ქალი იყო; იმუამად ორსულად იყო. ერნესტი ამბობდა, ხარების ბრძოლის ნახვა ბავშვს დედის მუცელში ძალ-ღონეს მატებსო. წავიდნენ და დიდად ისიამოვნეს, მოხიბლულები დარჩნენ. ნახეს ბაროკალური რელიგიური პროცესიები, ღვინით ქეიფი, რიო-რიოს ცეკვა, დილა-ადრიან მოკირწყლულ ქუჩებში გამორეკილი ხარები ბასრი რქებით და — ახალგაზრდა პამპლონელები, რომლებიც ხარების ცხვირწინ სახიფათო მანძილზე უვიღ-ხივილით მირობოდნენ წინ. ჰემინგუეი გახდა გულშემატკივარი in excelsis. ტორერო ნაკანორ ვალალტა თავის კერპად გამოაცხადა; თუ ვაჟი მყოფოდა, ნაკანორ ვილალტა ჰემინგუეის დავარქმევო. ხარებთან ბრძოლაზე მინიატურების

სერია შექმნა, რომლებშიც არის ძალისხმევა, სისხლისღვრა და სიმკაცრე, და არ არის სისასტიკე. ეს მინიატურები შევიდა მის კრებულში „in our time“.

გამოიცა მისი პირველი წიგნები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ნედლი მასალა იყო, პრეტენციოზული და ვიწრო წრისათვის განკუთვნილი; ამერიკულ გამოცემლობაში დიდტანიანი და შემოსავლიანი წიგნის დაბეჭდვა ჯერ კიდევ მიუღწეველ ოცნებად ჩანდა, თუმცა ნამდვილად ჰქონდა აზრი ამერიკაში მაკალმონის მიერ გამოცემული კრებულის წადებას. ერნესტი და ჰედლი სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ, რათა მათი შვილი უცხოელად არ დაბადებულიყო. ჰემინგუემ გაწყვიტა კავშირი კანადასთან იმის გამო, რომ „ტორონტო სტარ“-ის რედაქციაში ყველას უჩვენებდა მაკალმონის მიერ გამოცემულ თავის კრებულს და თავი გამომწვევად ეჭირა, ხოლო ამის საპასუხოდ თავნება რედაქტორმა ჰემინგუეისეული რეპორტაჟი ანონიმურად დაბეჭდა. ჯონ ჰედლი ნაკანორ ჰემინგუეი დროულად დაიბადა („ვილალტა“-ც რომ დაერქვათ, მეტისმეტად გრძელი სახელი გამოვიდოდა). ჰემინგუეის პირველსავე ნაწარმოებებს ედმუნდ უილსონმა (დროა იგი ამერიკის უდიდეს კრიტიკოსად იქნას აღიარებული) მაღალი შეფასება მისცა, კერძოდ — „in our time“-ს. პარიზში დაბრუნებულ მამას, მეუღლეს, თავისი გზის მაძიებელ მწერალსა და „ტორონტო სტარ“-ის ყოფილ კორესპონდენტს, წინ ჯერ კიდევ ბევრი სიმწელე ელოდა, მაგრამ იგი უკვე აღარ იყო ახლბედა ლიტერატორი.

ნოტრ დამ დე შანის ქუჩაზე ხის სახერხის თავზე ერთ ხმაურიან ეზოში ბინა იქირავეს და აიყვანეს *femme de ménage*, რომლის მისამართი იყო: 10 ბის, ავენიუ დე გობელენ. ჯონ ჰედლი ნიკანორს მეტსახელად ბამბი დაარქვეს; როცა ენა აიდგა, რომ და-

კარგულიყო, ამ მისამართს დაასახელებდა:
დი ბის ავენიუ დე გობელენ,
დი ბის ავენიუ დე გობელენ,
დი ბის ავენიუ დე გობელენ,
აქ ბინა აქვს ჩემს ბამბის.

20 წლის შემდეგ ეს სიმღერა იქცა ჰემინგუეის მოხალისეთა რაზმის მარშად, როდესაც ისინი პარიზის განთავისუფლებაში მონაწილეობდნენ. პარიზი, რომელიც ჰემინგუეის სამუდამოდ ჩარჩა გულში, მისი იდილიური დღეების, ბედნიერი ქორწინების, შემოქმედებითი სიწმინდისა და იმედებით აღსავსე ყრმობის ქალაქი იყო. ეს იყო *liberation nostalgique*.

ჯერჯერობით ისევ ბეჯითი შრომისა და ხელმოკლედ ცხოვრების ხანა იყო; ისევ მიჰყო ხელი მესპარინგეობას კრივში. ერთხელ ეზრა პაუნდის სტუდიაში თავისთვის ვარჯიშობდა, დიდ ჩინურ ვაზას „ეჯიბრებოდა“, როდესაც პირველად შეხვდა ფორდ მედოქს ფორდს. ფორდი იმ დროს უდიდეს ინგლისელ რომანისტად ითვლებოდა. იგი ძალიან ბევრს წერდა, როგორც უნდა წერდეს ყოველი პროფესიონალი მწერალი, თუ არ უნდა ჰემინგუეის ხვედრი გაიზიაროს – ფონს გასული გუნდრუკის კმევით ტკბებოდეს. დღეს მისი ნაწარმოებები აღარ იბეჭდება და აღარაუის ახსოვს (ლექსების გარდა, რომლებიც ძალიან მაღალი დონისაა), „გულადი ჯარისკაცი“ და „სამოთხის დასასრული“ აღიარებული შედეგებია. იგი მისი დროისა და შესაძლოა ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი რედაქტორთაგანი იყო; იმჟამად პარიზში ახალ ჟურნალს – *the transatlantic review*-ს (მაშინ მოღადა იყო მთავრული ასოების გამოყენებაზე უარის თქმა) აარსებდა. პაუნდმა მისთვის ჩვეული გულუხვობითა და პირდაპირობით განუცხადა ფორდს: როგორც პროზის სტილისტს, ჰემინგუეის მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს და ამიტომ სწორი იქნე-

ჰემინგუეი პარიზში თავისი სახლის ეზოში ნოტრ დამ დე შამპის ქუჩაზე, 1924. ჟურნალისტად მხოლოდ იმიტომ ვმუშაობ, თქვა მან იმავე წელს, რომ ფული მჭირდება.



ჯონ ჰელი ნიკანორ ჰემინგუეი, იგივე ბამბი, პარიზში, მამასთან ერთად, 1924.

პატარა ჯონი გერტრუდა სტაინთან და მის მეგობართან — ალისა ბ. ტოკლასთან ერთად.

ასე მიმდგრა ეს სიმღერა ერთმა ვინმემ, კარგად მახსოვს ეს პანგი. ასეა თუ ისე, შეესაბამება ტექსტს.

ბა თუ იგი ნაკლებად სრულყოფილი, თუმცა მაინც კარგი სტილისტის მოადგილე გახდება. ჰემინგუეი უსასყიდლოდ ეხმარებოდა ფორდს. ფორდის ჟურნალში მისი თანამშრომლობა, რაც უსიამოვნებით დამთავრდა, ღირსშესანიშნავი გამოდგა იმ მხრივ, რომ ჰემინგუეიმ მოახერხა გაგრძელებებით დაბეჭ-



*Dix bis Avenue des Gobelins,
Dix bis Avenue des Gobelins,
Dix bis Avenue des Gobelins,
That's where my Bumby lives.*



(three times)



the
transatlantic
review

Vol. II. No. 2
August 1924

Edited in Paris
by F. M. FORD



review

CONTENTS

Three Poems	VERSE	Bryher
Three Poems		Baronin Elsa Von Freytag-Loringhoven
In the Garden	PROSE	Dorothy Richardson
Marc Krantz		Nathan Asch
July		John Dos Passos
Herriot In the States		Guy Hickok
The Making of Americans		Gertrude Stein

CHRONIQUES

Litir O Eirinn : *Geoffrey Coulter* Lettre de Paris : *Marcel Le Son*
New York : *F. M. Ford*

COMMUNICATIONS

I. A Correction : II. The Prose of R. Mc Almon : *W. Carlos Williams*
III. Cahiers d'un Mammifère : *Erik Satie*

MUSICAL SUPPLEMENT

Fiddle Music (reproduction)	<i>Ezra Pound</i>
Notes for Performers	<i>E. P.</i>
Mother of Earth	<i>George Antheil</i>
Music in London	<i>Dynesley Hussey</i>
Music in New York	<i>M. Malkiel</i>

LONDON :

DUCKWORTH & Co., 3 Henrietta St., W.C.2.

2/

NEW YORK :

Thomas Seltzer, Inc.

50 c.

PARIS :

Transatlantic Review Co.

7 FRS. 50

ფორდ მელოქს ფორდი, სახელო-
ვანი რედაქტორი და ავტორი შე-
დეგვებისა — „კარგი ჯარისკაცი“,
„სამოთხის დასასრული“. პარიზი,
1923.

რედაქტორის მოადგილის ჰემინგუ-
ეის წყალობით პირველად ამ ჟურ-
ნალში დაიბეჭდა გერტრუდა სტაი-
ნის შედეგრი.

დილიყო სტაინის „ამერიკელთა ჩამოყალი-
ბება“; აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოე-
ბა, რომ ამ ჟურნალში ჰემინგუეი და ჯოი-
სი საერთო სათაურით იბეჭდებოდნენ — „ნა-
წარმოების განვითარება“, რომელიც ჯოისმა
გამოიგონა თავისი „ფინეგანის ალაპის“ ნაწ-

ყვეტისათვის (წმინდა სახელი — ფინგანი რომანის დამთავრებამდე არ უნდა გამკლავნებულიყო). ჰემინგუეი და ჯოისი, რომლებიც ძნელად თუ შეაქებდნენ ვინმეს. ერთმანეთს ყოველთვის ქებით იხსენიებდნენ. მოგვიანებით ჯოისმა განაცხადა: „ჰემინგუეი კარგი მწერალია. ძლიერი, კამეჩივით ღონიერი გლეხია. სპორტსმენია. იგი მზად არის თვითონ იცხოვროს იმ ცხოვრებით, რომელსაც აღწერს. არასოდეს დაწერდა ასე, მისი ჯანღონე ამგვარი ცხოვრების უფლებას რომ არ აძლევდეს. ასეთი გოლიათები ყოველთვის პატიოსნები არიან. ჰემინგუეის ფორმის მიღმა გაცილებით მეტი რამ იმალება, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ამჩნევენ“. აფრიკაში თავისი პირველი მგზავრობის დროს ჰემინგუეიმ ჯოისზე ასე თქვა: „ზოგი რამ ჯოისს შიშს გვრის, მაგალითად — ელევა. მაგრამ შესანიშნავი პიროვნებაა. მისი ცხოვრების წესს სამი რამ განაპირობებს — მისი ცოლი, მისი შემოქმედება და ცუდი მხედველობა. ერთხელ მისმა ცოლმა მითხრა: ძალიან კარნაკტილად ცხოვრობს „არც ჯიშს აწყენდა ღომებზე ნადირობა“. ზოგჯერ ერთად მივდიოდით დასალევად და ჩხუბს ატეხავდა ხოლმე. მის წინ მყოფ კაცს ძლივს ხედავდა და ამიტომ მე მაგულიანებდა: „გაუსწორდი მაგას, ჰემინგუეი! გაუსწორდი!“

ეს კეთილგანწყობა ჯოისისადმი მით უფრო საგულისხმოა, რომ „ტრანსატლანტიკ რევიუ“-ში თანამშრომლობის დროიდან ჰემინგუეი მეგობრისათვის შეუფერებელ თვისებებს ამჟღავნებდა. იმ დროს მას უჭირდა და ამიტომ არაა გასაკვივრი, რომ ხშირად უგუნებოდ იყო და ადვილად ბრაზდებოდა. მაგრამ ჰედლის ერთმა მეგობარმა ქალმა იმთავითვე სწორად შეამჩნია, რომ ჰემინგუეი ღვარძლიანი, თავკერძა, აყვია და დაუნდობელი იყო და ზედ რომ გადაყოლოდი, ადვილად შეეძლო ზურგი ეჩვენებინა. ეს ზუსტი დაკვირვება ეკუთვნის კიტი კენელს, ემიგრანტი

ესრა პაუნდი, პოეტი, ესეისტი, რედაქტორი, ღარიბ და ღირსეულ მწერალთა მფარველი, თავის სტუდიაში პარიზში. ჰემინგუეის თქმით: მათ შორის, ვისაც პაუნდი დაეხმარა, „ნაკლებად აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც მისთვის ზურგში დანა არ დაურტყამთ“.





სკრიბნერთა გამომცემლობა ნიუ-იორკში.


მაქსუელ პერკინსი, ჰემინგუეის ნაწარმოებთა რედაქტორი, სკრიბნერთა გამომცემლობაში მუშაობის დაწყების დროს.

ჰემინგუეის მიერ შერეულ ანდერსონზე დაწერილი პაროდული წიგნის გარეყდა.

ებრაელის — ჰაროლდ ლეების ახლო მეგობარს. ლეები თავის წრეში ცნობილი იყო იმით, რომ პრინსტონის უნივერსიტეტში კრივში შუა წონის კატეგორიაში ჩემპიონი იყო. ლეები და ჰემინგუეი მეგობრობდნენ, მაგრამ კიტიმ გააფრთხილა ლეები: კაცი შვილმა არ იცის როდის გიმუხთლებსო. მანვე გააფრთხილა ჰედლი, რომელიც უსამართლოდ დაჩაგრულ ანგელოსად მიაჩნდა, შენმა ქმარმა ბოლოს შეიძლება ხელი გკრასო. კეტი კენელის ორივე არც თუ უსაფუძვლო წინასწარმეტყველება

ახდა და ლიტერატურაშიც პოვა თავისი ასახვა.

1925 წელი ჰემინგუეისათვის იღვლიანი გამოდგა. ედმუნდ უილსონმა თავის უნივერსიტეტულ მეგობარს — სკოტ ფიცჯერალდს უწვევს ჰემინგუეის პარიზში გამოცემული ორი კრებული. ფიცჯერალდი აღფრთოვანდა და ნიუ იორკში სკიბნერთა გამომცემლობის მთავარ რედაქტორს ურჩია, დაკავშირებოდა ჰემინგუეის. პერკინსი რომანს ვერ დაწერდა, მაგრამ დიდ სამსახურს უწევდა ნამდვილ რომანისტებს, როცა საჭირო იყო მათი ნაწარმოებების გამართვა და დახვეწა. ცნობილია ის დიდი ამაგი, რომელიც მან დასდო ჩრდილოკაროლინელ გენიოსს — ტომას ვულფს. ვულფი ვნებებით დამუხტულ წინადადებათა ნიაღვარს ქმნიდა, მაგრამ მათი მოწესრიგების არავითარი უნარი არ ჰქონდა. პერკინსმა ამერიკაში სათავე დაუდო იმ პრეცედენტს, რომელმაც ინგლისში შედარებით გვიან მოიკიდა ფეხი: რომანისტს გამომცემლობაში მიაქვს მტრ-ნაკლებად გამართული ტექსტი, რომელსაც რედაქტორი უკეთებს ერთგვარ პლასტიკურ ოპერაციას. დამეთანხმებით, რომ ერთობ სახიფათო პრეცედენტიცაა, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ რედაქტორის ამგვარ ჩარევას უნდა ვუმაღლოდეთ ამ ბოლო დროის ისეთ მაღალი დონის რომანებს, როგორიცაა ჯოზე ჰელერის „დააკავეთ 22“, რომელიც რედაქტორმა — რობერტ გოტლიბმა შეამოკლა, გაჩაღა და დახვეწა და ამგვარად თითქმის შედეგრი მივიღეთ. მრავალი პროზაიკოსი, მათ შორის — მე, წინააღმდეგია, როცა ნაწარმოებში რედაქტორი აქტიურად ერევა. მაგრამ ფორმის იშვიათი გრძნობისა და სიტყვაზე დიდი შრომის შედეგად მიღწეული ლაპიდარული სტილის გამო ჰემინგუეი არსებითად არ საჭიროებდა რაიმე რედაქტირებას. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ჰემინგუეი ჯერ ყველა გამომცემლობისაგან უარს





ჯერალდ და სარა მერუები, 20-
იანი წლების „ბრწყინვალე ადამიანები“. პარიზში მათ სტუდიაში ცხოვრობდა ჰემინგუეი, როდესაც მუშაობდა კრებულზე „კაცები უქალებოდ“. სურათზე შრუნსში (ავსტრია) 1923 წლის ზამთარში გადაღებული არიან ჰელი და ღოს პახსი.

ღებულობდა და უცვებ ერთდროულად ორი გამოცემლობა დაინტერესდა მისი ნაწერებით. გამოცემლობამ — „ბონი ენდ ლივრაიტ“ — ჰემინგუეის ორი ათასი დოლარი შეაძლია მოთხოვნების კრებულში „In Our Time“ („ჩვენს დროში“). ჰემინგუეი სიხარულით დათანხმდა. ამ გამოცემლობას თავისი წინადადება იმავე დღეს გამოეგზავნა, რა დღესაც ჰერკინსმა გამოეგზავნა თავისი წე-

THE SUN ALSO RISES



ERNEST HEMINGWAY

„IN OUR TIMES“ and „THE SUN ALSO RISES“

რილი. მაგრამ ეს უკანასკნელი ჰემინგუეიმ პარიზში რატომღაც ათი დღის დაგვიანებით მიიღო. სკრიბნერსის გამოცემლობა უფრო პრესტიჟული იყო, ხოლო ჰემინგუეი კონტრაქტით ვალდებული იყო მეორე და მესამე წიგნიც „ბონი ენდ ლივრაიტ“-ში გამოეცა. ჰემინგუეიმ კონტრაქტის დასარღვევად არც თუ მაინცდამაინც ლამაზ ხერხს მიმართა. მან დაწერა პაროდია შერვუდ ანდერსონზე და ამ წიგნს, ტურგენევის კვალად, „გა-

„და აღმოხდების მზე“ (ხოვ ქეე-
ყანაში გამოიცა სათაურით „ფი-
სტა“) – ამერიკული გამოცემის გა-
რეულა. ქება-დიდება, რომელიც
ჰემინგუეიმ მერფუბისაგან მოისმი-
ნა, როდესაც მათ რომანის აღგი-
ლებს უკითხავდა, იმის დასტური
იყო, რომ ვერაფერი შეედრება
„ფიესტის კანონებით ცხოვრებას“.

ჯერალდ და სარა მერფები და ჰემინგუეი ცოლთან ერთად. პამპ-ლონაში, 1926. შუაში — პოლინ პფიფერი, რომელიც „მიაპიტუ-რად, თითქოს მისდა უნებურად, მაგრამ სავსებით მიზანდასახულად თავის მეგობარ ქალს ართმევს ქმარს“.

სკოტ ფიცჯერალდი. წმინდა ლი-ტერატურული მოსახრებით მან 1924 წელს მაქსუელ პერკინსს ჰემინგუეიზე ასე მისწერა: „ნამდვი-ლი ვინმეა“.

ზელდა ფიცჯერალდი. ჰემინგუეის აზრით, ზელდა ქმრის სამუშაოზე ეჭვიანობდა და ღუპავდა მის ნიჭს.

ზაფხულის ნიაღვრები“ უწოდა. ანდერსონის გამომცემლებმა, ბუნებრივია, უარი თქვეს მის დაბეჭდვაზე და ამგვარად ჰემინგუეის საშუალება მიეცა, რომ ეს წიგნი, ისევე როგორც ყველა მომდევნო ნაწარმოები, სკიბ-ნერთა გამომცემლობაში ებეჭდა.

„In Our Time“ არც ისე პატარა წიგნია, მასში შევიდა 16 მოთხრობა და მათ შორის მონაცვლეობით ჩართული ის მინიატურები, რომლებიც მანამდე დაიბეჭდა კრებულში „In our time“ (აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ აღრინ-დელ კრებულში ეს მინიატურები ნუსხური შრიფტით იყო აწყობილი, რაც ჰემინგუეის საშინლად არ მოსწონდა, მაგრამ გამომცე-მელს — უილიამ ბერდს (ამაზე ალბათ თავი-სი მოსახრება ჰქონდა და ჩვენც ნუღარ ჩა-ვეძიებით). ჰემინგუეის ერთ-ერთ ავტობიოგ-რაფიულ პერსონაჟს — ნიკ ადამსს პირველად ბავშვობის მოგონებასთან დაკავშირებულ მო-თხრობებში — „ინდიელთა ბანაკი“ და „ბიგ რივერი“ — ვხვდებით. ამ ბრწყინვალე ნაწარ-მოებებში, რომლებიც ჰემინგუეის ნიჭის თა-ვისებურებათა შეცნობაში გვეხმარება. ჰემინ-გუეის წინასწარ იშვიათად თუ დაუსახავს მიზნად დიდტანიანი რომანის შექმნა. იგი, ჩვეულებრივ, მოთხრობაზე მუშაობით იწ-ყებდა წერას და მხოლოდ საჭიროების შემთ-ხვევაში განაგრცობდა თხრობას. ჰემინგუეი თავისი ბუნებით მინიატურისტი იყო. მის მინიატურებში არა მიჩიგანის ტყეების, არა-მედ უფრო გვიანდელი ხანის სურათებია გა-ცოცხლებული:

„ატალახებულ ტრამალებს გადმა წვიმაში აღრიანოპოლის მინარეთები გამოიკვეთა. ყა-რაჩაღის გზა ოცდაათ მილზე ურმებით იყო გაჭედილი. მათ ხარები და კამეჩები მიათ-რევდნენ. არც დასაწყისი, არც დასასრული. მხოლოდღა ათასგვარი ბარგი-ბარხანით და-ტვირთული ურმები. ერთიანად გაწუწული მოხუცი კაცები და ქალები გზის პირს მიჰყე-



ბოდნენ და საქონელს მიერეკებოდნენ. მარცხა ყვითლად მიედინებოდა და ლამის ხიდს აღწევდა... ერთ ქალს მშობიარობა დაეწყო და გოგონა მას საბანს აფარებდა და ტიროდა. შეხედვის ეშინოდა. ევაკუაციის დროს გადაუღებლად წვიმდა!”

აქ მთელი სიცხადით ჩანს ჰემინგუეის ეული სტილი — მკაცრი, ობიექტური, „არალიტერატურული“. სიტყვები ახლებურად ახმოვანდნენ და ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა, კერძოდ — კრიტიკოსთა მხრიდან, ხოლო მკითხველთა უმრავლესობა თავდაპირველად ამას ვერ ამჩნევდა. აქვე დავსძენთ: რომ პაროდია, როგორც ეს „გაზაფხულის ნიაღვარმა“ ცხადყო. ჰემინგუეის არ ებერბებოდა. რასაც ჰემინგუეიმ მთელი წიგნი მოანდომა, პაროდის დიდოსტატი, ვთქვათ — მაქს ბირობომი, ორიოდე გვერდზე იტყუდაო, — თქვა შერვუდ ანდერსონმა. მისი, ამ უკეთილშობილესი ადამიანის შენიშვნა ერთობ ზომიერია. იმ დროის საერთო აზრი ამ წიგნზე არც შემდგომ შეცვლილა. საკუთარი თავის გარდა ჰემინგუეის არასოდეს გამოუმჟღავნებია სხვა მწერლის პაროდირების უნარი.

ამასობაში ჰემინგუეი თავის ირგვლივ პარიზში, ავსტრიის ალპებსა და პამპლონაში მეგობრებს იკრებდა, რომლებიც შემდგომ უკვდავყო თავის რომანში „და აღმოხდების მზე“. ეს წიგნი — თანამედროვე პროზის ერთ-ერთი ნიშანსვეტი — უზარმაზარი ტირაჟით გავრცელდა: ინგლისსა და ზოგ სხვა ქვეყანაში იგი „ფიესტა“-ს სახელწოდებით გამოიცა. დიდი უაზრობაა, როცა ერთი და იგივე წიგნი ერთსა და იმავე ენაზე ორი სხვადასხვა სათაურით არსებობს. ეს იგივეა, ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადასვლისას სახელი გამოიცვალა. ასეა თუ ისე, რომანში სახემეცვლილად მოგვევლინენ ჰაროლდ ლები და ლედი დაფ ტუისდენი — ნაცრის-

ფერთვალება: მოკლე ქერა თმიანი, მსმელი. ბოჰემური ყაიდის მომხიბლავი ქმნილება, რომელიც ლებს თავდავიწყებით შეუყვარდა. მისღამი არც ერნესტა უნდა ყოფილიყო გულგრილი, თუმცა ამას ნაკლებად იმნევედა. მაგრამ მის ცოლს ქმრის უბრალო ღალატზე მეტ განსაცდელს უქადდა პატარა ლამაზმანი პოლინ ჰფეიფერი — მოღების უურნალის „ვოუგის“ რედაქტორი — რომელიც თვითონაც ერთ-ერთ თავის მანეკენ ქალს ჰგავდა.

ჰემინგუეის შეგობართა წრეში იყო ადამიანი, რომელმაც აგრეთვე უკვდავო თავისი თავი. ეს გახლდათ სკოტ ფიცჯერალდი, დიდი ნიჭისა და გემოვნების პატრონი, ლაურეატი იმ ჯაზის ეპოქისა, რომელიც ამ სახელით თვითონ მონათლა და შესაძლოა ეს შოვლენა მთლიანად მან გამოიგონა. იმ დროს მას უკვე შექმნილი ჰქონდა „დიდი გეტსბი“, რომელიც სოგს ერთადერთ სრულყოფილ ამერიკულ რომანად მიაჩნია. ფიცჯერალდი და მისი ცოლი ზელდა, ლოთიფოთები და მფლანგველები, ხშირად ტეხენენ აღიქოთს, მაგრამ არასოდეს უხეშობდნენ და ყოველთვის ელგვანტურები იყვნენ. ისინი უკვე იდგნენ იმ გზაზე, რომელიც სავალალო, დრამატული მარცხით დამთავრდა. ჰემინგუეის არ მოსწონდა ზელდა, მიაჩნდა, რომ იგი უხეში და ხარბია და (ეს მართლაც ასე იყო) ქმრის სამუშაოზე ეჭვიანობს. ფიცჯერალდი მთელი პასუხისმგებლობით კვიდებოდა თავის ხელოვნებას, ხოლო სხვა მხრივ ერთობ უპასუხისმგებლო იყო. ასე, მაგალითად, ერთხელ მორლი კალაგენი, (ჰემინგუეი მას „ტორონტო სტარ“-ში გაეცნო), რომელიც ერთერთ საუკეთესო კანადელ მწერლად ითვლება, პარიზში ყოფნისას ჰემინგუეიმ კრივში გაიწვია. იგი ჰემინგუეიზე მთელი თავით დაბალი იყო და მსუბუქიც, თანაც ფორმაში არ იყო, თუმცა კარგად იგერიებდა თავის ტანმადალ და მძიმე წონის მოწი-

ნაადმდეგეს. საათზე დრო ფიცჯერალდს ჰქონდა დანიშნული. ჰემინგუეი უტკედა, მაგრამ კალაგანმა ზუსტი დარტყმით იგი ძირს დაანარცხა. უცებ ფიცჯერალდმა წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, ოთხი წუთით გადამიცილებია რაუნდის დრო!“ ჰემინგუეის გულში ჩარჩა მისი ეს დაუდევრობა; არც სხვებს მოსწონდათ ფიცჯერალდის ასეთი თვისებები.

„და აღმოხდების შზე“ ძირითადად 1925 წლის პამპლონას ფიესტის ამბებს ემყარება. იმხანად ჰემინგუეისა და ჰედლისთან ერთად იქ იყვნენ ლედი დაფი, ჰაროლდ ლეზი, ჰეტ გათრი (ტანმადალი გამხდარი შოტლანდიელი, რომელიც დაფის მეგობარი უფრო იყო, ვიდრე საყვარელი), ბილ სმითი (ჰემინგუეის მეგობარი ჯერ კიდევ ოუკ პარკის დროიდან). ჰემინგუეი ღვინის სმით ნებივრობდა და ხარების ბრძოლის ხელოვნებაზე მჭევრმეტყველებდა, მაგრამ მოყვარულთა ერთ-ერთი ღონისძიების დროს ლეზი ხარს რქებში წვდა, შემოახტა და არენას აკრობატულად შემოუარა. ჰემინგუეი შურით აღივსო. გარდა ამისა იმ საფხულს ისე ეჭირა თავი, თითქოს ლედი დაფი მას ეკუთვნოდა. არა, საყვარლად როდი უნდოდა, თუმცა ლედი დაფი უარზე ნამდვილად არ იქნებოდა; უბრალოდ, ჰემინგუეი გულზე იყო გამსკდარი, რომ იმ საფხულის დამდეგს ლედი დაფს ლეზი მოეწონა. ჰემინგუეის ამგვარ პოზიციას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს — „არც — მე, არც — შენ“, რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს ჰედლისთან მის მომავალ განქორწინებასთან. ჰემინგუეი მექალთანე არ ყოფილა, მაგრამ როცა სხვებს მიუწევდათ ერთმანეთისაკენ გული, გამწველებელივით შუაში დგებოდა, პირველი რომანის დასაწერად მას უთუოდ იმ განცდებისაგან განმუხტვის წადილმა უბიძგა, რომელშიც გადანასკვული იყო დანაშაულის გრძნობა, ბოლმა და ფარული ვნებები. ასე და ამგვარ-

რად, ჰაროლდ ლები ხდება რობერტ კონი, მთავარი გმირის „ჩოგბურთის მეგობარი“, რომელიც, მწერლის ჩანაფიქრით, საძაგელი ვინმე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინაიდან ხელოვნება ადამიანებზე უფრო ლმობიერია, იგი ამალელებლად სასაცილო პერსონაჟია. ლედი დაფი გვევლინება ლედი ბრეტად, ხოლო ჰემინგუეი ხდება ჯეიკ ბარნსი (თავდაპირველად, შავად ნაწერში — ჰემი და ერნი) — ჟურნალისტი, რომელსაც ომში მიღებული ჭრილობის გამო, არ შესწევს ქალთან ცხოვრების უნარი და ამდენად ამოდ უყვარს ბრეტი. ავტობიოგრაფიული გმირის იმპოტენტად გამოცხადება საგულისხმოდ ფაქტია; ომის ჭრილობა დრამატულობას ანიჭებს იმ სექსუალურ სიმორცხვესა თუ ფსიქოლოგიურ მუხრუჭს, რომელიც ზორბა, ბანჯგვლიანი ვაჟკაცის იდუმალი მეორე მება.

რომანის გმირები ლოთობენ პარიზში და შემდეგ პამპლონაში ხარების ბრძოლის აღორძინება-განწმენდის რიტუალში მონაწილეობენ. ამ წიგნს აქვს რაღაც საერთო ელიოტის „უნაყოფო მიწა“-სთან, თუმცა ჰემინგუეის (მან ეს პოემა გამოქვეყნებისთანავე, 1922 წელს წაიკითხა) არასოდეს გამოუხატავს თავისი აზრი ამ ნაწარმოებზე და არც მის გაგებაზე დებდა თავს. ჯეიკი მეთევზე მეფეს მოგვაგონებს იმით, რომ შვენივლი აქვს, რაოდენ უნაყოფოა ცხოვრება უსიყვარულოდ, მაგრამ ავადაა და, პრუფროკივით, არ ძალუძს საკუთარი სურვილები დაიკმაყოფილოს. ხსნა შესაძლებელია ზვარაკის ფასად, მაგრამ არა მესსის, წირვის სახით (ჯეიკი კათოლიკეა; ნომინალურად ჰემინგუეიც კათოლიკე იყო, — მიჩნეულია, რომ იტალიაში მოექცა ამ რჯულზე), არამედ ისეთი რიტუალით, რომელშიც სისხლი იღვრება. სისხლი იმ ომშიც უხვად დაიდვარა, მაგრამ ადამიანისა და ხარის სამკედრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა ერთი ერთზე დგომას ითვა-



პამპლონა, 1925. ჰემინგუეი მოს
მარჯვნივ, გაბრაზებული ხა
წინ.

ნარლზ ჰოპკინზი, ჰემინგუეი
ბოლ სმითი. ჰოპკინზი, რომელ
ჰემინგუეი ხან ჰოპკინზს და
ჰუპერს (მეკასრე) ეძახდა, „
ზას სიტი სტარ“-ის თანამშრო
ლი იყო. სმითი ჰემინგუეის ბ.
ვობის მეგობარი იყო.

ჰემინგუეი, ჰედლი და სხვ
პამპლონა, 1925.

ჰემინგუეი გვიჩვენებს ხარისა
ადამიანის დამპობილებას.



პემბინგუეი და მისი მეორე ცოლი — პოლინი.



სარა და ჯერალდ მერფები (მარჯვნივ) ვენაში 20-იან წლებში.



ლისწინებს და, ამდენად, სიკვდილისათვის თვალყურის დევნებას გულისხმობს. ცხადია, სასაცილო იქნებოდა ნათქვამის ზედაპირულად გაკება.

„და აღმოხდების შუე“ „დაკარგული თაობის“ მატთანედ ითვლება. ეს გამოთქმა გერტრუდა სტაინს ეკუთვნის, უფრო სწორად — გარაჟის პატრონს, რომელსაც სტაინმა მანქანა მიუყვანა შესაკეთებლად, ხოლო გარაჟის პატრონმა უთხრა: იმგადახდელ ახალგაზრდებში ერთ წესიერ ხელოსანს ვერ იპოვი, ესენი არიან „*génération perdue*“. რომანის სათაური აღებულია ეკლესიასტედან. ნაწარმოებში რელიგიური მოტივი, მართალია, მიჩქმალულია, მაგრამ მაინც თავს იჩენს ისეთ გამოთქმებშიც კი, როგორიცაა — „თავი ჯოჯოხეთში მგონია“ და სხვ. ეს წიგნი ოპტიმისტური უფროა, ვიდრე ნაღვლიანი, რამეთუ განადიდებს უკეთეს კვყვანას და სისხლსავსე ცხოვრებას, ნაკადულსა და მზეს, კი-

სერში რომ გაჭერს, პურ-მარილს, ღვინოს, ანუ სისხლს, და სიკვდილთან შერიგებას. ბოლო თავში ჯეიკი გემრიელ კერძს ამზადებს; მართალია, იგი იმპოტენცია, მაგრამ მაინც „უამრავი რამ გვრის სიხარულს“ ეს რომანი, გაცვეთილი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, სიცოცხლეს უმღერის. იგი 1926 წლის ოქტომბერში გამოიცა და მას არა მხოლოდ კრიტიკოსების, არამედ მკითხველთა აღტაცება ხვდა წილად. იგი განეკუთვნება იმ იშვიათ წიგნთა რიცხვს, რომელმაც ზეგავლენა იქონია ადამიანთა ცხოვრების წესსა და მეტყველების ხასიათზე. სტუდენტი გოგონების მთელი თაობა ბრეტის მეტყველებასა და მოქმედებას ბაძავდა. პატარა რესტორნებში ჰემინგუეის გმირების მსგავსი მამაკაცები გამოჩნდნენ — ცხოვრებისაგან გადაღლილი, მკაცრი, დინჯი, სიტყვაძუნწი ახალგაზრდები, რომლებმაც სასოწარკვეთილება ცხოვრების წესად დაისახეს. ოცდაათი ოდე წლის ჰემინგუეი მოვლენად იქცა.

დიდ აღმართს დიდი დაღმართი მოსდევს. წარსულს ჩაბარდა გარიყულობისა და გაჭირვებასთან ბრძოლის დღეები — უამი უმანკოებისა და რწმენის, ერთგულებისა და პატიოსნების. პოლინ პფეიფერი ერნესტს სიყვარულში გამოუტყდა, ერნესტმაც უთანაგრძნო. ჰედლის უნდოდა გაეგო რამდენად საფუძვლიანი იყო ქმრის გადაწყვეტილება განქორწინების თაობაზე. თუ შენ და პოლინი, უთხრა მან ერნესტს, ასი დღით დაშორდებით და მაინც მოგინდებათ ერთად ყოფნა, მაშინ გზა დამილოცნიაო. პოლინი შტატებში დაბრუნდა, ხოლო ერნესტი მარცხენა სანაპიროზე ფრუადევოს ქუჩაზე ერთ სტუდიაში გადავიდა, რომელიც იელის უნივერსიტეტდამთავრებულს, შეძლებულ ჯერალდ მერფის ეკუთვნოდა. ჯერალდი და მისი ცოლი სარა უბედნიერეს წყვილად და ამასთანავე მომხიბლავ და სტუმართმოყვარე ოჯა-



ჰედლისა და ბამბის ბედნიერი ხანა პარიზში, 1924 ჰემინგუეი საშინლად განიცდიდა ოჯახის დარღვევას.



ჰემინგუეი პოლინთან და თავის მშობლებთან ერთად კიი უესტში (ფლორიდა).

ხად ითვლებოდნენ. გარკვეულწილად ისინი არიან „ნაზია ღამე“-ს გმირების პროტოტიპები. თვითონ არ წერდნენ, მაგრამ ყველა მწერალს იცნობდნენ. დანაშაულისა და სინდისის ქენჯნით შეპყრობილი ჰემინგუეი შავ ღლეში იყო; ბავშვივით ატირდა, როდესაც ჰედლიმ შეუთვალა, ავეჯი გაგიყოთო. მოსაგვარებელი იყო ბავშვის საკითხი, ბემბის ხომ ვერ გაიყოფდნენ. ბავშვს მამამისი ფრანგულ გრამატიკაზე გაცილებით მეტად უყვარდა; La vie est beau avec papa, ამბობდა ხოლმე იგი. ჰემინგუეიმ „და აღმოსხდების მზე“-ს ინგლისური და ამერიკული გამოცემების ჰონორარი მთლიანად ჰედლის გადაურიცხა. ჰედლი დათანხმდა განქორწინებაზე. ერნესტი გაიმახოდა, ძაღლიშვილი ვარო; ასეთადვე მიაჩნდათ იგი სხვებსაც,

მეტადრე — „და აღმოხდების მზე“-ს პროტოტიპებს. ოუკ პარკში ამ რომანს კრიტიკულად შეხვდნენ. დედამ აღერსიანად მისწერა ერნესტს — თუ ღმერთს მიენდობი და გეყვარება იგი, უსათუოდ დაწერ რაიმეს ფასდებულსო. ერნესტი ისევ გაიძახოდა, ძაღლიშვილი ვარო.

მოთხრობების ახალ კრებულს ეწოდა „კაცები უქალებოდ“; ესაა საზარელი ამბები ქელუხრელ მამაკაცებზე, რომლებიც არასოდეს დადიან ქალის ჭკუაზე. განქორწინების პერიოდში ჰემინგუეისთან ურთიერთობა ბევრს უჭირდა. იმხანად მასთან ახლოს იყვნენ პოეტი არჩიბალდ მაკლიში და მისი ცოლი ადა, რომელიც ჩიოდა, ერნესტი ხალხში უხეშობს და ყოველთვის თავისზე სუსტს ეჩხუბებაო. როდესაც, როგორც იქნა, ერნესტმა და პოლინმა კათოლიკური წესით იქორწინეს პასიში, ადას ლამის გული აერია: რა ადვილად თქვა ჰემინგუეიმ, ეს არის ჩემი პირველი ნამდვილი ქორწინება, რადგანაც პოლინი ჭეშმარიტი კათოლიკეა, მე კი ომის დროს მივიღე კათოლიკობა, ხოლო ჰედლი პროტესტანტია და მასთან ჩემი ქორწინება უკანონო იყო.

თუ ლიტერატურას არა, ცხოვრებას ჰემინგუეისათვის სასჯელი არ დაუკლია. „კაცები უქალებოდ“ 1927 წელს გამოიცა და წარმატებაც ხვდა, მაგრამ ჰემინგუეის გრიპმა, კბილის ტკივილმა და ბუასილმა შეუტია. ეს კიდევ არაფერი; ერთხანს მასთან დატოვებულმა ბამბიმ საღ თვალში ჰკრა თითი და სამუდამოდ დაუხიანა. მაკლიშთან ერთად სათხილამუროდ წასულმა ათჯერ მაინც მოადინა ზღართანი. პარიზში დაბრუნებისას სააბაზანოში ჭერის სარკმელი დაცა და ისე გაუტეხა თავი, რომ ათი ნაკე-



ჰემინგუეი და ბემბი, კი უესტ-ში, 1928. პატემოყვარე შეთევზის დებოუტი.



ჰემინგუეი და მამამისი. ხელის ჩამორთმევა მეგობრობის ნიშნად. შვილს ისეთი შერჩევა ჰქონდა, თითქოს „მამამისზე უფროსი იყო და ისე შეეცოდა, რომ არ იცოდა რა ექნა“.

რი დასჭირდა. ახალი რომანის წერას შეუდგა, მაგრამ თვითონ არ იცოდა — განეგრძო თუ არა წერა პარიზში, სადაც ყველაფერს რუხი ფერი დასდებოდა. ფიესტა დამთავრდა და აღარასოდეს განმეორდება. ყოველივე ეს „მობრავ დღესასწაულში“ მოგვიანებით ასე შეჯამდება:

„ამ მდიდრების გამოჩენამდე სხვაგვარი მდიდრები შემოგვეჩვივნენ, რომლებიც ერთ ძველთაძველ ხრიკს მიმართავდნენ: ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი ახალგაზრდა გათხოვილი ქალის განუყრელი მეგობარი ხდება, ისე რომ, ლამის ოჯახში ჩაუსახლდება, ხოლო შემდეგ — მიამიტურად, თითქოს მისდა უნებურად, მაგრამ სავსებით მიზანდასახულად, მეგობარ ქალს ართმევს ქმარს... თავისი საქმეების შემდეგ ქმარი ორ მშვენიერ არსებას ხედავს, ამათგან ერთი უფ-

რო მეტ ინტერესს აღუძრავს და, თუ ბედი არ წყალობს, ორივე უყვარდება...

როდესაც მატარებელმა სვლა შეანელა და მორებით გაჭედული სადგურის ბაქანზე ჩემი ცოლი დავიჩახე, მთელი გულით ვინატრე — ნეტავი მოვკვდარიყავი, ოღონდ სხვა არავინ შემყვარებოდა. ჩემი ცოლი იღიმებოდა. თოვლითა და მზით შევაკლულ სახეს მზე უნათებდა: იდგა ტანმალალი, თმა

„მშვიდობით, იარაღ“-ს, ავტორის პირველი ტრანსალპური ვნებათაღელვის, იტალიაში საბრძოლო გზისა და ბოლოს სარეცლად ვარდნის ვრცელი ამბის ამერიკული გამოცემის გარედა. 1929.

A FAREWELL TO ARMS



ERNEST HEMINGWAY

მზეზე ოქროსფრად უბზინავდა და გვერდზე ედგა მისტერ ბამბი — ქერა, ჩაპუტკუნებული, ყინვისგან ლოყებწითელი...

მე მიყვარდა ეს ქალი და სხვა არავინ მყვარებია და ვიდრე მარტო ვიყავით, ზღაპრულად ვატარებდით დროს. კარგად ვმუშაობდი და ბევრს ვმოგზაურობდით და მე მეგონა, ჩვენ ვერაფერი დაგვაშორებდა... ასე დამთავრდა ჩემი პარიზში ცხოვრების პირველი პერიოდი. პარიზს აღარასოდეს ექნება წინანდებური იერი“.

ამერიკა მოენატრა, მაგრამ არა რომელიმე ერთი ადგილი, ვთქვათ — ოუკ პარკი, სადაც დაბრუნების არავითარი სურვილი არ ჰქონდა, არამედ ამერიკის თვალუწვდენელი მწვანე სივრცეები და მდინარეები და ცხოველები. სამშობლოს მონატრება კარგ დროს დაემთხვა; პოლინი ორსულად იყო და, როგორც თავის დროზე ჰედლის, მასაც სამშობლოში უნდა გაეჩინა ბავშვი. ამჯერად ჰემინგუემ არა კანადისაკენ, არამედ, დოს პასოსის რჩევით, კონტინენტის საპირისპირო მხარისაკენ აიღო გეზი. დოს პასოსს გაგიჟებით მოსწონდა ფლორიდის სანაპიროს კუნძულები, განსაკუთრებით — კიი უესტი. თავის სამშობლოში აქ, კიი უესტში დაიდო ბინა ჰემინგუემ მოწიფულ ასაკში.

პარიზში ჰემინგუემ, კაფეების ესთეტიზისაგან განსხვავებით, ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი დიდი თავდადება გამოიჩინა, თუმცა, უხეშსა და დღენიადაგ გაოფლილს, ფილისტერივით ეჭირა თავი. კიი უესტში მეზღვაურებსა და მეთევზეებში თავი მოჰქონდა არა დიდ მწერლად, არამედ ცდილობდა ჩრდილოეთიდან ჩამოსული საექვო და საშიში პიროვნების — კონტრაბანდით ან ნარკოტიკებით მოვაჭრეთა მეთაურის შთაბეჭდილება მოეხდინა. დაკუნთული, ზორბა ტა-

ნით, ნაიარევი წარბით, მკრეხელური ლაპა-რაკით მზად იყო რაღაც გნებავთ მიენჩიათ, ოღონდაც კი მწერლად — არა. საპატიო პროფესიის გარეგნული შენიღბვა ხშირი მოვლენაა ანგლოსაქს ხელოვანებში და ნაკლებად დამახასიათებელია ფრანგებისათვის. სერ ედუარდ ელგარს, როდესაც მისი სახელი ქუხდა და ქუინზ ჰოლში მისი „გერონციუსის სიზმარი“ იღებოდა, სცხვენოდა, რომ დიადი მუსიკის ავტორი იყო და დოღზე მისულს გამომწვევად ეცვა ჰიპივით. გამოსული წიგნების წყალობით ჰემინგუეის მიეცა საშუალება თავის ნებაზე ეცხოვრა და ისე მოეღხინა, როგორც ბავშვობისას, ზაფხულის არდადეგებზე მიჩიგანის ტყეებში რომ დახეტიალობდა. კიი უესტში მის წინ კიდევ უფრო დიდი ასპარეზი გადაიშალა — ღრმა და უნაპირო ზღვა, რომელშიც ქაშაყი, წითელი ვირთევზა, ქარვისფერი ქარიყლაპია და ბარაკუდა უხვად იყო. იგი თავგამოდებული მეთევზე გახდა.

მაგრამ ზღვაზე განცხრომის დრო ჯერ არ იყო დამდგარი. ჰემინგუეი არკანზასის შტატში, პიგოტში თავის ახალ სიდედრს უნდა შეხვედროდა და შემდეგ თავის ლამის მშობლიურ კანზას სიტიში უნდა წაეყვანა პოლინი სამშობიაროდ. ვიდრე პოლინს სამშობიარო ტკივილები დაეწებოდა, მალკოლმ ლაუერისთან და მის ცოლთან ერთად ინდიელთა ტბასთან ცხოვრობდნენ. ამასობაში ჰემინგუეი შემოქმედებითად იყო ანთებული — მუშაობდა რომანზე, რომელსაც „მშვიდობით, იარაღო“ უწოდა. ათიოდე წლის შემდეგ ლაუერიმ დაასრულა თავისი ხანგრძლივი მუშაობა შესანიშნავ რომანზე „ვულკანის ძირში“, რომელმაც ბევრი ქება-დიდება დაიმსახურა, მაგრამ საყოველთაო აღიარება მაინც ვერ პოვა. ჰემინგუეიმ არც კი იცოდა, როგორ გაულიმა ბედმა. იგი ნამდვილ გადატრიალებას ახდენდა პროზაში, ძკითხველს კი ეს

Chap 1

In the late summer of that year
we lived in a house in a village that

~~In the night we heard the troops~~

looked across the river and this plain to the
mountains & the water in the river ^{clear}
boulders and the river bed was in channels in the
bed of white pebbles and white boulders and ^{dry white}
the water was clear and simply moving and blue in the

~~the road always~~ Troops went by the house
and down the road and the dust
they raised powdered the leaves of the trees

The trunks of the trees too were dusty and the
leaves fell early that year and we saw
the troops marching along the road and

the dust rising and leaves ^{stirred by the breeze} falling and
the soldiers marching and afterwards the
road bare and white except for the leaves

სავესებით ბუნებრივად უჩანდა თვალში, ურთულეს სიახლეს ისე იღებდნენ, თითქოსდა აქ არაფერიო. ლაუერის რომანის მხატვრული სიახლე სტილურ თავისებურებათა გამო მკითხველისაგან მეტ დაძაბვას მოითხოვს. გარეგნულად ჰემინგუეისა და ლაუერის ბევრი საერთო ჰქონდათ: ორივე ბევრს სვამდა, თვისტომთაგან განდგომილად ცხოვრობდა, იტანჯებოდა და ორივეს სულში იღუპილად ტრაგიკული ბზარი ისახებოდა.

პოლინს მძიმე მშობიარობა ჰქონდა, საკეისრო გაკვეთას მიმართეს. ბიჭი, — მას პატრიკი დაარქვეს, — 1928 წელს დაიბადა, ანუ იმ დროს, როდესაც ჰემინგუეი გულცივად აღწერდა როგორ გადაჰყვა მშობიარობას მისი რომანის გმირი. ერნესტს აღარ ჰქონდა მამობით სიხალისის უნარი. მეტიც, უგუნებობამ, გულგატეხილობამ შეიპყრო, რაც წარმატების ულმობელი თანმხლებია. სახელოვან მწერალს შეეძლო იქ ეცხოვრა, სადაც მოისურვებდა, მაგრამ ეს სასურველი ადგილი ყველგან იყო, იმ ადგილის გარდა, სადაც გადაწყვეტდა ეცხოვრა. უაიომინგში ნადირობისა და თევზაობისას პარიზისაკენ მიუწვევდა გული, მაგრამ ისიც იცოდა, რომ პარიზში კიი უესტი მოენატრებოდა. ამ მხრივ გამონაკლისი მხოლოდ ესპანეთი იყო. სჯეროდა, რომ არ არსებობს ქვეყნად ესპანეთზე უკეთესი ადგილი. უგუნებობას ზედ დაერთო თავზარდამცემი ამბავი, სირცხვილი და ახალი ვალდებულება — ჰემინგუეების დიდი ოჯახის უფროსობა. ერნესტს შეატყობინეს, რომ მამამისს თავი მოუკლავს. ედ ჰემინგუეი ბოლო ხანს შეწუხებული იყო საკუთარი ფინანსური მდგომარეობით, უფრო მეტად კი — საკუთარი ჯანმრთელობით. დიაბეტიკა და გულით დაავადებულს უძილობა დასჩემდა. ბოლოს ის გამოსავალიდა პოვა, რომ სამოქალაქო ომისდროინდელი პისტოლეტით მარჯვენა ყურთან ტყვია დაიხალა. ერნესტი

„და აღმოხდების შვის“ ხელნაწერი. მოგვიანებით ჰემინგუეიმ ბევრი რამ ჩაასწორა ფანქრით და საბეჭდ მანქანაზე.

არ ამართლებდა თვითმკვლელობას, რადგან ნომინალურად კათოლიკე იყო და, ამასთან, ეს ეწინააღმდეგებოდა ვაჟაკობის მისეულ კოდექსს: სიკვდილი გარდუვალია, მაგრამ სიცოცხლე სიხარულია; სიკვდილთან შერიგება სწორად ცხოვრების ერთი ასპექტია, ხოლო სიკვდილისადმი დამონება — საძრახისია. ნებისმიერ განსაცდელში, რაგინდ მძიმე იყოს, თავი ღირსეულად უნდა გეჭიროს. ერნესტს საშინლად ეთაკილებოდა მამის საქციელი.

„მშვიდობით, იარაღო“ დიდი ტირაჟით იყიდებოდა; კრიტიკოსთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ დროს ჰემინგუეი მისეულ სანუკვარ პარიზში იყო. რომანის სათაური აღებულია „ინგლისური ლექსის ოქსფორდული კრებული“-დან იმგვარადვე, როგორც მოგვიანებით „ინგლისური პროზის ოქსფორდული კრებული“-დან აიღო „ვის უბნობს ზარი“. მისი ნაწარმოებების სათაურები და ეპიგრაფები არა ბეჯითი კითხვის, არამედ ზედაპირული, თუმცა კი ხანგრძლივი ძიების შედეგია. „მშვიდობით, იარაღო“ შექსპირის თანამედროვის — ჯორჯ პიილის ლექსის სათაურია, თუმცა საკუთრივ ლექსთან რომანს არაფერი აქვს საერთო:

თმა ოქროსფერი დრომ ვერცხლისფრად გადააქცია,
ო, დროის ქროლა! ო, სისწრაფე სწორუპოვარი!
დრომ გაიტაცა სიემაწვილე, ახალგაზრდობა,
მაგრამ ამაო და ფუჭია მცდელობა დროის:
დატყენენ ყვაილნი — სილამაზე, ძალა, მხნეობა,
ხოლო ფესვები — სიყვარული — მწვანეა მარად!

1929 წლის დამლევს „სკრიბნერზ მეგეზინ“-ში გაგრძელებებით გამოქვეყნების შემდეგ ამ რომანის სათაურის მიხედვით შეიქმნა და გავრცელდა სიმღერა „მშვიდობით, ხელებო“:

მშვიდობით, ხელებო,
აღერსით რომ მავსებდით,
მშვიდობით, ხელებო,
სიყვარულო, მშვიდობით...

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ გამოჩნდა ისეთი რომანები ამ ომზე, როგორცაა „რიგითი მეტროპოლის 19022“-ის (ფრედერიკ მანინგის) „რიგითი ჯარისკაცები“, ერის მარია რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, რიჩარდ ოლდინგტონის „გმირის სიკვდილი“ და ისეთი სამხედრო მოგონებები, როგორცაა რობერტ გრეივზის „ყველაფერო, ნახვამდის“ (ამ უკანასკნელის მიხედვით შეიქმნა ცნობილი სიმღერა „ვოცნებობდი, ვგეგმავდი, ყველაფერო, მშვიდობით“). დიდი დრო გავიდა, ვიდრე ოშში ნანახი და განცდილი მხატვრულ გამოხატვას პოვებდა. მაგრამ ჰემინგუეის არა მხოლოდ იტალიის ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილებები უნდოდა გადმოეცა. იგი აგნეს ფონ კუროვსკისადმი თავისი დაუხარჯავი ვნებისაგანაც უნდა განმუხტულიყო. რომანში აგნესი ინგლისელ მოწყალეების დად — კეთრინ ბერკლიდ გვევლინება. კეთრინი სიყვარულითვე პასუხობს ფრედერიკ ჰენრის, ანუ იმავე ჰემინგუეის, რომელსაც ნამდვილად თავს გადახდა კაპორეტიდან უკანდახვეა. ქალი გადაჰყვება მშობიარობას, რაც გამომსახველობას მატებს ნაწარმოების ერთ-ერთ მთავარ თემას — სიკვდილ-სიცოცხლის ერთობას (უკანდახეულ ჯარისკაცებს ჩანთებისაგან ლაბადები ისე გამოხეროდათ, „თითქოს ექვსი თვის ორსულნი იყვნენ“). ერთი შეხედვით, „მშვიდობით, იარაღო“-ში რომანტიკული სიყვარულის ამბავია გადმოცემული. და მართლაც, რომანი ერთ-ერთი შეყვარებულის სიკვდილით მთავრდება. მაგრამ ეს არის ბრწყინვალე რომანი, რომელშიც ომის შთამბეჭდავი სურა-

თის ფონზე წარმოდგენილია უღრმესი დაფიქრება პიროვნების ვალდებულებაზე. ამ რომანით ჰემინგუეიმ ორგვარ საწადელს მიადწია: დაიპყრო ხელოვნების მაღალი მწვერვალი, შესაძლოა უფრო მაღალიც, ვიდრე არის „და აღმოხდების შზე“, და დიდად გაითქვა სახელიც.

მართლაც, პირველი რომანის გამოქვეყნებიდან სამი წლის შემდეგ გაიცნო ჰემინგუეი მკითხველთა იმ ფენამ, რომელსაც წიგნების კითხვა მაინცდამაინც არ უყვარს, მაგრამ სიამოვნებას გვრის რომანტიკული სიუჟეტები. 1932 წელს განხორციელდა „მშვიდობით, იარაღო“-ს პირველი ეკრანიზება: ფრედერიკი — ჰარი კუპერი; კეთრინი — ჰელენ ჰეიზი; კაპიტანი რინალდი — ადოლფ მენჟუ. ამით დაედო სათავე ჰემინგუეის ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილი უხვირო ფილმების წყებას. 1958 წელს რეჟისორმა ჩარლზ ვიდორმა როკ ჰუდსონის, ჯენიფერ ჯოუნზისა და ვიტორიო დე სიკას მონაწილეობით გადაიღო „მშვიდობით, იარაღო“. ეს უკეთესი ფილმია და ნაკლებად კომპრომისულია, მაგრამ მისი კინემატოგრაფიული ენა ჩამოუვარდება ლიტერატურულ პირველწყაროს. აღნიშნული უღიმღამო ფილმების წყება იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ჰემინგუეის შემოქმედების დერიტა არსებითად ენობრივი ხასიათისაა. ნაწარმოებები, რომლებიც, ერთი შეხედვით, ცოცხალი დიალოგებით გაწყობილი, ჩვეულებრივ სცენარს მოგვაგონებენ, სინამდვილეში თურმე ურთულესი ენობრივი ფენომენია, სადაც შინაარსი მთლიანად განფენილია ენის რიტმში. ამ ნაწარმოებთა ეკრანიზაციიდან ერთადერთი სრულყოფილი ფილმია „მკვლელები“, რომელიც ჰემინგუეისავე მოსწონდა და კუბაზე, თავის ბინაში, ხშირად აჩვენებდა ამ ფილმს, თუმცა მეორე ნაწილზე ძილი ერეოდა ხოლმე.

ჰემინგუეი ოცდაათისა იყო და იწყებოდა სასტიკი ოცდაათიანი წლები, რომელთა პირველი კაკაფონიური პრელუდია იყო ნიუ-იორკის ბირჟის გაკოტრება (ჰემინგუეის ეშინოდა, რომ ეს გავლენას იქონიებდა მისი წიგნების გაყიდვაზე, მაგრამ ისინი დღემდე ბესტსელერების რიცხვში რჩება). იმ დროისათვის მან თავის მოთხრობებსა და რომანებში ამოწურა საკუთარი წარსული; ამიერიდან მის თვალთახედვაში მხოლოდ აწმყო მოექცევა. 1920-იანი წლები ხელოვნების ყველა დარგის აყვავების ხანა იყო; ყველა ქალაქზე მეტად ხელოვნების აყვავებას ხელს უწყობდა ერთი ქალაქი — პარიზი, რომელიც მრავალი ხელოვანისათვის ერთგვარი მექა იყო და საიდანაც ამერიკელები ახლა შინ ბრუნდებოდნენ. წარუშლელი კვალი დაამჩნიეს ამ ქალაქსა და იმ ეპოქას თვით შეძლებულმა დილექტანტებმა და პრეტენზიულმა ხელმოცარულებმაც. რა იქნებოდა მაშინდელი პარიზი ისეთი ადამიანების გარეშე, როგორიც იყვნენ პარი კროსბი — „ბლეკ სან პრეს“-ის დამაარსებელი, უხეირო პოეტი, ლოთი და ქალების მუსუსი, რომელმაც 1929 წელს სენსაციური თვითმკვლელობით დაასრულა თავისი სიცოცხლე; რა იქნებოდა ეს ქალაქი, რომ არ ყოფილიყვნენ უცნობებად დარჩენილი მწერლები და მხატვრები, რომლებიც გენიოსებივით ლაპარაკობდნენ და ღმერთმა უწყის, რას აღარ მიედებ-მოედებოდნენ?! პარიზს არ ჰქონია ისეთი ჯადო, რომ უნიჭო ნიჭიერად ექცია, მაგრამ აქ სუფევდა ის გარემო, სადაც ხელოვნებას მთელი სერიოზულობით კვიდებოდნენ და სადაც სხვადასხვა ხელოვანთა ერთობას დიდი ხნის ტრადიცია მოსდევს. პარიზმა ჩაუდგა სული მოდერნისტულ მოძრაობას, რომელმაც უარყო ლიბერალთა დოქტრინა — ბრძოლა პროგრესისათვის, გარემოს დამორჩილება, მეცნიერების გამოყენება ადამიანის საკეთილდღე-

ოდ, საზოგადოების გონივრული ორგანიზება. ევროპულ ლიბერალურ ოპტიმიზმს ომის დროს საფუძველი გამოეცალა. ინტუიციას მეტი მნიშვნელობა მიენიჭა, ვიდრე გონებას: ჰ. გ. უელსის „Uebermensch“ და მიზანდასახული და გეგმაზომიერად მოქმედი ადამიანი ჰომონატურალისმა, ანუ არაცნობიერმა ადამიანმა შეცვალა. ომგადახდილნი დაღლილი იყვნენ, განსაკუთრებით — გაუფასურებულ ღირებულებათა სისტემით, მაგრამ მათ ეყოთ უნარი ომამდელი მემკვიდრეობის უარყოფის გზით ახალი ხელოვნება შეექმნათ. გარდაქმნას საჭიროებდა (ყველაფერი — ლიტერატურის ენა, მუსიკის ჟღერადობა, სახვითი ხელოვნების კანონები.) არა უბრალოდ ემიგრანტი, არამედ სამუდამოდ გახვეწილი ჯეიმზ ჯოისი 1940 წლის ოკუპაციამდე დარჩა პარიზში და ლიტერატურული მოდერნიზმი უკიდურეს ზღვარამდე მიიყვანა. 1939 წელს გამოქვეყნდა „ფინეგანის ალაპი“ — l'entre deux guerres-ის უკანასკნელი აკორდი. ჰემინგუეი, რომელმაც თავისი სტილი პარიზში შეიმუშავა და მიღწეული შედეგით კმაყოფილი იყო, ჭირნახულს ისეთ გარემოში იმკიდა, სადაც მისი შემოქმედება ერთგვარ მორალურ თუ ესთეტიკურ დაცემულობად აღიქმებოდა. მან „მშვიდობით, იარაღო“-ს შემდეგაც შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნა, მაგრამ ჯოისისაგან განსხვავებით არ ისურვა ყამირი მიწის ათვისება.

სამშობლოში დაბრუნებული ჰემინგუეი ისევ ახალგაზრდა იყო, თუმცა ამერიკული ლიტერატურის პატრიარქივით გრძნობდა თავს. ყველას „მამობას“ იჩემებდა, ამასთანავე ზოგჯერ უხიაკ ხასიათს იჩენდა. ჩვევად ექცა სხვების ჭკუის დარიგება, გაკიცხვა და უღმობელი განაჩენის გამოტანა. სკოტ ფიცჯერალდს მედიდურად ასწავლიდა როგორ უნდა ეწერა რომანები. ალენ ტეიტს, გამოჩენილ სამხრეთელ პოეტსა და კრი-


ტიკოსს, რომელმაც იქნებ არც თუ დიდი ხა-
ლისით აღიარა, რომ „მშვიდობით, იარაღო“
შედევრია, უთხრა — ყოველ მამაკაცს დაბადე-
ბიდანვე აქვს განსაზღვრული ორგანოთა რიც-
ხვი, ამიტომ ახალგაზრდობაში არ უნდა გა-
დაყვეს ქალებს, რომ ორგანოთა ნაწილი შუ-
ახნისათვის შემოინახოსო. (რაა ეს — საკუ-
თარი სქესობრივი ნაკლოვნების კიდევ ერ-
თი არაპირდაპირი აღიარება?). აგრეთვე ამ-
ბობდა, სრულიად უსაფუძვლოდ, ფორდ მე-
დოქს ფორდი იმპოტენტიო. როდესაც არ-
ჩიბაღლდ მაკლიშმა, რომელიც თავისი პოე-
ზიით ოჯახს ვერ არჩენდა, ჰენრი ლუუსის
„ფორჩუნ“-ის რედაქციაში დაიწყო მუშაობა,
ჰემინგუემ განაცხადა — შემოქმედი არ უნდა
წავიდეს ასეთ კომპრომისზე, მე ასეთ რამეს
არ ვიზამდიო (მას იმხანად ლუუსმა ათასი
დოლარი შესთავაზა თაბახიან ნარკვევში ხა-
რების ბრძოლაზე). ჟურნალმა „ბუკმენ“-მა ჰე-
მინგუეის „უხამსი“ მწერალი უწოდა. ჰემინ-
გუემ დაიქაღნა — ჩაეაღ და რედაქტორს
ღრანჭს მოუქცევო. მისი ძველი მეგობარი
და გამომცემელი მაკალმონი, სკოტ ფიცჯე-
რალდის სიტყვით, ყველას ეუბნებოდა — პო-
ლინი ლესბიელია, ხოლო ჰემინგუეი ჰომო-
სექსუალისტია და ცოლს სცემსო. ჰემინგუემ
თქვა — მაკალმონი არარაობაა, მაგაზე ხელის
გასვრაც არ ღირს, მაგრამ მაინც დავბეგვავ,
მოუხდებაო. მორლი კალაგანს უთქვამს, ჰე-
მინგუეი ნოკაუტში ჩავაგდეო. აღშფოთებულ-
მა ჰემინგუემ დეპეშა გაუგზავნა და მოთხო-
ვა საჯაროდ ბოდიშის მოხდა. ჰემინგუეის
თავი გამომწვევად ეჭირა, აქაოდა საწყალმა
ბიჭმა თვითონ გავიკვლიე ცხოვრებაში გზა,
ახლა წიგნების ავტორი და გამობრძმედილი
მწერალი ვარ და უფლება მაქვს ახალგაზრდა
მწერლებს (თუნდაც იმავე სკოტ ფიცჯე-
რალდს) ჭკუა ვასწავლოო. უღმობელ ადა-
მიანს შეუძლია თქვას, ტრაბახას და ცრუ-
პენტელას ასპარეზი გაეხსნაო; უუღმობელე-



1920-იან წლებში ჰემინგუეის დამახასიათებელი პორტრეტი — ჩაფსკვნილი, სიმპათიური, მოღუშული.


სი ამაზე იტყვის — აცადეთ, ჯერ სადა ხართ, ხოლო ღმობიერი კი ამას იტყვის — დალოცვილი მწერალი იყო, ტრაბახის უფლებაც ჰქონდა და — აღშფოთებისაც.

ბუნებამ სასჯელი არ დააკლო, თანაც გააფრთხილა, უზომოდ არ ეჭამა და არ ესვა. მაგრამ ჰემინგუეი, გამარჯვებული და სახელგანთქმული, სხვა აზრის იყო. ესპანეთში, გაბმული ქეიფის შემდეგ, შინ სოსისის დიდ ულუფას ნთქავდა. კარგი მჭამელი იყო; არცაა გასაკვირი იმ კაცისაგან, ვინაც აღრინდელი შემოქმედებითი წლები haute cuisine-ის ქვეყანაში გაატარა; საუზმეზე ბერ-



მუდის ხახვისა და წითელი ღვინის დაყოლება უყვარდა. დილაადრიან ხორცს მიირთმევდა ცხარე საკმაზითა და მდოგვით, ხოლო მწვადის შემდეგ მარმელადს შეექცეოდა. სმა ჩვევად ექცა. ვენეციაში „გრიტი პალაჩე“-ს მენეჯერმა მითხრა — დღეში ვალპოლიჩელას სამ ბოთლს ისე დაცლიდა, თითქოს არაფერიო; ამას ემატებოდა რომის კოქტეილი, ვისკი, მექსიკური ლიქიორი, სიმინდის არაყი და მარტინი. ამდენი სმისათვის ბოლოს მკაცრად დაისაჯა; ზოგი სხვა სასჯელი დაუმსახურებლად ზედიზედ იწვნია. ესპანეთში ცივ წყალში თევზაობდა და თირკმლები ატკივდა;

კემინგუეის სახლი კიი უესტში (ფლორიდა). კიი უესტი ზღვისპირა ადგილია ტროპიკული, ცხელი და ნესტიანი ჰავით. ბარებში რუმბას უკრავდნენ და მეზღვაურები ჩხუბობდნენ ხოლმე. კემინგუეის შესაფერისი ადგილი იყო.



მაქსუელ პერკინსი, უდიდესი რე-
დაქტორთაგანი, კემინგუეისთან
ერთად კიი უესტში 1935 წლის
იანვარში.


პალენჩიაში რაღაც მიზეზით საზარდულის
კუნთი გაეხა; შემთხვევით კრივის საგარჯი-
შო ბურთით თითი ძვლამდე დაიზიანა; უაი-
ომინგის ტყეში ცხენმა გაიტაცა და ეკლები-
თა და ტოტებით სახე და ხელ-ფეხი გადაი-
ხია. მომავალშიც ბევრი ამდაგვარი რამ ელო-
და.

კიი უესტში დასახლდა. ეს არის ცხე-
ლი და ნესტიანი კუნძული ატლანტის ოკე-
ანეში, გრილი ქარებით, მეზღვაურთა ბარე-
ბით, ესპანური რესტორნებით, ქოქოსის პალ-
მებით, ოდესღაც კოპწია თეთრი სახლებით.
ძველად აქ მეკობრეები დათარეშობდნენ, ახ-
ლა კი იგი გაცხოველებულ სავაჭრო გზა-
ზე მდებარეობს. აქ არის ბარი „სლოპი ჯო-
უზ“, თუმცა უფრო ცნობილია ამავე სახელ-
წოდების ბარი ჰავანიდან ასიოდე მილის და-
შორებით. ამ უკანასკნელს ეძღვნება კარმენ
მირანდას სიმღერა, და ბინგ კროსბის მელო-

დიური ჰანგი „კუბაზე გნახავ“. იმ დროს კუბა ამერიკელთა გასართობი ადგილი იყო და მალე იგი უფრო simpatico და echt აღმოჩნდა ჰემინგუეისათვის, ვიდრე კიი უესტი. ჯერ-ჯერობით კი ჩინებულ სამსახურს უწევდა კიი უესტიც და პოლინის ბიძისაგან ნაგვიანევ საქორწინო საჩუქრად მიღებული ქვის სახლი; ტორტუგასის წყლებში ქაშაყზე თევზაობიდან თუ უაიომინგის ტყეში დათვზე ნადირობიდან აქ ბრუნდებოდა.

უკეთ წაუვიდოდა წერის საქმე, მაგრამ მოულოდნელად ავარიაში მოხვდა. უაიომინგში შემხვედრი მანქანის შექმა თვალი მოჭრა, მისი „ფორდი“ თხრილში გადაეშვა და ამოტრიალდა. ხელის მძიმე მოტეხილობა მიიღო. მაქს პერკინსს შესჩვილა — მას შემდეგ, რაც სკრიბნერის გამომცემლობასთან კონტრაქტს ხელი მოვაწერე, ძირმაგარა გამომივიდა, თვალის გუვა დამიზიანდა, შუბლზე მუშა დამეცა, თირკმლები ამტკივდა, სახე და ხელ-ფეხი გადავიტყავე, ახლა კი — ის იარაღი მოვიტეხე, რომლითაც სარჩოს ვშოულობ. ცხადია, პერკინსს გაუზიარა თავისი განზრახვა — წასულიყო აფრიკაში, სადაც, მისი სიტყვით, ლომს, ვიდრე ესვრი, იმდენად უნდა მიუახლოვდე, რომ მისი შმორის სუნი გეცეს.

ამჯერად ის მუშაობდა წიგნზე „სიკვდილი ნაშუადღევს“, რომელიც 1932 წელს გამოიცა. ესაა ვრცელი ნარკვევი ხარების ბრძოლის ხელოვნებაზე. ბევრჯერ მოუწია ჩასვლა ესპანეთში, სადაც რევოლუცია მძვინვარებდა, თუმცა ამას კორიდიისათვის ხელი არ შეუშლია. გემზე სასულიერო პირნი დამგზავრნენ (მექსიკიდან გამოძევებული ესპანელი მღვდლები; მექსიკაშიც რევოლუცია იყო), ისინი შიშობდნენ, რომ რესპუბლიკელთა მომხრე ბრბო მონაზონ ქალებს გააუპატიურებდა და ეკლესიებს გადაწვავდა. მაგრამ



ჰემინგუეი ბილინგსის საავადმყოფოში (მონტანა), 1930 წლის ნოემბერს უაიომინგში მანქანის ავარიის შემდეგ. აქ ყოფნა უნდა იყოს ასახული მოთხრობაში „მოთამაშე, მონაზონი და რადიო“. ამ სურათზე ჰემინგუეიმ თავის ბიოგრაფს ლუის კონს მარცხენა ხელით გაუკეთა წარწერა.

ERNEST HEMINGWAY

DEATH
IN
THE
AFTER
NOON



CHARLES SCRIBNERS SONS

„სიკვდილი ნაშუადღევს“ — პირველი ამერიკული გამოცემის გარეულა. კასტილიელებმა, ნათქვამია წიგნში, „იციან, რომ სიკვდილი გარდუვალი რეალობაა ანუ ერთადერთი, რაშიც შეიძლება იყო დარწმუნებული“. მაქს ისტმენმა თავის რეცენზიაში სწორად შენიშნა, რომ ჰემინგუეიმ პოზიირობა დაიწყო.

ერთობ რესპუბლიკურად განწყობილ მადრიდში წესრიგი სუფევდა. რამდენადაც ჰემინგუეი ნომინალურად კათოლიკე იყო, თითქოს ბუნებრივი იქნებოდა მხარი დაეჭირა როიალისტებისათვის, რომლებიც პამპლონაში გაუთავებლად გაჰყვიროდნენ: Viva Cristo Rey. მაგრამ ამ ნომინალიზმს მისთვის ხელი არ შეუშლია, რაიჲე პოლიტიკური მოსაზრების გარეშე, გვერდში ამოდგომოდა ხალხს, რომელიც დიდ ხანს დაჩაგრული იყო და ახლადმოპოვებული და, როგორც მალე გაირკვა, დღემოკლე თავისუფლებით ხარობ-

და. ლიბერალურად განწყობილი კათოლიკე-ბი და ანგლო-კათოლიკეები ძნელი არჩევანის წინაშე იდგნენ. სოციალურ უთანასწორობასა და ხელისუფალთა თვითნებობაში ბრალი ეკლესიასაც მიუძღოდა. მღვდლებმა და ეპისკოპოსებმა ისეთივე სიძულვილი დაიმსახურეს, როგორც — დამხობილმა სამეფო კარმა. ბუნებრივია, რომ ზოგიერთი ანგლო-საქსი კათოლიკე, მაგალითად, სამხრეთაფრიკელი პოეტი როი კამპბელი, ფრანკოს მიემხრო. სხვებმა, ივლინ ვოს მსგავსად, ნეიტრალიტეტის დაცვა ამჯობინეს. ჰემინგუეი ესპანელი ხალხის მხარეზე დადგა, თუმცა რემინგტონის თოფს რემინგტონის საბეჭდი მანქანა ამჯობინა. თავისი კათოლიციზმი (მართალია, ნომინალური) უყოყმანოდ დათმობ, თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც ესპანეთის ცის ქვეშ ჰემინგუეის მახვილმა თვალმა განჭვრიტა მეტი, ვიდრე მხოლოდ ბიუროკრატიული აპარატის ზრდა და ხალხის ცხოვრების პირობების არც ისე საგრძნობი გაუმჯობესება. მაგრამ ჯერჯერობით იგი ხარის კულტით უფრო იყო შეპყრობილი, ვიდრე პოლიტიკით.

„სიკვდილი ნაშუადღევს“ თავისებური თხზულებაა, ხან — მოსაწყენი, ხანაც — საოცრად წარმტაცია. ადრე, როდესაც ჰემინგუეი რეპორტაჟებს „ტორონტო სტარ“-ში აქვეყნებდა, იგი სწორად ხედავდა და ასევე სწორად აღწერდა მოვლენებს, თავის პოზიციას კი, სავსებით გონივრულად, ნაკლებად ამჟღავნებდა, ხოლო როცა აუცილებელი ხდებოდა საკუთარი თვალსაზრისის გამოვლენა, ამას მოხდენილად და ლამაზად აკეთებდა. წიგნში კორიდაზე ჰემინგუეი ყოველთვის წინა პლანზეა — თავდაჯერებული და ყოვლისმცოდნე, ტრაბახა და ზოგჯერ მოსაწყენი, თავგასული და ქედმაღალი ავტორი. ამ წიგნზე ზედგამოჭრილია მაქს ისტმენისეული რეცენზიის სათაური — „ხარი ნაშუად-

დევს“. ისტმენმა სამართლიანად გააკრიტიკა ჰემინგუეი ცრუ სიმკაცრის, რომანტიკული წიაღსვლებისა და სიმკაცრის განუყრელი თვისების — სენტიმენტალობისადმი მიდრეკილების გამო.

ამასთანავე ნარკვევში „სიკვდილი ნაშუადღევს“ მოცემულია დიდძალი ინფორმაცია ხარების ბრძოლის ხელოვნებაზე და სიკვდილ-სიცოცხლის ბუნების არათანამიმდევრული კვლევა. ჰემინგუეი გვიმტკიცებს, რომ იგი ჩაწვდა ესპანურ, განსაკუთრებით — კასტილიურ დამოკიდებულებას ამ განუყრელი წყვილისადმი: მზის ხანმოკლე შუქს უსასრულო უკუნეთი ანუ იგივე nada მოსდევს. ბრწყინვალე ნაწარმოებში, მოთხრობაში „სუფთა და ნათელი ადგილი“ ოფიციალტის სახით, რომელიც ხარობს თავისი სამსახურით — სუფთა და ნათელი რესტორნით და არ სურს გარეთ, სიბნელეში გასვლა, ცოცხლად არის ნაჩვენები nada-სადმი დაპირისპირება. ესაა არა მხოლოდ წმინდა მხატვრული, არამედ ფილოსოფიური აზროვნების ნიმუშიც. სიცოცხლე ძალზე ხანმოკლეა და სიკვდილს მხოლოდ ერთი რამ — ადამიანური ღირსება უპირისპირდება. მაგრამ არსებობს სიკვდილის ძლევის კიდევ ერთი ხერხი: მსახურად უნდა გაიხადო იგი, შენი ნებართვის გარეშე არაფრის უფლება არ უნდა მისცე, სასიკვდილო ლახვარის ჩაცემის ხელოვნებას ისე უნდა დაეუფლო, რომ სიკვდილი მღერად გიჩნდეს. საამისოდ არ გამოდგება არც ბრძოლის ველი და არც სასაქლაო. ზვარაკად ხარს იმიტომ ირჩევენ, რომ დიდია, და ღვთის სხვა რჩეულ სულიერ ქმნილებათა მსგავსად, თავის სურვილისამებრ მოქმედებს. ხარი ღვთაების გამოვლინებაცაა და ამ რწმენის ძირებს მითრაიზმთან მივყავართ. ხარს შეუძლია მოგკლას, ამიტომ მატადორი დაკვირვებულად იცდენს თავიდან სიკვდილს და ამით თავის ღირსებას და სი-

ამაყეს და სიმარჯვეს ამჟღავნებს. გამარჯ-
ვება და ტრაგედია თანწყობილია ამ რიტუალ-
ში, რომელიც უკავშირდება წარმართულ წარ-
მოდგენებს პიროვნულ გამბედაობასა და
ღირსებაზე.

ჰემინგუეი ზოგჯერ აშკარად აჭარბებს,
თითქოს არ სურს იმის დანახვა, რომ ხალ-
ხის უმრავლესობა კორიდაზე ხარის მძიმე
დაჭრისა და სიკვდილის სანახავად დაიარე-
ბა, რომ მაყურებელი სისხლის დაღვრას ვე-
ლური ინსტინქტით მოითხოვს. ასეთივე ხარ-
ბი თვალებით ნთქავდა რომელი პლებსი,
თუ როგორ გლეჯდნენ ქრისტიანებს დამშე-
ული ლომები. ჰემინგუეის აზრით, პიკადორის
ნაწლავებგადმოყრილი ცხენი ჭეშმარიტების
მომენტის წინამორბედი ტრაგედიის კომიკუ-
რი ინტერლუდიაა; უშიშარ ხარს წუწუნისა
და ჩივილის მოძულე ამაყი გმირის თვისე-
ბებს მიაწერს. კორიდის ამგვარ გააზრებაში
ჰემინგუეის საკუთარი სულის ზოგიერთი
რხევა გადააქვს. როგორც ჩანს, იგი იმიტომ
იყო ასე შეპყრობილი სიკვდილისა და მკვლე-
ლობის საკითხით, რომ აწუხებდა დანაშა-
ულის გრძნობა და ქენჯნიდა სინდისი. მან
აკი მიატოვა მოსიყვარულე ცოლი. ჩვენს წი-
ნაშეა ერთგვარი ისტერია, რაც ხან უჩვეუ-
ლოდ მდოვრე და გაჭიანურებული თხრობით,
ხანაც ძალისხმევისა და განადგურების გო-
იასებური ხატებით ვლინდება. ჰემინგუეის
სურს შეაშფოთოს მკითხველი, აუფორიაქოს
სული, ვინაიდან თვითონ არის ამ ღღეში.

ვისაც ჩემსავით უცხოვრია იბერიის ნა-
ხევარკუნძულზე, დამეთანხმება, რომ, რაც
უფრო გადის დრო და „სიკვდილი ნაშუად-
ღევს“ ერთგვარი კლასიკის იერს იძენს, მით
უფრო მისატყვებელი ხდება ამ წიგნის მრავ-
ალი ნაკლი. მე არასოდეს მყვარებია კორი-
და და არც მიცდია შემყვარებოდა, მაგრამ არ
შემიძლია არ ვაღიარო მისი რიტუალების

ცხოველმყოფელობა. კორიდის შემდეგ მე მიჭამია მოკლული ხარის მწვადი და მოწმე ვარ იმისა, რომ ამ საკრალურ რიტუალში მონაწილეობის განცდა ისევე შთაბეჭდავია, როგორც მონაწილეობა საეკლესიო რიტუალებში, რომელსაც მე ჰემინგუეიზე ნაკლებ ვეკუთვნი. ჰემინგუეის ამ წიგნში არის სიღრმე და სიმართლე, რაც შესაძლოა, კიდევ უფრო ცხადად იკვეთება უაზრობათა ნაკადის, კაფემანტანური ფილოსოფოსობისა და მაღალფარდოვანი ფრაზების ფონზე. ამ წიგნზე ადვილად ვერ ჩავიქნევთ ხელს.

იგი არა მხოლოდ ფიქრობდა სიკვდილზე, არამედ კუბის წყლებში მუსრს ავლებდა მარლინებს. მაგრამ მაინცდამაინც არ ესიამოვნა, როდესაც სიკვდილმა მას თითი დაუქნია. ჰემინგუეი ერთობ უშველებელ თევზს გამოედევნა, ვერ დაიჭირა, გაოფლიანდა, თავს ხმაში მოჰყვა. და ბრონქების ანთება შეეყარა. უკეთ რომ გახდა, თავისი წიგნის ამონაბეჭდებს ჩაუჯდა და ყოველი გრძელი ფურცლის თავზე დაინახა ლიტონი, მაგრამ ავბედითი სიტყვები: „4 გალ. 80.. ჰემინგუეის სიკვდილი 11¹/₂ – 14 Scotch“. ცხადია, ეს იყო ასოთამწყობის მიერ შემოკლებულად აღნიშნული წიგნის სათაური, მაგრამ შეიძლება ამ შემოკლების სხვაგვარი წაკითხვაც: ჰემინგუეი მოკლა ბევრი შოტლანდიური ვისკის სმამ – 4 გალონი 80 გრადუსიანი, 14 ორმაგი სასმელი დალია. ციფრობრივ მონაცემებში არ იყო გადაჭარბება. ცუდად ენიშნა ჰემინგუეის ყოველივე ეს. ღრიალებდა – მაგ ნაბიჭვრებს კისერს მოვუგრებო, და შემდეგ უხალისოდ გაეშურა შავ დათვსა, ცხენ-ირემსა და წვრილ ფრინველზე სანადიროდ.

„მშვიდობით, იარაღო“-საგან განსხვავებით, „სიკვდილს ნაშუადღევს“ სიმღერა არ მიუძღვნეს. მაგრამ მოგვიანებით ასე უწოდეს კოქტილს, რომელიც პირველად ახალ ზე-

ლანდიაში, ოუკლენდის აეროპორტის ბარში გავსინჯე: აბსინთისა და შამპანურის ნაერთი გახლავთ და საკმაოდ ამართლებს თავის სახელს. ჰემინგუეი არ იყო აღტაცებული მის წიგნზე კრიტიკოსთა გამოხმაურებით. ისტმენმა ამ წიგნის სტილი „მკერდზე მიწებებულ ყალბ ბანჯგვლს“ შეადარა. ჰემინგუეი აღშფოთდა: ისტმენი, — ამბობდა იგი, — ღორი, ცვედანი და ნაძირალაა და შურს, რომ სრულყოფილი მამაკაცი ვარ, რომ არ შეუძლია ჩემსავით წერა; ამ დღეებში ისტმენს კარგა ლაზათიანად მივბეგვავ. კიდევაც მიეცა ასეთი შესაძლებლობა მაქს პერკინსის კაბინეტში, სადაც ისტმენი პერკინსს თავისი ესეების კრებულზე ეთათბირებოდა. ჰემინგუეი ჯერ იმით დაკმაყოფილდა, რომ თავისი ბალნიანი გულმკერდი ირონიულად შეადარა ისტმენის მოტველებილ გულმკერდს. მაგრამ როდესაც ისტმენმა პერკინსს უთხრა, კრებულში „ხარი ნაშუადღევს“ უნდა შევიტანო, ჰემინგუეი მუშტებით ეძგერა მას. არავინ დაშავებულა.

გერტრუდა სტაინს მიბეგვით ვერ დაემუქრებოდა. სტაინმა მასზე ბევრი ცუდი რამ დაწერა თავის მემუარებში „ალისა ბ. ტოკლასის ავტობიოგრაფია“; (ტოკლასი სტაინის მეგობარი იყო). სტაინი ირწმუნება, ჰემინგუეის სტილი ჩემი და შერვუდ ანდერსონის სტილიდან მომდინარეობს და რომ ეს ჩვენი არც თუ ღირსეული ნაშეიერი „ლაჩარიოა“. არც ჰემინგუეი დარჩა ვალში: სტაინი, — განაცხადა მან, — ჰომოსექსუალისტია დაჰმასავით უკუღმართები მოსწონს“, მე კი არა ვარ „უკუღმართი“, მე მაქვს cojones, კარგადაც ვწერ, რასაც ერთხელ კიდევ დაამტკიცებს ჩემი მოთხრობების კრებული „გამარჯვებული არაფერს იგებს“. თავისი სქესობრივი უნარის დასამტკიცებლად სპორტულ თემაზე სტატიების ბეჭდვა დაიწყო მამაკაცებისათვის განკუთვნილ ჟურნალში, რომელიც ვაჟ-

კაცობის კულტით ხასიათდება, თუმცა ერთობ კეკლუცი, უნიათო და აშკარად სნობური სახელწოდება აქვს – „ისქუაიერ“-ი.

ამასობაში პოლინი ჰემინგუეის კარგ მეუღლეობას, ერთგულ მეგობრობას უწყვედა და კიდევ ერთი ვაჟი გაუჩინა. მაგრამ არსებობს ძველი ცრურწმენა: არაა ნამდვილი ვაჟკაცი ის, ვისაც ქალიშვილი არ გაუჩნდება. არა უშავს, იქნებ ქალიშვილებიც გაუჩნდეს! ნაცოლარმა – ჰედლიმ შეუმსუბუქა მიტოვებით გამოწვეული დანაშაულის გრძნობა, „ჩიკაგო დელი ნიუს“-ის რედაქტორს პოლ სკოტ მორერს მისთხოვდა. მალე ჰემინგუეი მეორე ცოლსაც მიატოვებს, და თითქოს ძველ ჩვენას არ ღალატობსო, მესამე ცოლიც სენტ-ლუიზელი იქნება. ჯერჯერობით კი პოლინი სასურველი ცოლია, რადგან ძალიან უნდა გაჰყვეს აფრიკაში სანადიროდ.

თითქმის მთელი წელი იყო შეპყრობილი ჰემინგუეი აფრიკაში ძვირადღირებული სანადირო ექსპედიციის მოწყობის აზრით. უბრალო ცნობისმოყვარეობა როდი კლავდა. პრაქტიკულად სურდა გამოეცადა მის მიერ ჩამოყალიბებული ვაჟკაცობის ფილოსოფია. ამერიკის სივრცეები ათვისებულია, ნატი ბუმპოს ხანა წარსულს ჩაბარდა. არც დიდი ომები იმართება ყოველთვის, რომ ვაჟკაცობა გამოსცადო. ხარების ბრძოლა, მართალია, საგმირო საქმეა, მაგრამ ამისათვის მატადორი უნდა იყო, თანაც სასურველია, ესპანელი იყო. ჰემინგუეის კარგად ჰქონდა შესწავლილი ხარების ბრძოლა (მისი სიტყვით, ათასი სული ხარის მოკვლას დაესწრო, ვიდრე „სიკვდილს ნაშუადღევს“ დაწერდა), მაგრამ თვითონ ყოველთვის ტრიბუნაზე იყო და არა – ასპარეზზე. აფრიკაში შეეძლო არ ყოფილიყო მხოლოდ მოწმე და თვითონაც ემოქმედა. მართალია, ზღვაზე შორს გადიოდა და დიდ თევზებზეც ნადირობდა, მაგრამ თევზი, ხარისაგან განსხვავებით, არაა ჩვენი ხორცი



ხორცთავანი. ამბობენ, ლომები უფრო კეთილშობილნი და საშიში არიან, ვიდრე ხარებიო. გადაწყდა — აფრიკაში უნდა წავიდეს და ლომებზე ინადიროს.

ჰემინგუეი აფრიკაში ნადირობისას, 1932.

1932 წლის შემოდგომის დამლევს ერნესტი და პოლინი მომბასას ნაპირს მიაღწენ და შორეული ნადირობისაკენ მატარებლით გაემგზავრნენ. აქედან მუას მთებში მაჩაკოსში ჩავიდნენ, საიდანაც მათ ცნობილი თეთრკანიანი მონადირე ფილიპ პერსივალი წაუძღვა. კაცები მალე დამეგობრდნენ. პერსივალი თავაზიანი და მამაცი იყო. ბევრ საინტერესოს ყვებოდა ნადირობაზე. ასევე მომხიბლავი იყო ჰემინგუეი. სროლისას სათვალეს ხმარობდა, ყველაფერს სწრაფად და ხა-

ლისით ითვისებდა. ნადირობისას გულჩვილი ვერ იქნები. ჰემინგუეი კონგონის, ანტილოპას, ციცრებისა და ჯეირნების მოკვლის წესებს ეუფლებოდა. თოფების მზიდავი მ'კორა თუ მ'კოლა (კაცმა რომ თქვას, სხვა მსახურებიც) მისადმი გულგრილი დარჩა, მაგრამ დიდად აფასებდა პოლინს, რომელსაც mama-ს ეძახდა. ლომს პირველად პოლინმა ესროლა და მსუბუქად დაჭრა, მაგრამ ჰემინგუეიმ უმაღლესი სპრიტუალური დაახალა და წააქცია. მ'კორა თუ მ'კოლა და სხვა მსახურები იფიცებოდნენ, ლომი პოლინმა მოკლაო: Mama piga simba. მათ შემოსძახეს სიმღერა ლომისა და პოლინი ხელში აყვანილი, კონცონს შემოატარეს. ჰემინგუეის ეს არ მოეწონა: სხვებმა არ უნდა ითვალთმაქცონ.

ცოტა ხნის შემდეგ ჰემინგუეიმ მოკლა ლომი, რომელშიც ამჯერად ველარავინ შეეცილებოდა; კისერში დაახალა ტყვია. ნაღავლი სასახელოც იყო და სათაკილოც. ნადირის მჩქეფარე სისხლს ბუზები დაესია; დიდებული ქმნილება, რომლის მუქი ფაფართა და ჩალისფერი ტყავით დაფარული კუნთები ჯერ კიდევ ფეთქავდნენ, ერთიანად სისხლში ამოისვარა; იარა აბეზარი ბუზების სახიფათო კერად იქცა. ნადირი რომ ასე წაიბილწა, მისი, ჰემინგუეის ბრალი იყო. მკაცრადაც დაისაჯა, ამებური დიზენტერია დაემართა, რასაც ზედ დაერთო სწორი ნაწლავის პროლაპსი. ძლივს გადააფრინეს ნაირობის საავადმყოფოში ემიტინის ნემსების გასაკეთებლად. მალე მომჯობინდა, განსაკუთრებით — როცა შეიტყო, რომ კარგად იყიდებოდა მისი მოთხრობების კრებული „გამარჯვებული არაფერს იგებს“.

განსაცდელს ვაჟკაცურად უნდა გაუძლო. უნდა გაუძლო ცეცე-ბუზებსა და გველებს და წყეულ გაიძვერა ჰიენებს (ლიტერატურულ სამყაროში მათ თავიანთი ორეულები ჰყავთ), უნდა გაუძლო იმ თრთოლვას,

როცა მარტორქა ან კამეჩი ეცემა (ეს იმ თრთოლვას ჰგავს, როდესაც ამთავრებ წიგნზე მუშაობას), უნდა გაუძლო იმ წყენასაც, რომ შენ უფრო პატარა კულუ მოკალი, ვიდრე სხვამ. როცა წვიმები დაიწყო და ყველაფერი დამთავრდა, იგრძნო, რომ ფუჭად არ გარჯილა. მოგვიანებით ამ ნადირობის შთაბეჭდილებით იგი შექმნის საშუალო ზომის წიგნს და ორ, ალბათ საუკეთესო მოთხრობათაგანს.

ამერიკისკენ გემით — „ილ დე ფრანს“-ით მეზავრობისას ახალი და წარმტაცი მეგობარი შეიძინა. ერთ საღამოს დიდი აღტაცება გამოიწვია სასადილო სალონში მარლენ ლიტრიხის ჩამოსვლამ. ლიტრიხმა სუფრასთან მსხდომნი გადათვალა და რაკი თვითონ მეცამეტე აღმოჩნდა, ცრუმორწმუნეობის გამო, უკან დაიხია. მაგრამ ელვის სისწრაფით მიიჭრა მასთან ჰემინგუეი და თავაზიანად უთხრა — სიამოვნებით ვიქნები მეთოთხმეტე. ჰემინგუეი აღმერთებდა მას და მოფერებით Kraut-ს ეძახდა. არასოდეს უტრაბახია, თითქოს მისი საყვარელი იყო. მხოლოდ იმას ამბობდა, ყოველთვის ისეთ დროს მოგვწონს ერთმანეთი, როცა ერთ-ერთი ჩვენგანი სხვა ვინმეთია დაკავებული. ჰემინგუეი მას ყოველთვის მამობრივ რჩევებს აძლევდა და ისიც ყოველთვის უგონებდა; სხვა ქალებივით ლიტრიხს არასოდეს აჯავრებდა; მხოლოდ ლიტრიხს დასდო იშვიათი პატივი სახელით მიემართა მისთვის. ჰემინგუეის თითქოს, ცოტა არ იყოს, ეშინოდა მისი.

სკივრები რქებით, ტყავით, თავებით და სხვა ნადავლით მოგვიანებით სხვა გემს უნდა ჩამოეტანა. მაგრამ შინ, კიი უესტში, ჰემინგუეიმ უმაღვე გახსნა შთაბეჭდილებათა სკივრი და შეუდგა მათ გადატანას წიგნში, რომელსაც „აფრიკის მწვანე ბორცვები“ უწოდა. ბარემ აქვე შევჩერდეთ ამ წიგნზე. ეს არაა დიდებული ნაწარმოები. მწერლის ჩანაფიქ-



მარლენ ლიტრიხი, პოლიველის ბრწყინვალეობის განსახიერება, ჰემინგუეის ერთგული მეგობარი, რომელსაც საკმაოდ არაგალანტურ სახელს „Kraut“-ს ეძახდა.

რით ამ წიგნმა სიხარული უნდა მოგვანიჭოს. თუ წიგნში ხარების ბრძოლაზე სიკვდილი ტრაგიკულადაა აღქმული, ღომებზე ნადირობისადმი მიძღვნილ წიგნში ნადირთა უმიზნო ხოცვა უდარდელად, ლაღად და არსებითად ნადირობის კოდექსისა და პატიოსანი ვაჟკაცური შეჯიბრის თვალსაზრისითაა დანახული: „ყველაფერს იოტისოდენი სინანულის გარეშე ვკლავდი... მთავარია წესიერად მოკლა... მაინც მოკვდებიან... სინდისი ოდნავადაც არ მქენჯნიდა“. ნაწარმოებს უსიუჟეტო რომანის მსგავსი სტრუქტურა აქვს. მისი პერსონაჟები რეალური ადამიანები არიან, მთავარი კერძო თვითონ ჰემინგუეია, მუხლებშუა გაჩრილი ვისკის ბოთლითა და მარჯვებული თოფით: „აფრიკის გრილი ნიავი მიბერავდა და აფრიკის სივრცეების სურნელი მცემდა. თავს ბედნიერად ვგრძნობდი“. მაგრამ იგი არაა მთლად ბედნიერი, რაშიც წიგნის კითხვისას სულ უფრო ვრწმუნდებით: მეტისმეტად ხშირად გაისმის შეძახილი — ღმერთო, რა ბედნიერი ვარ! ნადირობის ერთგვარ გართობად გააზრების მიღმა ღრმა სულიერი შეშფოთება იკითხება. მისეული შეშფოთების განსაკუთრებით მკვეთრი გამოხატულება უნდა იყოს მომაკვდავი და გაცოფებული ჰიენა, რომელიც საკუთარ ნაწლავებს ჭამს. ნაწარმოებში ჰიენა გაიძვერაა, მაგრამ არამზადების ტანჯვასაც ხომ უნდა ჰქონდეს სახლვარი. ჰემინგუეი, რომელიც იშვიათად როდი მდგარა სიკვდილის პირისპირ, ცდილობს ეს უკანასკნელი „მარჯვე“ დარტყმით დაამარცხოს, მაგრამ არის რაღაც ნევრასტენიული და არაჯანსაღი ღომებისა და კუდეების ამ უთავბოლო ხოცვა-ჟლეტაში. გასაგებია ჩვეული სიკვდილით დაინტერესება („სიკვდილი ნაშუადღევს“), როდესაც გულწრფელია ცხოვრების აბსურდად განცდა, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ამგვარი ინტერესი ღვთაებრივ ნეტარებასა და ნადირობ-

ბის ტრფიალს უკავშირდება. შესაძლოა ამ ნაწარმოების, ისევე როგორც ჰემინგუეის შემოქმედების დიდი ნაწილის, ყველაზე უფრო შემაცბუნებელი ასპექტი არის გაუთავებელი სწრაფვა ვაჟკაცობაში დარწმუნებისადმი, რაც სულაც არაა ტემპარიტი ვაჟკაცის შესამჩნევი თვისება.

ჰემინგუეის აფრიკული მემუარების ამ ბუნდოვანი შეფასების შემდეგ სასწრაფოდ ხოტბა უნდა შევასხა მის ორ მოთხრობას, რომლებიც 1936 წელს „ისქუაიერ“-ში დაიბეჭდა. იმავე წლის დამდეგს იმავე ციკლი-ს ჟურნალში სკოტ ფიცჯერალდმა თავის უკვე ლეგენდად ქცეულ „მარცხზე“ გამოაქვეყნა სამი შესანიშნავი სტატია – უსაშველო სასოწარკვეთილებით გამოწვეული სულის კივილი, რომელსაც ჰემინგუეი ანგარიშგასაწევი დიაგნოზის დასმისას ნებით თუ უნებლიეთ ლამის დასცინოდა. ეს დიაგნოზი მოცემულია მოთხრობაში „კილიმანჯაროს თოვლი“: მომაკვდავი მწერალი ჰარი ფიქრობს „საწყალ ფიცჯერალდზე“, რომელიც თავიანთ სცემდა მდიდრებს (ისინი მართლაც სულ სხვა ხალხია, ბევრი ფული აქვთ), ელვარე წარმატებამ თავბრუ დაახვია და გვიან მიხვდა, რომ შეცდომა იყო „რომანტიკული მოწიწება“ მდიდართა წინაშე და ამგვარად საკუთარმა „ფილოსოფიამ“ იმსხვერპლა. მან უღალატა საკუთარ იდეალებს და ფუჭად გაფლანგა ნიჭი. მაგრამ მას არ სჩვევია რომანტიკული ზღუქუნი. ახლა იგი აფრიკის ცხელ ველზე ფეხის განგრენით კვდება და კილიმანჯაროს მყინვარს გაჰყურებს. მონადირე პარსივალისაგან ჰემინგუეის გაგონილი ჰქონდა, რომ ამ მყინვართან გაყინული ჯიქი უნახავთ. მოთხრობაში მიზანმწრაფი მტაცებლის „ამაღლებულ“ სიკვდილსა და განგრენისაგან უმტკივნეულო „მიწიერ“ სიკვდილს სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. ნადირი განასახიერებს იმ ხელოვანს, რომელსაც სული



სიკვდილთან შერიგება. გრეგორი პეკი და სუხან ჰეიუორდი — ჰენრი კინგის ფილმში „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“, 1952.

მაღალი მწვერვალისაკენ მიუწევს და ღირსეულად კვდება, ხოლო განგრენა უწესოდ და ფუჭად გაფლანგული ნიჭის გამოხატულებაა.

ფილმში „კილიმანჯაროს თოვლი“ (1952, რეჟისორი — ჰენრი კინგი; მონაწილეობენ — გრეგორი პეკი; სუხან ჰეიუორდი და ავა გარდნერი). მომაკვდავი ჰარის ზმანებათა ირონიული ჰეპი ენდი — „სამყაროსავით უსასრულო, ცაში აზიდული, მზით განათებული და საოცრად ქათქათა“ მთის დაპყრობა შეცვლილია საკმაოდ სუსტი ფინალით — ჰარის წარმატებით უკეთებენ რთულ ოპერაციას და იგი მზადაა ყველაფერი „ხელახლა დაიწყოს“. მოთხრობის ფინალი გაცილებით უფრო ძლი-

ერია: ჰარის შეგნებული აქვს — არასწორად იცხოვრა, უღალატა ხელოვნების იდეალს და ახლა ყველაფერი გვიანაა. მაგრამ ჰარი არ წუწუნებს, ბედს ემორჩილება და ახერხებს „სულიდან ქონი ჩამოცილოს“. ჰარის სახით ჩვენს წინაშეა ერთგვარი ფიცჯერალდი, რომელიც დაჯილდოებული იყო ჰემინგუეისებრი სტოიკური ნიშნებით, და ამასთანავე ჩვენს წინაშეა ის ჰემინგუეი, რომელიც ღალატობს თავის მოწოდებას, ენერგიული კაცის როლითაა შეპყრობილი და ვერ ამჩნევს როგორ ერტყმიან გარს დროის მსუნავი სვაკები და ჰიენები.

ჰემინგუეი, მისი თაყვანისმცემლები და ვერცხლისფერი მარლინი. პავანას პორტი, 1934.



მეორე აფრიკული მოთხრობა — „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“ (1947 წელს ფილმად გადაიღო ზოლტან კორდამ; მთავარ როლებში არიან — გრეგორი პეკი, ჟოან ბენეტი და რობერტ პრესტონი) უფრო მარტივი და ნაკლებ თვალსაჩინო ნაწარმოებია, თუმცა ესეც ჰემინგუეის საუკეთესო ქმნილებათა რიცხვს განეკუთვნება. თუ „კილიმანჯარო“ დანაშაულს ეძღვნება, „მაკომბერი“ შიშის შესახებაა, ხოლო შიში ალბათ უფრო მარტივი და საყოველთაო განცდაა. ფრენსის მაკომბერი, მდიდარი ახალგაზრდა ამერიკელი, თავის ლამაზ ცოლთან ერთად აფრიკაში ჩასულა სანადიროდ. მას თან ახლავს ინგლისელი მონადირე უილსონი. მათ ერთმანეთზე სრულიად გარკვეული აზრი აქვთ: მაკომბერი „წყალწადებული ლაჩარია“, მისი ცოლი — „ძუკნაა“, ხოლო უილსონი — „თავხედი ნაბიჭვარი“. მაკომბერი შეშინებული გაურბის დაჭრილ ლომს. ამ თავსლაფის დასხმას ისიც ემატება, რომ უილსონი საყვარლად გაიხდის მის ცოლს. მაგრამ მაკომბერი ხსენებული თავხედი ნაბიჭვისაგან სწავლობს მონადირის ზნეობრივ კოდექსს, რომლის თანახმად შიშსა და ძრწოლას ჟინითა და სწრაფი რეაქციით უნდა სძლიო. ასე სძლევს მაკომბერი თავის წყეულ სიმხდალეს. მაგრამ ქმარს თოფს ესერის „ძუკნა“ ცოლი, რომელსაც მონადირის კოდექსის ერთგვარი პაროდული ვარიანტი აქვს შეთვისებული (მანქანიდან ისერის ხოლმე). შიშისაგან განწმენდილი მაკომბერი კვდება. მისი ცხოვრების ახალი ხანა დღემოკლე, მაგრამ ბედნიერი გამოდგა. ძველი რომაელები ამბობდნენ — *Semper aliquid ex Africa*. აფრიკაში მიაგნო ჰემინგუეიმ ახალ და ღრმა თემას — სიკვდილის პირას შეძენილი გამოცდილების მნიშვნელობას, ანუ სიკვდილის ძღვეის შესაძლოა უფრო სრულყოფილ საშუალებას, ვიდრე მასზე გულცივი მბრძა-

ნებლობაა. ფიცჯერალდი უკვე დაღუპვის პირას იყო მისული, ხოლო ჰემინგუეი, ყველას „მამა“, ხელოვანი და პროტო-ვეზისტენციალისტი ფილოსოფოსი, თავს ჩინებულად გრძნობდა.

მატერიალურად ჩინებულად იყო. მას საშუალება ჰქონდა ბრუკლინში უილერის გემ-სთაშენში აგებულ და 7500 დოლარად ღირებულ 38 ფუტის მოტორიან კრეისერში ავანსად გადაეხადა 3300 დოლარი, როდესაც შეიტყო, რომ მაიაშიდან ორმოც მილზე, ბი-მინისთან, სათევზაოდ ნამდვილი სამოთხეა, ხოლო იქ მისასვლელად საჭირო იყო კატარდა. კატარდას „პილარ“-ი დაარქვა — ესპანური ლუსკუმას სახელი და პოლინის საიდუმლო მეტსახელი იმ ხანებში, როცა იგი ერნესტის შეყვარებული იყო. ცნობილი მეთევზე თუ ცნობილი მწერალი ანუ ორივე ერთად კიი უესტის ერთ-ერთ მთავარ ტურისტულ ღირსშესანიშნაობად იქცა: დასალევად „სლიპი ჯოუზ“-ის ხშირი სტუმარი, ხამი ტილოს შარვლიანი, მაღალი, დაკუნთული, მზეზე დამწვარი, მუშტი-კრივის მოყვარული დაუდეგარი მამაკაცი, „ისქუაიერის“ მკითხველთა გმირი და ამერიკის ახალ და დოგმატურ მემარცხენე ინტელექტუალთა მიერ ათვალწუნებული შემოქმედი.

მემარცხენეებს მან აშკარად გაუცრუა იმედით. დიდი ეკონომიური დეპრესიის დროს ლომებსა და მარლინებზე ნადირობით და ხარების ბრძოლით ერთობოდა და კრინტიც არ დაუძრავს რევოლუციური დოქტრინების სასარგებლოდ. ესპანეთში მემარცხენე ფრონტის გამარჯვების მოწმე გახდა, მაგრამ როგორც ჰემინგუეი ამბობდა, მშრომელთა მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. თავის თავზე არავითარ ვალდებულებას არ იღებდა, გარდა ერთისა — ყოველთვის სიმართლე ელაპარაკა. თავგამოდებით იცავდა იმ აზრს, რომ ხელოვნებას არაფერი აქვს საერთო პოლიტიკას-



პოლინი „პილარის“ საჭესთან,
1934.

თან. ამერიკელ მემარცხენეებს მაინცდამაინც არ სიამოვნებდათ, რომ ჰემინგუეი დიდად პოპულარული იყო რუსეთში, რაც დღემდე გრძელდება. მე ლენინგრადში ვიმყოფებოდი, როდესაც შევიტყვე ჰემინგუეის გარდაცვალების ამბავი. „ასტორიის“ მისაღებში გოგონები გულწრფელად ტიროდნენ: „ჩვენ ისე გვიყვარდა იერნესტ ჰემინგუეი“, — ამბობდნენ ისინი. როდესაც ჰემინგუეიმ გაიგო, რომ იგი რუსეთში ძალიან უყვართ, მან თქვა — იდეოლოგიურ მოსახრებას ნაკლებად ეწვევანგარიში, როცა სწორი ლიტერატურული მსჯავრის გამოტანა უნდათ. ვგონებ, არ ცდებოდა.

მაგრამ 1935 წლის ცნობილი გრიგალის დროს მაინც დაწერა ისეთი რამ, რასაც პოლიტიკური იერი დაკრავს. გრიგალმა კი უესტსაც გადაუარა, თუმცა „პილარი“ გადაურჩა აზვირთებულ ტალღებს. ნამდვილი უბედურება კი ლაგოუს, აისლამორადას, ზემო და ქვემო მატეკუმბეს კუნძულებზე დატრიალდა. ჰემინგუეის ერთი სული ჰქონდა, ენახა დაზარალებული ადგილები და რითაც შეეძლო, დახმარებოდა. მეზღვაურმა ბრა სონდევმა ნავით ქვემო მატეკუმბეში მიიყვანა. საშინელება იყო ის, რაც მან იქ ნახა. პრეზიდენტ რუზველტის ეკონომიური სტიმულირების პოლიტიკის შესაბამისად, ფლორიდის ნახევარკუნძულზე სახელმწიფო საწარმოები ომის ვეტერანებისათვის მშენებლობის პროცესში იყო და მუშები კარვებში ცხოვრობდნენ. გრიგალმა იმსხვერპლა ათასამდე მუშა, მეთევზე და ტურისტების მომსახურე ფლორიდეელი. ეს საშინელება ჰემინგუეიმ ამგვარი დეტალებით განაზოგადა: ბენზინის წერტის მესაკუთრე ორი ქალიშვილი, აწ უკვე მკვდრები, „ვეება ბურთებივით მკერდებით, წყლით დაბერილი მუცლებით, ტალღას ხეზე მიენარცხებინა. ისინი პირაღმა ტივტივებდნენ და ლაჯებში ბუ-

ზები ესეოდათ“. მუშების დაღუპვა, რომლებიც მოკლებული იყვნენ სათანადო ყურადღებას და კარვებში ცხოვრობდნენ, მემარცხენე პრესამ მთავრობის უნიათობითა და გულგრილობით ახსნა. გაზეთმა „ნიუ მესიზ“-მა ჰემინგუეის უღებემა, დაწერა სტატია ამ უბედურებაზე. თავის სტატიაში ჰემინგუეი თავს დაესხა ვაშინგტონელ ხელისუფალთ.

სტატია „ვინ მოკლა ომის ვეტერანები?“ ბევრმა ჰემინგუეის რევოლუციური ნათლობის ნიშნად მიიჩნია, მაგრამ მან არ დააყოვნა განეცხადებინა კერძო საუბარში: სტატია „ნიუ მესიზ“-ის დაკვეთით არ ნიშნავს, რომ ახლა გულზე მეხატებიან წითლები გინდა ვარდისფერები, რომლებიც ჩემს შემოქმედებაში „სოციალური შვენების“ ნაკლებობას მსაყვედურობდნენ დღენიადა, მაგრამ როცა ულმობელი სიძარტლე დასჭირდათ, ისევ მე მომმართეს; კარგად იციან, მაქვს იმის შნო, რომ გრიგალით გამოწვეული უბედურების სახანავად წავსულიყავი. რაც შეეხება „ნიუ მესიზ“-ის ერთ-ერთ რედაქტორს — რობერტ ფორსაითს, რომელიც მის ნაწარმოებებს იშვიათი სიძულვილით იხსენიებდა, ჰემინგუეი იქაუნებოდა, ერთხელაც იქნება მაგ ნაბიჭვარს ღრანჭს მოვუქცევო. მეორე მხრივ, როდესაც ერთმა მემარცხენე ახალგაზრდამ გულთბილი წერილი გაუგზავნა და სთხოვა — თავი დაანებეთ მარტოხელა სტოიკოსებზე წერას და სოციალურ უსამართლობაზე წერეთო, მან თავაზიანი წერილით უპასუხა — ვიფიქრებ ამაზე.

მართლაც ფიქრობდა ამაზე. უფრო მეტიც: დაწერა „სოციალური შვენებით“ გამსჭვალული ნაწარმოები „ქონება თუ უქონლობა“ (1937) — თავისი ერთადერთი რომანი ამერიკულ სინამდვილეზე. სათაურშიც ჩანს ავტორის დაინტერესება სოციალური უსამართლობით. მაგრამ მემარცხენეობას ეს რომანი არაფრად გამოადგებოდა ერთობლივი რე-

Hollywood Peddles Will Rogers' Body-Page
 new SEPTEMBER 17, 1935 10c
Masses
Who Murdered The Vets?
 A First Hand Report on the Florida Hoax
 By ERNEST HEMINGWAY
 Consumers' Research on Strike — by ARTHUR KALLET
 Vigilantes and Cops — in SANTA ROSA and CHICAGO
 Closing Session of the C.I. — by EUGENE GORDON
 Forsythe on Robert Briffault's "Europa"
 Cartoons by Gropper, Gardner Rea, Limbach

მემარცხენეთა ჟურნალში ჰემინგუეიმ მთავრობის უნიათობა ამხილა, რაც ზოგმა მისი მხრიდან პოლიტიკაში ჩაურევლობის დარღვევად მიიჩნია.



ჰემფრი ბოგარტი და ლორენ ბოკალი ფილმში „ქონება თუ უქონლობა“.

ვოლუციური ბრძოლის პროპაგანდისათვის. მთავარი გმირი ჰარი მორგანი, მტკიცე ხასიათის მარტოხელა, რომელიც მწერლის სხვა ნაწარმოებებშიც გვხვდება, კინომოყვარულებს უთუოდ სამუდამოდ დაამახსოვრდატ ჰემფრი ბოგარტის, ხოლო მისი მორგანი — ლორენ ბაკოლის (მისი ბოგარტის) შესრულებით. თავისი სახელის მიუხედავად, ჰარი მორგანი მეკობრე არაა, წესიერი, მაგრამ დაუდევარი ადამიანია, რომლისთვისაც სულ ერთია რისთვის დაიქირავებენ მის კატარდას — სათევზაოდ თუ ჩინელი კონტრახანდისტების მოსაკლავად. იგი მარტოკა მოქმედებს და ალბათ ამის გამოც — მას ატყუებენ. ადრინდელი ჰემინგუეის ერთ-ერთი დიდი თემა იყო იმის ჩვენება, რომ ადამიანს სხვების დაუხმარებლადაც შეუძლია უშველოს თავს „სეპარატული ზავის“ დადებით. მაგრამ 30-იანი წლების დამლევს ჰემინგუეი თითქოს აღარ იზიარებს ამგვარ თვალსაზრისს. ჰარი მორგანი ამბობს: „აღარც ნავი მაქვს, არც ფული და არც განათლება...

ისლა დამრჩენია ჩემი cojones გავეყილო“. უფრო ხშირად იმოწმებენ მის სიკვდილისწინა სიტყვებს: „დასწყევლოს ღმერთმა, მარტოკა ადამიანი არაფრის მაქნისი არაა“. ეს სიტყვები ერთგვარ დევიზად იქცა იმ ამერიკელი მემარცხენეებისათვის, რომელთაც, თუ სხვა არაფრისათვის, პრესტიჟისათვის მაინც უნდოდათ, რომ ჰქმინგუეი მათიანი ყოფილიყო.

მაგრამ მორგანს, ამ ცნების ორთოდოქსული გაგებით, არ გააჩნია არავითარი „კლასობრივი შეგნება“. ამქვეყნად წარმატების ერთადერთ საშუალებად მას ძალადობა მიაჩნია (რაც, მემარცხენეთა აზრით, მხოლოდ მემარჯვენეთა თვისებაა); ნებისმიერი კაპიტალისტის მსგავსად, მისთვის მთავარია მოგება. ახალგაზრდა კუბელი რევოლუციონერის ემილიოს მჭევრმეტყველებას იმპერიალისტურ ტირანიაზე იგი აბუჩად იგდებს: „რა ეშმაკად მინდა რევოლუცია?! მე ცოლშვილის რჩენა მიჭირს და ეს კი რევოლუციაზე მელაპარაკება“. ფულის შოვნაში მას სხვადასხვა ჯურის ხალხი უშლის ხელს — მდიდარი ამერიკელი, რომელიც ატყუებს; რევოლუციონერი, რომელიც უმუხთლებს; საბაჟოს მოხელე, რომელიც თოფს ესვრის. ბევრი ფული რომ ჰქონდეს, მორგანი უმაღლესეპარატულ ზავს გამოაცხადებდა. მის ირგვლივ არსებული საზოგადოების მიერ გარიყული მრავალი ადამიანი ტრიალებს. ასე რომ, ჰემინგუეი სავსებით გულწრფელი იყო, როდესაც ომის დაღუპულ ვეტერანებზე პოლიტიკური მრისხანებით აღსავსე სტატია დაწერა.

1936 წლის 18 ივლისს ესპანეთში სამოქალაქო ომმა იფეთქა. ამ დროს ჰემინგუეი უაიომინგოში სანადიროდ წასასვლელად ემზადებოდა, ხოლო შემდეგ ბიმინისთან სათევ-

ზაოდ და აფრიკაში სანადიროდ წასვლას აპირებდა. მაგრამ მან თქვა: ახლა ჩემი ადგილი ესპანეთშია. ასევე მიაჩნდათ მის ამერიკელ მეგობრებსაც, რომელთაც თვითონ არავითარი სურვილი არ ჰქონდათ ესპანეთში წასულიყვნენ. მადლიერების დღის შემდეგ, სულ მალე, ჭორების რუბრიკის მიმომხილველი უოლტერ უინჩელი აღნიშნავდა — ამბობენ Papa-ჰემინგუეი ესპანეთში აპირებს წასვლასო. ჩრდილო ამერიკის პრესის სააგენტომ (ნანა) ამ ცნობის წაკითხვის შემდეგ ჰემინგუეის მისწერა: ნანა, რომელიც სამოც წამყვან გაზეთში აქვეყნებს თავის მასალებს, მოგმართავთ წინადადებით, მოგვაწოდოთ რეპორტაჟები ესპანეთზე. ჰემინგუეი დათანხმდა, თუმცა პოლინი ურჩევდა უარი ეთქვა, ვინაიდან გული უგრძნობდა, რომ ერნესტი ამ ომში არ დაიღუპებოდა, მაგრამ მისი გამგზავრება მათი განქორწინებით დამთავრდებოდა. პოლინის შეშფოთება არ იყო საფუძველს მოკლებული.

იმავე წლის დეკემბერში ჰემინგუეი, გაბურძნული, დაქექილ შორტებსა და ჩოგბურთის მაისურში დასალევად იყო მისული „სლოპი ჯოუზ“-ში, როდესაც იქ სენტ ლუიზიდან შვებულებით ჩამოსული ორი ქალი შევიდა. ორივე — დედა-შვილი — ელეგანტური და ლამაზი იყო. დედა — ედნა ფიშელ გელჰორნი, ავსტრიელი გინეკოლოგის ქვრივი, ჰემინგუეისთან გასაცნობად მივიდა. მის ქალიშვილს, მართას, ბრინ მორის კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული, ორი წიგნის — რომანისა და მოთხრობების კრებულის ავტორი იყო. ამგვარად, მას ჰემინგუეისთან ლიტერატურა აკავშირებდა, გარდა იმისა, რომ მისი თაყვანისმცემელი იყო და ამასთანავე გაუთავებლად შეეძლოთ ელაპარაკათ სენტ ლუისზე. მართა განათლებული ქალი იყო, დახვეწილი გემოვნება ჰქონდა, კარგად ერკვეოდა საერთაშორისო პოლიტიკის ამბებში და

ძალიან შეშფოთებული იყო ევროპაში შექმნილი ვითარებით. ნამყოფი იყო გერმანიაში და ახლა ესპანეთში აპირებდა წასვლას. დიდი სურვილი ჰქონდა თვითკმყოფილი დემოკრატიული სახელმწიფოების შეგნებაში დაეყვანა თავგასული ფაშიზმის საფრთხე. მართას კინოკარსკვლავის გამოყვანილი ტანი და მხრებზე დაშვებული ელვარე ქერა თმა ჰქონდა. დაშოკირებულ ქალთა უმრავლესობის მსგავსად, თუ ისინი ამასთანავე ღამასებოც არიან, თავისი სიღამასე მიაჩნდა ზედმეტ ტვირთად, რომელსაც შეცდომაში შეჭყავდა კაცები, ძნელი სათქმელია, როგორი წარმოდგენა შეუქმნა მისმა სიღამასემ ჰემინგუეის. პოლინი შავ დღეში იყო: ჰემინგუეის აშკარად მოსწონდა მართა, როდესაც დედამისი ხენჯ ღუისში გაბრუნდა, მართა არ გაჰყვა. იღბლიად, ჰემინგუეი თავაუღებლად მუშაობდა რომანზე „ვის უხმობს ხარი“ და მართას იმდენ დროს ვერ უთმობდა, რამდენსაც თავაზიანობა მოითხოვს. მაგრამ როცა მართამ მათიში დააპირა გამგზავრება, რომ იქ სრდილობით მიმავალი მატარებლისათვის მიესწრო, ჰემინგუეის გაახსენდა, რომ ნიუ-იორკში გადაუღებელი ხაქმე ჰქონდა და მართას მატარებელზე აიღობილეთი, მან და მართამ მათიში ისაღიღეს და შემდეგ ორთქმავლის ქლიშინის ხმასე განაგრძეს თავიანთი საუბარი დიკერატურასა და ხენჯ ღუისსე. პოლინი ხვდებოდა, რომ მკორდებოდა ის, რაც ამგვარადვე მოხდა ათი წლის წინათ.

ნიუ-იორკში ჰემინგუეიმ ხელი მთაწერა კონტრაქტს ნანა-სთან და მონაწილეობა მიიღო სადიქტორო ტექსტის შედგენაში რესპუბლიკის სახარგებლოდ გადაღებული პროპაგანდისტული ფილმისათვის „ესპანეთი ცუცხელში“. მაგრამ საუბარსა და წერილებში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არც



ჰემინგუეი და მისი მესამე ცოლი —
მარტა გელპორნი ნანადირევით.
სან ველი, 1930-იანი წლების დამ-
ლვეი.

ერთ პოლიტიკურ მხარეს არ ემხრობოდა, რომ, უბრალოდ, შეშფოთებული იყო იმ საშიშროებებით, რომელსაც ესპანეთის სამოქალაქო ომი მოასწავებდა. იმ დროს რომ სცოდნოდა, უთუოდ დაიმოწმებდა სიტყვებს წმინდა პავლეს კათედრალის მოძღვრის ქადაგებიდან (რომლებიც მოგვიანებით „ინგლისური პროზის ოქსფორდული კრებულიდან“ თავისი რომანის სათაურად გამოიყენა) იმის შესახებ, რომ ადამიანს არ ძალუძს კუნძულივით განცალკევება. ამასთანავე, ჰემინგუეის ღრმა რწმენით, შეერთებული შტატები არ უნდა ჩაბმულიყვნენ ევროპის ომში. მალე იგი ესპანეთისაკენ გაემგზავრა. ორიოდე კვირაში მადრიდში იყო.

მან გაგზავნა რეპორტაჟები რესპუბლიკელთა მიერ იტალიელების დამარცხებაზე გვადალახარასა და ბრიევასთან; დაათვალი-

ერა და ძალზე მოქონა მადრიდის დასაცავად ჩატარებული სამუშაოები: გადაჭრით განაცხადა – გენერალი ფრანკო მადრიდს ვერ აიღებსო. ცოტა ხანში მადრიდს მართა გელპორნი ჩავიდა როგორც „კოლიერს“-ის სამხედრო კორესპონდენტი, ანუ, ფაქტიურად, როგორც დამოუკიდებელი მიმოძილველი. თავისი მფარველობით ჰემინგუეიმ მის დამოუკიდებლობას პირველსავე შეხვედრისას ფრთები შეაკვეცა. ესპანეთში ჰემინგუეი თავს მასპინძლად გრძნობდა.

მადრიდის უძლეველობაზე მისი წინასწარმეტყველება არ ახდა. გარაბიტას მთიდან ფრანკოს არტილერია ქალაქს გამუდმებით უშენდა ცეცხლს. სასტუმრო „ფლორიდაში“, სადაც დაბინავებული იყვნენ ჟურნალისტები, ძნელი იყო საჭმელის შოვნა. რუსების რეზიდენციაში – სასტუმრო „გაილორდში“ ხიზილალისა და არყის სუფრაზე ჰემინგუეი ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო. ტრანსპორტი, ბენზინი და საკ-

ბრძოლა მადრიდისათვის. 1936. ახალი სურათი დამახასიათებელი გახდა მომდევნო ათწლეულის ევროპისათვის.



ვები ჭირდა, მაგრამ ჰემინგუეი ყველაფერს ადვილად შოულობდა და დროსაც ყველაფერი ისათვის პოულობდა, თუმცა ბევრს მუშაობდა. ნანა-ს რეპორტაჟებს უგზავნიდა, დოს პასოსთან ერთად მუშაობდა ფილმზე „ესპანეთის მიწა“. კინოაპარატით დაჰყვებოდა ტანკებსა და ქვეით ჯარისკაცებს და თავს საფრთხეში იგდებდა. არც „ფლორიდაში“ იყო სრული სიმშვიდე. ერთხელ ფრანკის ტების ყუმბარა საქვაბეს მოხვდა და როცა ხალხი თავიანთი ოთახებიდან საცვლების ამბარა გამოცვივდა, ფარდა აეხადა მრავალ ფარულ სატრფიალო რომანს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჰემინგუეისა და მართას რომანი იყო, თუმცა აქ საექვო არც მანამდე არაფერი ყოფილა.

კვლავ უნდა გავიხსენოთ, რომ ჰემინგუეის არასოდეს მოუკლავს ძე ხორციელი. მაგრამ თავისი ვეება ტანით, წვერებითა და მებრძოლის გარეგნობით ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ მეთერთმეტე და მეორემეტე ინტერნაციონალური ბრიგადის მებრძოლებს იგი თანამებრძოლად მიაჩნდათ. სროლის უინს ტყის უწყინარ ფრინველებზე იკლავდა. ერთ დილას იხვი, კაკაბი, ოთხი კურდღელი და ბუ მოკლა; ბუ — შეცდომით, ტყის ქათამი ეგონა. მადრიდში, სადაც უადრესად სახიფათო იყო ყოფნა, მას გულდია ადამიანად იცნობდნენ. მისი ნება იყო, როდის გაემგზავრებოდა, მაგრამ იგი არ წავიდა მანამდე, ვიდრე არ შეიფუთა და გემით. არ გაიგზავნა „ესპანეთის მიწის“ ფირი. წასვლისას დაიბარა, დავბრუნდები და ყოველივეს ვიღონებ რესპუბლიკელთა საქმისთვისო.

ბევრს ვერაფერს იღონებდა. თუ რაიმე სცემდა თავზარს ჰემინგუეის, ეს — საჯაროდ ლაპარაკი. მაგრამ ორიოდ სიტყვა მაინც თქვა სილვია ბიჩის მაღაზიაში (ჯეიმზ ჯოისი, პოლიტიკისადმი გულგრილი, ღუმ-

და, მას საკუთარი ომი ჰქონდა — სიტყვებთან), ხოლო ნიუ-იორკში მწერალთა ყრილობას მიესალმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველი მწერლისათვის, რომელსაც არ სურს იცრუოს, ფაშიზმი მიუღებელია. დაამთავრა მუშაობა ფილმზე „ესპანეთის მიწა“, რომლის საკვანძო ადგილებში ჰემინგუეი თავის სადიქტორო ტექსტს კითხულობს. ფილმი თეთრ სახლშიც იქნა ნაჩვენები. ჰემინგუეის აზრით, თეთრ სახლს მართავდა კაცი, რომელსაც არა აქვს cojones. ოდნავ გადაკრულმა ჰემინგუეიმ პოლივუდშიც ილაპარაკა ესპანეთის რესპუბლიკის მხარდასაჭერად და შემდეგ ფულადი დახმარების შეგროვებას შეუდგა. დიდძალი ფული შეგროვდა ფრიად საჭირო და გადაუდებელი საქმისათვის — რესპუბლიკისათვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. ცოტა ხანში ჰემინგუეი ესპანეთში ჩავიდა.

მადრიდში მართასთან ერთად დაბრუნდა. ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი პოლინთან, რომელსაც არ უნდოდა ოჯახის დანგრევა. ესპანეთის ორი მესამედი ფრანკოს ჩექმის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ რესპუბლიკელები თავგანწირულად იბრძოდნენ და ბელჩიტე დაიბრუნეს; ერნესტის და მართას ძნელი მგზავრობა ბელჩიტეს სექტორში (ისინი პირველი ამერიკელი ჟურნალისტები იყვნენ ამ უბანზე) დროისტარება როდი იყო. მართა კარგი თანამგზავრი და გულადი ქალი გამოდგა. ერნესტი აღტაცებული იყო. ამჯერად მადრიდში უფრო მშვიდი ვითარება იყო, ვიდრე წინა ჩამოსვლისას. ჰემინგუეიმ გამოძებნა დრო თავის პირველ და უკანასკნელ პიესაში — „მეხუთე კოლონა“ — იმ დღეების, ადგილისა და ლამაზი ქერა ქალის უკვდავსაყოფად. კორესპონდენტი ქალი დოროთი ბრიდჯესი ამ პი-

ესაში აშკარად მართა გელჰორნია, თუმცა ზოგჯერ ლედი ბრეტივიტ მეტყველებს; ფილიპ როულინგსი — ვეება, მამაცი, სმისა და ზედ ხახვის დაყოლების მოყვარული სამხედრო კორესპონდენტი, რომელიც, თავისი პროფესიით შენიღბული ჯაშუშია, ჰემინგუეის თვისებებითაც ხასიათდება. დრო და ვითარება, რომელშიც იწერებოდა პიესა, ამ უკანასკნელის წინასიტყვაობაში ასეა აღწერილი: „ყოველ დღე ლევანესის გაღმიდან და გარაბიტასის კალთებიდან ცეცხლს გვიშენდნენ და კიდრე პიესას ვწერდი, სასტუმრო „ფლორიდას“, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით და ვმუშაობდით, სულ ცოტა ოცდაათი ყუმბარა მოხვდა. ასე რომ, თუ პიესა არ ვარგა, მხოლოდ ამ მიზეზით, ხოლო თუ კარგია, ალბათ მხოლოდ ამ ოცდაათ ყუმბარას უნდა ვუმაღლოდე... როდესაც ოთახში ვბრუნდებოდი და პიესა უვნებელი მხვდებოდა, ყოველთვის მიხაროდა. პიესა დავამთავრე, გადავწერე, გავგზავნე და ტერუელიც აიღეს.“

ჰემინგუეი თან გაჰყვა რესპუბლიკელებს ტერუელში, სადაც თითქოს ნამდვილი გმირი ყოფილიყო, მჩქეფარე ტკბილი მაჭარით ხვდებოდნენ. ყველას რუსი ოფიცერი ეგონა. ჰემინგუეიმ ამაზე ბევრი იცინა. შობა მართასთან ერთად კატალონიაში გაატარა; ამ დროს პოლინმა, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ქმრის შენარჩუნებას, თავისებურ ქალურ ხერხს მიმართა — მხრებამდე მოიზარდა თმა და პარიზში ჩამოვიდა ესპანეთში შესასვლელი ვიზის მისაღებად. მაგრამ ამა-სობაში ჰემინგუეი თვითონ ჩავიდა პარიზში. ღვიძლი სტიკოდა. ექიმებმა სასტიკად აუკრძალეს სმა. ვერ აცდა ცოლთან ჩხუბს; პოლინი სასტუმროს ფანჯრიდან გადახტომით იმუქრებოდა. ჰემინგუეის გული უგრძობდა, რომ მეორე ქორწინებაც პირველივით დამთავრდებოდა. ბრაზობდა, რომ ნანა მის



რეპორტაჟებს ან კვეცდა ან არ ბეჭდავდა (კათოლიკური წრეების ზეგავლენით?). დვიძლის ტკივილით გატანჯულს ხან კი უესტში მუშაობა ენატრებოდა და ხან ესპანეთში მართასთან ერთად ყოფნა უნდოდა. ეცადა სარწმუნოებაში ეპოვა შეება, მაგრამ ეკლესიას წყეული ფაშისტების მხარე ეჭირა. მცირე ხნით ფლორიდაში წავიდა, შემდეგ ესპანეთში დაბრუნდა. გულისტკივილით ადევნებდა თვალს რესპუბლიკელების უკან დახევას ყველა ფრონტზე. ბევრს ფიქრობდა თავის აწეწილ ცხოვრებაზე; გზავნიდა რეპორტაჟებს, რომლებსაც ნანა-ს ნაბიჭვრები იწუნებდნენ.

უნდა ითქვას, რომ ჰემინგუეი არ იყო მაინცდამაინც კარგი სამხედრო კორესპონდენტი. მწერლური ნიჭი სინამდვილის მხატვრული გააზრებისაკენ, ესთეტიკური გარდაქმნისაკენ, ანუ იმგვარი „იმპრესიონიზმისაკენ“ უბიძგებდა, რომლისკენაც მოუწოდებდა მწერლებს ფორდ მედოქს ფორდი. ფორდის თანახმად, მხატვრულ სიმართლეს არა ფაქტე-

ჰემინგუეი რესპუბლიკური პროპაგანდისტული ფილმის — „ესპანეთის მიწის“ გადაღებისას. ფილმის გადაღებზე ჯგუფში — „თანამედროვე ისტორიკოსები“, ჰემინგუეის გარდა შედიოდნენ — ჯონ დოს პასოსი, ლილიან ჰელმანი, არჩიბალდ მაკლიში.

ბი, არამედ მათი სწორი დანახვა განაპირობებს; ეს თვალსაზრისი ამართლებს ფაქტების შეცვლა-შესწორებას ანუ იმას, რასაც, ჩვეულებრივ, გამონაგონს უწოდებენ. დამკვეთები ნანა-დან მისგან ფაქტებს მოითხოვდნენ, ის კი მათ ლამის მხატვრულ პროზას სთავაზობდა, რომელთა ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი თვითონ არის. მისი რეპორტაჟები როგორც ესპანეთის, ასევე ევროპის დიდ ომზე დღესაც ისეთივე სიამოვნებით იკითხება, როგორც მისივე ლირიკული პროზა. სიმწიფისა და დიდების წლებში დაწერილი ჰემინგუეისეული სამხედრო რეპორტაჟები (იმ უფრო სპეტაკი დღეებისაგან განსხვავებით, როცა ჟურნალისტობით ირჩენდა თავს) მხატვრული პროზის ერთგვარი ნაირსახეობაა, რომელთათვისაც ავტორმა ვერ გაიმეტა უფრო მაღალი დონის პროზისათვის გადანახული თემები. ნანა-ს მსგავს დაწესებულებას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ჰემინგუეის საშუალება მიეცა თავი მოეყარა სერიოზული პროზისათვის. სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ, „მეორეხარისხოვანი ჰემინგუეით“, რომელიც ზოგჯერ არც მოსწონდათ. ამერიკაში დაბრუნებული ჰემინგუეი შეუდგა რომანის წერას ესპანურ შთაბეჭდილებათა საფუძველზე. ზოგი რამ ცხადია, საწყენიც შეხვდა. არ ივარგა „მეხუთე კოლონის“ სასცენო ვარიანტმა, რომელიც „თეატრალური გილდიისათვის“ სცენარისტმა ბენჯამინ ფ. გლასერმა მოამზადა (მოგვხსენებათ, ამერიკაში სასცენო ხელოვნების ლაბორინთებში გზის გასაგნებად ნებისმიერ მწერალს მეგზური ესაჭიროება). ახალი მოთხრობების უკანასკნელი კრებული 1938 წელს გამოიცა „მეხუთე კოლონა“-სთან ერთად, რომელიც წიგნის სათაურშიც არის გამოტანილი. ამ კრებულში ავტორის სტილი და თხრობის მანერა კვლავინდებურად ბრწყინავს. ჰემინგუეის ვარაუდი

გამართლდა: დაიწყო მსოფლიო ომი. პოლინ-
თან ჯერ კიდევ არ იყო გაყრილი, მაგრამ
გაყრა აშკარად გარდაუვალი იყო. მართას
თუ დავესესხებით, ოთხი წლის „ტკბილი
ცოდვის“ შემდეგ, უაიომინგის შტატის დე-
დაქალაქის — ჩეინის მომრიგებელ სასამართ-
ლოში ჰემინგუეიმ ხელი მოაწერა მართასთან.
განქორწინებას, რომელიც საბოლოოდ პოლი-
ნის თანხმობით მოხდა, კარგა ხანი დასჭირ-
და და ჰემინგუეის გამუდმებით სინდისი ქენ-
ჯნიდა. ნომინალურად კათოლიკე, იგი თავს
იმით იმართლებდა, რომ პოლინისათვის მშო-
ბიარობა აღარ შეიძლება, ხოლო ეკლესიის
თანახმად, სქესობრივი ურთიერთობის უპირ-
ველესი მიზანი შთამომავლობის შექმნაა. ჰე-
მინგუეიმ საკუთარი თავი დაარწმუნა, რომ
მას აუცილებლად უნდა ჰყოლოდა ქალიშვი-
ლი, რომელსაც მართა გაუჩენდა. იმედი არ
გაუმართლდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც
მისცა მართას ამის საშუალება. სახლი კი
უესტში პოლინს დარჩა. მსოფლიო ომის დამ-
დეგიდან თითქმის სიცოცხლის ბოლომდე
ჰემინგუეი კუბაზე ცხოვრობდა, სან ფრანსის-
კო დე პაულასთან ჰქონდა კარ-მიდამო სა-
ხელად ფინკა ვიხია. ამ კარ-მიდამოს პირ-
ველი (და არა უკანასკნელი) დიასახლისი
მართა იყო იმ დროის გამოკლებით, როდე-
საც იგი სამხედრო კორესპონდენტად მუშა-
ობდა.

„ვის უხმობს ზარი“ 1940 წელს გამოქ-
ვეყნდა და უზარმაზარი ტირაჟით გავრცელ-
და, ინგლისშიც კი, სადაც ხალხის გონე-
ბა ესპანეთის ომზე უფრო დიდი ომით იყო
დაკავებული. ამერიკაში ერთ თვეში 200000
ცალი ხელისმომწერლებმა შეიძინეს და გარ-
და ამისა, კიდევ 160000 ცალი გაიყიდა: პო-
ლიუვლი მაშინვე დაინტერესდა და ჰემინ-
გუეის 136000 დოლარი გადაუხადა ეკრანი-
ზების უფლებაში. ედმუნდ უილსონის სტა-
ტიაში „ჰემინგუეი: ზნეობრივი კრიტიკრიუ-

მი“ (იხ. მისი კრებული „ჭრილობა და მშვიდ-
ლი“, 1941) გაისტუმრებია მისაზრება, რომ ამ
რომანში „სიგი რამ ისე რომანტიკულად და
მკლადრამატულად არის გადაწვეტილი,
რომ თითქმის ეკრანისათვის არის გამიზნუ-
ლი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰემინგუემ
რადაც დაიწყო, 30-იანი წლების ამერიკულ
„ბოჰემიურ რომანს“ უკვე შესისხლხორ-
ცებული ჰქონდა ჰემინგუის სტილის მრავ-
ალი ელემენტი: ის, რაც თავის დროსე დიდ
სიახლედ აღიქმებოდა, ახლა ღამის ყოველი
რიგითი რომანის კუთვნილებად იქცა. „ვის
უხმობს ხარი“ არც წინგადადგმული ნაბი-
ჯია და არც დიდად არ აღემატება ჰემინ-
გუის მიმბაძველების პრახას. მისი ადრინ-
დელი რომანები კვლავ ხიბლავდნენ მკითხვე-
ლებს სიახლითა და ორიგინალით: ხოლო
„ვის უხმობს ხარი“ არც სიახლით და არც
მწერლისათვის ჩვეული გამომსახველობით
არ გამოირჩევა: მასში ისეთი ამბავია გად-
მოცემული, რომელიც, ცუდადაც რომ მოყვებ,
მაინც წარმატები იქნება. ჰემინგუეი ვერ ხვდებ-
ოდა, რომ მარცხი იწვნია, გაეცნო თუ არა
პარი კუპერს სან ველიში, სადაც ორივე სა-
ნადიროდ იყო ჩასული. ჰემინგუემ მასში
დაინახა ის მსახიობი, რომელიც რომანის
მოთვარი გმირის – რობერტ ჯორდანის შემ-
სრულებლად გამოდგებოდა. ცოტა ხნის შემ-
დეგ დაინტერესდა როგორი ყურები ჰქონდა
ინგრიდ ბერგმანს, რომელიც მარიას როლის
შემსრულებლად უნდოდა (ფაშისტები თმას
გადაპარსავენ მარიას), ინგრიდს ისეთივე ღა-
მასი ყურები აღმოაჩნდა, როგორც სხვა ყვე-
ლაფერი, რაღა გავაგრძელოთ, ჰემინგუის
აზრით, მისი რომანის კარგი ეკრანიზება ლი-
ტერატურულ პირველწყაროსე ნაკლები არ
უნდა გამოსულიყო. ჰემინგუეი-მწერალი, შე-
იძლება ითქვას, ვერ გაუძლო ცთუნებას, რაც
გამოწვეული იყო არა იმდენად ფულის გაკე-

თების სურვილით, რამდენადაც ესპანეთის რესპუბლიკისადმი ერთგულებით.

და მაინც რომანი აშკარად სჯობს სემ უუდის მიერ 1943 წელს გადაღებულ ფილმს, რომელიც თითქმის ისეთივე ბანალურია, როგორც ჰემინგუეის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული სხვა ფილმები. რომანის ზოგიერთი ადგილი, წიგნის გამოცემიდან კარგა ხნის შემდეგაც, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს; ასეთია მარიასა და ჯორდანის პირველი დამე — „ხელშეკრულება სიკვდილის წინააღმდეგ“, როდესაც მათ ფეხქვეშ მთელი დედამიწა ირყევა. ასეთია „ვეება, ნატიფი და ცად ატყორცნილი ლითონის“ ხიდი, რომელიც მოწინააღმდეგეთა ერთადერთი დამაკავშირებელი ხაზია და უფრო ფართო გაგებით — ის გზაა, რომლითაც ტექნიკურ სიახლეთა ხანა უტევს ვიწრო და კარნაკტილ ურთიერთობათა პასტორალურ სამყაროს. რობერტ ჯორდანს, ინტელექტუალს, რესპუბლიკელთა მხარეზე მებრძოლ ესპანუ-

რესპუბლიკელთა სამხედრო პარადი ტერუელში 1938 წლის იანვარს. თავისი პიესა ამ ომზე „მეხუთე კოლონა“ ჰემინგუემ ტერუელის აღების დროს გაგზავნა ამერიკაში.





მარია და ჰემინგუეის დროებითი 'ხვი ნიუ იორკში'.

რი ენის ამერიკელ პროფესორს. პარი მორგანით, კომუნისტური იდეოლოგიის არაფერი გაეგება. მისი სახე არაა ბოლომდე დამაჯერებელი. ესპანეთის სამოქალაქო ომის გამაპირებელი მოვლენები არაა ორგანულად დაკავშირებული ძირითად ამბავთან და ისეა გადმოცემული. როგორც სახელმძღვანელოში. მაგრამ მარია და დიდებული პილარი ჰემინგუეის საუკეთესო პერსონაჟთა რიცხვს განეკუთვნებიან. ჰემინგუეი ამაოდ დაშურა, რათა მარია ტოლსტოის ნატამასაკით წარმოეცა ყოფილიყო. ჰემინგუეიმ საპატიო, მაგრამ ძნელმისაღწევი მიზანი დაიხასა — ომის პანორამის ფონზე სიყვარული ისე უჩვენებინა, რომ ამ სურათს, თუნდაც დიდი შეღავათით, ტოლსტოის რომანთან — „ომი და შშვიდობა“ — შედარებისათვის გაეძღლო. ქების შეტი რა გვეთქმის. ჰემინგუეიმ მოიხდომა სიმართლე ეთქვა სიყვარულზე. განსაცდელსა და ვაჟაკობასე ამ სიტყვათა ტრადიციული, რომანტიკული გავებით. მწერალმა არ უღადატა სიმართლეს თვით ისეთ ადამიანურ მანკიერებათა ხეყენებისას.

რომლებიც ზოგიერთ შემარცხენეს ურჩევნო-
და უზადო რაინდული საბურველით ყოფი-
ლიყო შებურვილი. „ვის უხმობს ზარი“ არა
პროპაგანდის, არმედ ხელოვნების ნიმუშია
და, ხელოვნების კანონების შესაბამისად,
მასში ასახული მოვლენებისადმი რთულ,
ზოგჯერ ამბივალენტურ დამოკიდებულე-
ბასაც კი გვინერგავს. რომანმა ათასობით ადა
მიანს ასწავლა როგორ უნდა გიყვარდეს და
როგორ უნდა გპულდეს ესპანეთი. არავინ
დარჩენილა გულგრილი ამ ქვეყნისადმი, მი-
სი ხალხისა და მისი ისტორიისადმი.

ჰემინგუეი კმაყოფილი დარჩა ამ წიგნი-
თა და მასზე გამობხაურებით, მაგრამ იმა-
საც ხედავდა, რომ ამ რომანმა მას სახე-

გარი კუპერი რობერტ ჯორდანის
როლში — სემ უუდის ფილმში „ვის
უხმობს ზარი“, 1943. კუპერი ამ
როლში ჰემინგუეიმ აირჩია. ამ
დროს დამეგობრდნენ ისინი.



ლი შეუბღალა. იგი უკვე აღარ ითვლებოდა არც ლიტერატურული ავანგარდის მოციქულად, რომელსაც მთავარი სათქმელი ჯერ კიდევ არ უთქვამს, და არც ამერიკული ლიტერატურის მეტრად. კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ნიკოლას მერრე ბეტლერმა ვეტო დაადო შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილებას ჰემინგუეის რომანს პულიცერის პრემია მინიჭებოდა, და ამით გამოხატა თავისი შეხედულება ამ წიგნზე. შუა ხნის ყველა მწერალის მსგავსად, ჰემინგუეი ღრმა ნოსტალგიამ შეიპყრო — ენატრებოდა ის დრო, როდესაც ორიოდე ლექსის დაბეჭდვაც კი ჟრუანტელს გვრიდა. თანდათან მცირდებოდა მასზე ოდნავ უფროსი თაობის რიგები: 1939 წელს გარდაიცვალა ფორდ მედოქს ფორდი (და აგრეთვე — ახალგაზრდა ტომას ვულფი), 1940 წელს — სკოტ ფიცჯერალდი, 1941-ს შერვუდ ანდერსონი, ვირჯინია ვულფი, ჯეიმზ ჯოისი. ჰემინგუეი სიამოვნებით მოშორდა ამერიკისა და ევროპის უთავბოლო ორომტრიალს და მართასთან ერთად ჩინეთში გაემგზავრა.

მართა, შეძლებული და სახელოვანი კაცის მეუღლე, თავის დამოუკიდებლობას აღვილად არ თმობდა და უნდოდა თვითონაც ეკეთებინა ფული ჟურნალისტური კონტრაქტებით. ჰემინგუეის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც უხილავ ძალას მიჰყავდა ჩინეთში („ეს არაა საქორწინო მოგზაურობა“, — თქვა მან); უბრალოდ, მას ხასიათში ეჯდა ახალი გარემოს მოთხოვნილება. ჩინეთში მან დალია „გველის სასმელი“ (ბოთლში გველის წიწილებზე დაყენებული ბრინჯის არაყი) და „გუგულის სასმელი“ (ბოთლში მოკლულ გუგულზე დაყენებული სასმელი). ჰონგ კონგზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ ბრიტანეთის კოლონიებში წესიერი და ნორმალური ცხოვრების დედაბო-

ბი არის ინგლისელი ქალი, რომელთა ჰონგ კონგიდან ევაკუირებით დაეცა ზნეობა. ჰემინგუეის უჩვენეს გომინდანის ჯარები. ინახულა იაპონელთა მიერ გაჩანაგებული კუნძინგი და იმის მოწმე გახდა, როგორ თავშეკავებული იყო ჩინელების გულისწყრომა, რაც უზარმაზარი კულტურული წარსულითა და მოსახლეობის მრავალრიცხოვნებით აიხსნება. ჩუნიკინში ჩან კაი-შისა და მის ცოლს შეხვდა, რომლებმაც ყოველივე იღონეს და კიდეც შეძლეს, მოეხიბლათ ჰემინგუეი. მაგრამ ჰემინგუეის არავითარი სურვილი არ ჰქონდა მხატვრულ ნაწარმოებში აესახა ეს ბრძოლები და გარდაქმნები. იგი ეგზოტიკის ტრფიალი იყო, მაგრამ — არა ამდენად.

როდესაც ომში შეერთებული შტატებიც ჩაებნენ, საბრძოლოდ განწყობილმა მართამ მოისურვა, რომ ჰემინგუეისაც შეეტანა ომში თავისი წვლილი. საამისოდ ჰემინგუეი ყოველთვის მზად იყო, მაგრამ გარკვეული პირობით. თუ არ ჩავთვლით დიდი ხნის უკან ხანმოკლე ყოფნას იტალიის ფრონტზე, მისთვის არასოდეს არაფერი უბრძანებიათ; სამხედრო საქმე ზედაპირულად იცოდა, მაგრამ ჯარში თავი სხვაგვარად ვერ წარმოედგინა, თუ არა მოხალისეების, არარეგულარული მებრძოლების წინამძღოლად. ამასთანავე სასმელის დიდი მარაგიც უნდა ჰქონოდა. ცხადია, შეეძლო ზღვაზეც ეომა. მან თავისი „პილარი“ ააყვანიდა აღრიცხვაზე, როგორც კუბის ნაპირებთან გერმანელი ფაშისტების წყალქვეშა გემებთან მებრძოლი კატარღა, რომელიც აღჭურვა სათანადო იარაღით. გამობრძმედელ და გაუპარსავ მეზღვაურთა ეკიპაჟს სიკვდილი არაფრად უღირდა („ყველანი სიკვდილის შვილები ვართ“), დიდ პატივს სცემდა თავის მეთაურს, რომელსაც „პაპა“-ს ეძახდნენ. „პაპა“ ბევრს სვამდა, ისევე როგორც „პილარის“ გაუპარსავი გუშაგები. „პილარის“ ეკიპაჟი სათევზაოდ აღვი-

Lowland forest!

his chin on his forehead

He lay ~~flat~~ ^{flat} on the brown, pine-needled floor of the forest, and the wind blew in the tops of the pine trees. The mountain side sloped gently where he lay ~~not~~ but below it was steep and he could see the dark, ~~winding~~ winding through the pass. There was a stream along the side of the road and far down the pass ~~I could see~~ ^{he saw} a mill beside the stream and the falling water of the dam white in the ~~early~~ ^{not} summer sunlight.

"Is ~~is~~ that the mill?" ~~he~~ ^{he} asked.

"Yes."

"I do not remember it."

"It was built since you were here. The old mill is further down; much

below the pass."

He spread the photostated military map out on the forest floor and looked at it carefully.

The red man looked over his shoulder.

He was a black peasant with a black peasant's smock and a black peasant's cap. He was looking at the map.

"Then you cannot see the bridge from here."

"No," ~~he~~ ^{the red man} said. "This is the easy country of the pass where the stream flows gently. Below, where the road turns out of sight in the trees, it drops suddenly and there is a steep gorge."

"I remember."

"Across this gorge is the bridge."

"And where are their posts?"

The man who was taking the map

"There is a post at the mill that you see there."

~~He took his glasses out of his shirt pocket and dug his fingers into the boards.~~

eye pieces around until the ~~view~~ of the mill showed ~~his~~ suddenly clearly and ~~I could see~~ ^{he saw} the wooden bench beside the door; the huge pile of sawdust that rose behind the open ~~part~~ ^{shed} where the circular saw was and

~~it~~ a stretch of the flume that brought the logs down from the mountain side on the other bank of the stream. The stream showed clear and ~~smooth~~ ^{smooth} looking in the glasses and ^{below the curl of the falling water,} the spray from the dam was blowing in the wind.

"There is no sentry."

"There is smoke coming from the mill house," ~~he~~ ^{the red man} said.

111

They had been waiting here for some time.

from the

of the black peasant

he saw

heres well a handle which

into the sort of pure wooden

ლად შოულობდა ბენზინს, რომელიც ნორ-
მირებული იყო. თევზაობას დიდი დრო მიჰ-
ქონდა, მართა ამაზე ენაწყლიანობდა, ჰემინ-
გუეი ვერ პოულობდა საპასუხოს. მართას გუ-
ლის გასახარად, „ეშმაკური ფაბრიკა“, რო-
გორც ამაყად უწოდებდა ჰემინგუეი თავის „პი-
ლარს“, ვაშინგტონის ხელისუფალთა მიერ
გაუქმებულ იქნა როგორც სამხედრო ერთ-
ეული. კარიბის ზღვის კონტრდაზვერვა გა-
მოძიებათა ფედერალურ ბიუროს გადაეცა,
რომლის ჰავანელ აგენტებს სასაცლოდ არ
ჰყოფნიდათ პაპა-ჰემინგუეის დილექტანტური
წამოწყება, ვინაიდან ზოგიერთი ამ აგენტ-
თაგან ირლანდიელი კათოლიკე და, მაშა-
სადამე, ფაშისტი იყო, ჰემინგუეიმ ისინი
„ფრანკოს რკინის კავალერიად“ მონათლა.

მართამ ომის მსვლელობის გასაშუქებ-
ლად ევროპაში წასვლა გადაწყვიტა. განიარა-
ღებული „პილარით“ ჰემინგუეი ობოლივით
მარტო რჩებოდა. მანაც გადაწყვიტა ომში
წასულიყო, მაგრამ ღმერთმა უწყის — რანაი-
რად! როგორც მოსალოდნელი იყო, ეს საქ-
მე ყოჩაღმა მართამ მოაგვარა. იმხანად
როაღდ დალი, ამჟამად ცნობილი ნოველის-
ტი, ვაშინგტონში ინგლისის სამხედრო ავი-
აციის ატაშეს თანაშემწე იყო. მან უთხრა
მართას, ბრიტანეთის ავიაციის ძალები
დიდ პატივად ჩათვლიან, თუ რომელიმე ამე-
რიკულ ჟურნალში მათ საქმიანობას ისეთი
სახელოვანი მწერალი გააშუქებს, როგორი-
ცაა ჰემინგუეიო. თუ ჰემინგუეი ხელშეკრუ-
ლებას დადებს რომელიმე ჟურნალთან, მას
ბრიტანეთში „ომის მონაწილე პირის“ სტა-
ტუსი ექნება და ლონდონში სამხედრო თვით-
მფრინავით ჩაიყვანენ. „კოლიერს“-ს რომელ-
შიც ომის ამბებს მართა აშუქებდა, ძალიან
უნდოდა დაედო კონტრაქტი ჰემინგუეისთან.
ეს უკანასკნელი დათანხმდა და ამგვარად
ისიც ჩაერთო ომში. სულ მალე მეორე ფრონ-
ტი უნდა გახსნილიყო.

„ვის უხმობს ზარი“ — ჰემინგუეის
ნაბეჭდი. ჰემინგუეი ერთადერთია,
ვინც დიდ ნაწარმოებს შექმნის
ესპანეთის სამოქალაქო ომზე-
წინაწარმეტყველა სირილ კონოლიმ
1937 წელს.




მართა და ჰემინგუეი ჩინეთში, 1941. ჰემინგუეი: „საოცარი და თან რთული ქვეყანა“. მართა: „თუ გიყვარვარ, წამოყვანე აქედან“.


ლონდონში ჰარკ ლეინზე სასტუმრო „დორჩესტერში“ დაბინავდა. ეს ნიშნავდა ძველ მეგობრებთან შეხვედრას, ახლების შექმნას და მათთან ერთად სტუმრად სიარულს. წვერმოშვებული და მედიდური ჰემინგუეი საკმაოდ კარგად მოერგო ლონდონს; ყველას მუშტი-კრივში იწვევდა ანდა სთხოვდა მთელი ძალით დაერთყათ მისთვის რკინასავით დაკუნთულ მუცელზე, ყვებოდა ხარების ბრძოლის წესებზე, ტრაბახობდა იმაზე, თუ რა გადახდა თავს მის სამხედრო კატარღაზე, და არ ავიწყდებოდა, რომ დიდი ამერიკელი მწერალი იყო. მაგრამ საკუთარი ვაჟკაცობით თავმომწონეობა ყოველთვის როდი იწვევდა აღტაცებას ისეთ დროს, როდესაც სიმამაცე თითქმის საყოველთაო მოვლენად იქცა. ბრიტანეთი გმირულად იბრძოდა და ხალხს არ ულხინდა. ჰემინგუეი ოცდაათი წლის წინათ ფეხში იყო დაჭრილი და ამის გამო სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლებული იყო, რაც იმ დროს დიდ პატი-

ვად არ ითვლებოდა. იგი კვლავინდებურად დიდი შემოსავლის მქონე სამხედრო კორესპონდენტი იყო. ამასთანავე მისი ნება იყო, ჩაიგდებდა თუ არა თავს საფრთხეში. შევადაროთ ჰემინგუეი მეორე მწერალს — ორუელს, რომელიც ესპანეთში იარადით ხელში იბრძოდა და არც მტრის ტყვიისაგან და არც პოლიტიკური ხრიკებისაგან არ იყო დაზღვეული. იგი მძიმედ დაიჭრა და ჯანმრთელობა შეერყა, მაგრამ არც ისე დიდი ანაზღაურების ფასად ლონდონში ბრწყინვალე ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა და თავისი ილუზიების ნანგრევებზე ახალი თავზარდამცემი მითის ასაგებად ემზადებოდა. ამ დროს ჰემინგუეი ერთობოდა, ტრაბახობდა და დაყიალობდა.

მკრეხელობას უმაღლეს მოჰყვა სასჯელი. თავაშვებული ქეიფიდან დაბრუნებისას, როცა საჰაერო თავდაცვის გამო ყველაფერი ჩაბნელებული იყო, ავარიაში მოჰყვა, თავი გაიტეხა და ტვინის მძიმე შერყევა მიიღო. მართას,

ფაშისტებთან საბრძოლველად და თან სათევზაოდ გამზადებული „პილარი“.





ჰემინგუეი, სამხედრო კორესპონდენტი, ლონდონში სასტუმრო „დორჩესტერში“ პარკ ლეინზე, საუზმობის დროს, 1944.

რომელიც ინგლისში ზღვით წამოვიდა და დინამიტით დატვირთული გემის ერთადერთი მგზავრი იყო, ქმარი ლონდონის საავადმყოფოში დახვდა. ჰემინგუეი მას მოუთმენლად ელოდა, რადგან მომვლელი სჭირდებოდა. მართა გულად მეომარსა და ბრძოლაში მისეხურად მწარედ დასცინოდა. ჰემინგუეის მესამე ქორწინებას ბზარი ჰქონდა გაჩენილი და ისახებოდა მეოთხე და უკანასკნელი ქორწინების პირველი კონტურები. სოჭოში რესტორან „უაიტ ტაუერში“ მართას ჩამოსვლამდე ჰემინგუეი გაეცნო მომხიბლავ მინესოტელ ქალს, „დეილი ექსპრესის“ ჟურნალისტისა და „დეილი მეილის“ თანამშრომლის ნოელ მონსკის ცოლს — მერი უოლშს, რომელიც მალე მისიზ ჰემინგუეი გახდა. დარწმუნდა თუ არა ლონდონის საავადმყოფოში, რომ მართას ძველებურად აღარ უყვარდა, საავადმყოფოდან გამოწერილი თავშეხვეული გმირი მერი უოლშის თავყვანისმცემელი გახდა, რასაც ძირითადად ლექსებით გამოხატავდა. პროზა ომისთვის ჰქონდა შემონახული.

ვერც ერთ ინგლისელ მებრძოლეს, ვისაც ხუთ-ნახევარი წელი მოუწია ჯარში ყოფნა, ვერაფრით ვერ აღაფრთოვანებს მთარული საგა ჰემინგუეის ხანმოკლე და ბრწყინვალე სამხედრო კარიერაზე. მებრძოლის ხვედრი არა მხოლოდ მუდმივი საფრთხეა, არამედ გაუთავებელი და ზოგჯერ სრულიად უაზრო ბრძანებები, საშინელი მოწყენილობა და დამსხვრეულ ოცნებათა განცდა. ჯარისკაცს არაფერი არ ეკითხება, ყველაფერი ენატრება — კარგი საჭმელი, კარგი თამბაქო, ქალის აღერსი და დროს ტარება. ჯარისკაცის თვალში რამდენიმე თვის მანძილზე ჰემინგუეის ტრიუმფალური მარში ევროპაში გამაღიზიანებელი უფროა, ვიდრე შთამბეჭდავი: იგი მდიდარი და ცნობილი ადამიანია, რომელიც, ყირასაც რომ გადავიდეს, აღტაცებას იწვევს.


ჰემინგუეის აუხდა ყველა ბავშვის ოცნება — ლეგიონერთა მეთაურობა. იგი ისეთ ომში იყო, უკეთესს რომ ვერ ინატრებ — არავითარი პასუხისმგებლობა და თვალის სერი. მაგრამ არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომ ომში ჰემინგუეი მებრძოლი უფრო იყო, ვიდრე უურნალისტი, რომ იგი თავს არ ზოგავდა და არ ერიდებოდა ხიფათს.

1944 წლის 6 ივნისს ბრიტანეთის სამხრეთის პორტებიდან ოთხი ათასმა სადესანტო გემმა ნორმანდიის ნაპირებისაკენ აიღო გეზი. ჰემინგუეიმაც დადგა ნაპირზე ფეხი, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, მართამ დაასწრო. ინგლისში სამხედრო თვითმფრინავით დაბრუნდა „ფაუ-1“ ბომბების დატვირთვის სანახავად, რომელთა გაშვება 12 ივნისს დაიწყო. 18 ივნისს ამერიკელებმა ალყაში მოაქციეს შერბურგის ნახევარკუნძული. 18 ივლისს ჰემინგუეი პატონის ერთ-ერთ ჯავსნოსან დივიზიას შეუერთდა, მაგრამ იქ აღარ მოეწონა და გენერალ ბარტონის მეოთხე დივიზიაში გადავიდა. ცოტა ხნის შემდეგ უფრო აქტიურად, ვიდრე ეს სამხედრო უურნალისტს მოეთხოვება, ჩაება ომში. ვილდე ლე პოლესთან დაარღვია ჟენევის კონვენცია და სამი ხელყუმბარა ისროლა სარდაფში, სადაც ესესელები იმალებოდნენ. „კოლიერს“-ისათვის მისი რეპორტაჟები მოკლებული იყო ფაქტობრივ სინუსტეს, მაგრამ დიდი ინტერესით იკითხებოდა.

ბევრი დითირამბი ითქვა პარიზის გათავისუფლებაში ჰემინგუეის მონაწილეობაზე. ყოველთვის ძნელია იმ ზღვარის პოვნა თუ სად თავდება სიმართლე და სად იწყება პოეზია. მაგრამ უდაოა, რომ 2 აგვისტოს, ხუთი დღით ადრე დედაქალაქის გათავისუფლებაზე, იგი რამბუიეში იმყოფებოდა, როგორც არაოფიციალური მეკავშირე, ფრანგ პარტიზან მზვერავთა და შარტრეში განლა-



მერი უოლში, ჰემინგუეის მეოთხე, უკანასკნელი ცოლი.



"An old Frenchman in a black hat, a boiled shirt and a dusty black suit, with a bunch of flowers in his hand, saluted each tank formally."

There were weary tank men and German machine guns and a guy who once sang with a good band—and there was a man who knew that "there should never be tired generals"

BY CABLE FROM FRANCE



THE G.I. AND THE GENERAL

by Ernest Hemingway

THE wheat was ripe but there was no one there to cut it now, and tank tracks led through it to where the tanks lay pushed into the hedge that topped the ridge that looked across the wooded country to the hill we would have to take tomorrow. There was no one between us and the Germans in that wooded country and on the hill. We knew they had some infantry there and between fifteen and forty tanks. But the division had advanced so fast that the division on its left had not come up, and all this country that you looked across, seeing the friendly hills, the valleys, the farmhouses with their fields and orchards, and the gray-walled, slate-roofed buildings of the town with its sharp-pointing church tower, was all one open flank. All of it was deadly.

The division had not advanced beyond its objective. It had reached its objective, the high ground we were now on, exactly when it should have. It had been doing this for day after day after day after week after month now. No one remembered separate days any more, and history, being made each day, was never noticed but only merged into a great blur of tiredness and dust, of the smell of dead cattle, the smell of earth new-

broken by TNT, the grinding sound of tanks and bulldozers, the sound of automatic-rifle and machine-gun fire, the interceptive, drizzling, rattle of German machine-pistol fire, dry as a rattler rattling, and the quick, spitting rap of the German light machine guns—and always waiting for others to come up.

It was merged in the memory of the fight up out of the deadly, low, hedgerow country onto the heights and through the forest and on down into the plain, by and through the towns, some smashed, and some intact, and on up into the rolling farm and forest country where we were now.

History now was old K-ration boxes, empty foxholes, the drying leaves on the branches that were cut for camouflage. It was burned German vehicles, burned Sherman tanks, many burned German Panthers and some burned Tigers, German dead along the roads, in the hedges and in the orchards, German equipment scattered everywhere, German horses roaming the fields, and our own wounded and our dead passing back strapped two abreast on top of the evacuation jeeps. But mostly history was getting where we were to get on time and waiting there for others to come up.

Now on this clear summer afternoon stood looking across the country where division would fight tomorrow. It was of the first days of the really good weather. The sky was high and blue, and ahead to our left, our planes were working on the P-47s came in high in pairs of pairs circled before peeling off to dive-bomb they went down, growing big-headed husky-looking in the small of the dive saw the flash and the smoke of the P and heard their heavy thud. Then they climbed and circled again to come strating, smoke streaming gray behind as they dived ahead of the smoke their big 20s made as they hammered. There a very bright flash in the trees of the wood patch the planes were diving on, and black smoke arose and the planes came strating again and again.

"They got a Jerry tank then," one of the tank men said. "That's one of the best."

"Can you see him with your glasses?" other helmeted tank man asked me.

"I said, 'The trees hid him from this.' They would," the tank man said.

(Continued on page 46)

გებულ მეხუთე ქვეით დივიზიას შორის. იგი შესანიშნავად იყო მოწყობილი „ოტელ დუ გრან ვენორ“-ის ოთახში არ აკლდა საჭმელ-სასმელი, მონაწილეობდა გერმანელი ტყვეების დაკითხვაში და ადგენდა მოხალისეთა საკუთარ რაზმს. 23 აგვისტოს რამბუიეში გენერალი ლეკლერკი ჩამოვიდა და იმ პირთა შორის, რომლებიც საიდუმლო სადაზვერვო მონაცემების მისაღებად მიიწვიეს, ჰემინგუეიც იყო. გენერალი, როგორც ჩანს, უხეში კაცი იყო და მან მოხალისეებს უთხრა, პარიზის გათავისუფლებაში ნუ ჩაერევით, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი საქმეა. „უხეში გენერალი ნერვიული გენერალია“, — წერდა ჰემინგუეი, რომელმაც ამ მამაც გენერალს „ლაწირაკი ლეკლერკი“ შეარქვა.

ჰემინგუეის რეპორტაჟი პარიზის გათავისუფლებაზე.

ჰემინგუემ მონაწილეობა მიიღო მოგზაურთა კლუბისა და „რიტის“ გათავისუფლებაში.



უდაოა, რომ 25 აგვისტოს, ნაშუადღევს, ჰემინგუეი ბულონის ტყეში იყო, გერმანელე-ბის ტყვიამფრქვევებისა და ყუმბარების ცეცხ-ლის ხაზთან. კარაბინით ხელში იგი მზად იყო მონაწილეობა მიეღო ელისეს ველზე მოგ-ზაურთა კლუბისა და ვანდომის მოედანზე „რიტცის“ ადებაში. მან საბრძოლო დავა-ლება შეასრულა, „რიტცში“ ერთ ოთახში დაბინავდა და შამპანურითა და კონიაკით გაბრუებული თაყვანისმცემლებს დებულობ-და. ამათგან პირველთაგანი მერი უოლში იყო. მათი ამბავი უკვე ყველამ იცოდა. ჰე-მინგუეის აქაც გამარჯვება ხვდა წილად. ან-დრე მალრო — მას პოლკოვნიკის ჩინი ჰქონ-და — კავალერისტის მბზინავი ჩექმებით ეწ-ვია. ჰემინგუეი და მალრო ესპანეთის ამბების დროიდან იცნობდნენ ერთმანეთს. ჰემინგუ-ეის ვერაფრით ვერ ეპატიებინა მისთვის, რომ 1937 წელს სამოქალაქო ომის დროს მალ-რომ მიატოვა რესპუბლიკელები ისეთ საო-ცარ შედეგზე მუშაობისათვის, როგორცაა „იმედი“. ახლა მალრო ტრაზახობდა — ორი ათასი კაცის მეთაური ვარ, ხოლო ჩემი მე-გობარი ერნესტი ერთი მუჭა ჩამოძენილი რაზმის უფროსიაო. როგორც ამბობენ, არც ჰემინგუეი დარჩენილა ვალში და უთქვამს: „რა ცუდია, რომ ვერაფრით ვერ დაგვეხმა-რეთ, როცა პარიზს ვათავისუფლებდით“. ერთ-ერთ პარტიზანს ჰემინგუეისათვის ჩაუ-ჩურჩულებია: Papa, on fusiller ce con? ჰე-მინგუეიზე უმცროსი თაობის მწერალთაგან იმ დროს პარიზში იყო სერჟანტი ჯ. დ. სე-ლინჯერი, რომელსაც კეთილი გოლიათი მისი მოთხრობების გადახედვას შეჰირდა. ოთახი № 31 სასტუმრო „რიტც“-ში უპირვე-ლესად მის მომავალ ცოლთან — მერისთან ნეტარი და დაუვიწყარი შეხვედრების ადგი-ლი იყო.

მაგრამ ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრე-ბული. მალე ჰემინგუეი მეოთხე დივიზიას შე-




ანდრე მალრო, აპრილი, 1945.
პარიზის განთავისუფლების მონა-
წილეებს მალროსა და ჰემინგუეის
ერთმანეთისადმი დიდი ინტერესი
არ გამოუჩენიათ.

ჰემინგუეი, ანუ, როგორც თვითონ
დაირქვა „გულადი ჰემინგსტაინი“
ნორმანდიაში, 1944. ▶

მებრძოლები ნორმანდიაში გად-
მოსხდომის წინ გარს ეხვევიან
თავიანთ საყვარელ მწერალს.








უერთდა და თავის თანამებრძოლებთან ერთად ბელგიაში აღმოჩნდა, სადაც ე. წ. ზიგ-ფრიდის ხაზის გაუთავებელი დაბომბვის მოწმე და ერთგვარი. ხელისშემწყობი იყო. მოულოდნელად იგი საფრანგეთში ქალაქ ნანსიში ამერიკის საექსპედიციო ძალების უმაღლეს შტაბში გამოიძახეს, სადაც პოლკოვნიკმა პარკმა მოახსენა: თქვენი კოლეგა ჟურნალისტებისაგან თქვენზე შემოსულია მძიმე ბრალდება, რომ აქტიურად იბრძოდით წინააღმდეგობის რიგებში, გქონდათ შტაბ-ბინა, გყოლიათ ადიუტანტი და გქონიათ სამხედრო რუკები, და, რაც მთავარია, (ეს ყველაზე მწარე და უღმობელი ბრალდება იყო) თქვენი ნაწარმოებების გმირივით იქცეოდით, რითაც ხელს უშლიდით რეგულარული ჯარების მოქმედებასო. ჰემინგუეიმ უარჰყო ბრალდება და დაიფიცა, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ბრძოლებში. უარესზეც მზად იყო, თუმცა წლების შემდეგაც განიცდიდა, რომ ტყუილზე დაიფიცა. ბრალდება რომ დამტკიცებულიყო, სამხედრო ჟურნალისტის რწმუნებას ჩამოართმევდნენ და დაუყოვნებლივ დააბრუნებდნენ სამშობლოში. ამით თითქოს ბევრი არაფერი დაშავდებოდა, მაგრამ გერმანიაში შესვლის უფლებას დაკარგავდა. ჰემინგუეი გამართლეს ნირწამხდარი „რიტც“-ში დაბრუნდა. მართა, როგორც ყოველთვის, ჰემინგუეიზე ახლოს იყო ფრონტის ხაზთან და თავისი ლამაზი თმებით ნიმეგუნთან განლაგებულ 82-ე საჰაერო დესანტის შტაბს ამშვენებდა. ახლა იგი აღარავიზე აღარ იყო დამოკიდებული. ჰემინგუეისთან პარიზში მერი იმყოფებოდა — „პაპას ჯიბის რუბენსი“. ერთხანს მარლენ დიტრიხიც „რიტც“-ში ცხოვრობდა. აქედან ეფინებოდა ფრონტის ხაზებს მისი ცნობილი ჩურჩულისებური სიმღერები. მალე ჰემინგუეიმ შეიტყო, რომ მეოთხე საარტილერიო დივიზია დიდი შეტე-



ჰემინგუეი და მისი კატა — ქრისტე-
ფორე კოლუმბი. იმდენი კატა ჰყავ-
და, რომ მათთვის ფინკა ვიხიაში
ცალკე სახლი იდგა.

ჰემინგუეი თავის ეზოში..





ვისათვის ემზადებოდა. მასაც მოუნდა იქ ყოფნა.

რაინის მხარის ტყეში — პიურტენგე-ვალდში ჩავიდა, საიდანაც ამერიკელებს სანგრებში მტკიცედ გამაგრებული გერმანელები უნდა განედევნათ და, როგორც მაშინ ეგონათ, ამ ომში უკანასკნელი შეტევა უნდა დაეწყოთ. ერთხმად აღნიშნავენ, რომ ჰემინგუეის თავი კარგად ეჭირა: ეს იყო მამაცი, ოხუნჯი კაცი, რომელიც ყოველთვის მოვლენების შუაგულში იმყოფებოდა და ჯარისკაცებთან — მამა იყო, ხოლო ოფიცრებთან — უფროსი ძმა. აქ სამი კვირა დაყო. ამასობაში იმ პოლკში, რომელზეც ის იყო მიმავრებული, სამიათასამდე კაცი დაიდუბა, მაგრამ გერმანელთა უკანდახევის მოწმეც გახდა. დაღლილი და ავადმყოფი კვლავ „რიტც“-ში დაბრუნდა, სადაც ჟან-პოლ სარტრი და სიმონ დე ბოვუარი მიიღო, მისთვის უჩვეუ-

ჰემინგუეი, მერი, როჯი და გარი კუპერი სან ველიში, 1946. რაღაცით შეწუხებული არიან.

ლო სულგრძელობა გამოიჩინა და განაცხადა — ფოლკნერი ჩემზე გაცილებით უკეთესი მწერალიაო. ლოგინად იყო, ზოგჯერ სისხლიანი ნახველიც ჰქონდა, მაგრამ არ დაუცადა გამომჯობინებას და წამოდგა, როდესაც გაიგო, რომ არდენებში დიდი საბრძოლო ოპერაცია — ბულჟის 1944 წლის 16 დეკემბრის ბრძოლა მზადდებოდა, რომელიც, როგორც მან სწორად იწინასწარმეტყველა, დასაელეთის ფრონტზე უკანასკნელი დიდი სამხედრო ოპერაცია იქნებოდა. ისევ მეოთხე დივიზიას გაჰყვა ამერიკელთა მარცხენა ფლანგზე, რათა გენერალ ფონ რუნდშტეტის სრული განადგურება ენახა. ჰემინგუეიმ ყველაფერი იღონა, რომ შობას ლუქსემბურგში ყოფილიყო, ვინაიდან მეგობარმა პოლკოვნიკმა, რომ ესიამოვნებინა მისთვის, სიურპრიზი მოუწყო — რუნდშტეტში სამხედრო წვეულებაზე მართა დაუპატიჟა.

მართამ ჯერ კიდევ ნოემბერში უთხრა, უნდა დავცილდეთო. ახლა ყველასათვის აშკარა იყო, რომ რაც უფრო ადრე გაიყრებოდა ეს ერთმანეთის შეუფერებელი წყვილი, მით უკეთესი იქნებოდა. მართა ეჩხუბებოდა და მასხრად იგდებდა თავის ქმარს; ჰემინგუეი მას მედიდურად ექცეოდა, თავი ისე ეჭირა, როგორც გამობრძმედილ მებრძოლს ახალბედასთან, თუმცა მართას მასზე ნაკლებად არ ჰქონდა ნანახი ომის ქარცეცხლი. ერთხელ მათ ერთად დაინახეს „ფაუ-2“-ის გადაფრენა. მართამ, რომელიც ჩინებული ჟურნალისტი იყო, დრო და ადგილი ჩაინიშნა და თქვა: „დაიმახსოვრე, ერნესტ, ფაუ-2-ზე მე ვწერ“. ჯერ ლუქსემბურგში და შემდეგ პარიზში „რიტც“-ში დაბრუნებისას ჰემინგუეი დაბოლმილი დადიოდა, ჩხუბობდა და ილანძვებოდა. მართაზე გაბრაზებულმა ამოიჩემა მერის ქმარი, რომელიც ცოლს განქორწინებაში სიძნელეებს უქმნიდა. ჰემინგუეიმ მერის ქმრის სურათი (მერის

ჩარჩენოდა თავის ბარგში) უნიტაზის ავზზე დადო და რევოლვერით ტყვია დაახალა. ჯერ გიჟური სიცილი აუვარდა, შემდეგ, დატბორილ სააბაზანოში ბიდეზე შემდგარი, თავის უზადო ფრანგულით ათას სისულელეს ეუბნებოდა ადმინისტრატორს. მერიისათვის ნათელი გახდა, ვისაც გადაეყარა, მაგრამ სიყვარულმა სძლია. ამ ომში ეს იყო ჰემინგუეის უკანასკნელი (ზოგის აზრით — ერთადერთი) გასროლა. დასასრულს მიახლოებულ ომს ჰემინგუეი აღარ ესაჭიროებოდა. შინ დაბრუნების დრო დადგა.

ფინკა ვიხია ანუ სათვალთვალო ფერმა ერთგვარი სავანე იყო კუბის გაღარიბებულ და დაკნინებულ დაბასთან. 30 აკრი ეჭირა მდელოებს, ბაღჩას, საძოვარს, ხეხილს, უზარმაზარ თუთას, რომლის ფესვები სახლის იატაკს საფრთხეს უქმნიდა. კარკასულ თეთრ სახლში სტუმრებს იღებდნენ, ხოლო ოთხკუთხა კოშკი, რომელიც თავიდან 30 კატის საცხოვრებელი იყო, სამუშაოდ და დასასვენებლად იყო გათვალისწინებული. კარ-მიდამოს ემსახურებოდა სამი მეზღვე, მოსამსახურე ბიჭი, მძღოლი, ჩინელი მზარეული, დურგალი, ორი დამლაგებელი და მოჩხუბარი მამლების მომვლელი. ჰემინგუეის რამდენიმე ძაღლი ჰყავდა, მათ შორის — ბლექდოგი, რომელიც, როცა პატრონი წერდა, მის ფეხებთან იწვა. 1940-იანი წლების დამლევს კუბის რევოლუცია ჯერ კიდევ მზადების პროცესში იყო. ჰემინგუეი აქ თავს ბედნიერად გრძნობდა ცოლთან ერთად, რომელსაც რატომღაც „მისს მერის“ ეძახდა. ჰემინგუეი წერდა:

„ჩემნაირ ადამიანებს, ბუნებრივია, სურთ ახსნან, რატომ აირჩიეს საცხოვრებლად ესა თუ ის ადგილი. ჩვეულებრივ ამის ახსნა ადვილი არაა. არც უნდა ეცადო. კარგია მუ-

შაობა დილას, როდესაც საამო, გრილი სიო უბერავს და მხოლოდ ბლექ ღოგსა და მოჩხუბარ მამლებს ღვიძავთ, რომლებიც პირველ ცნობის ფურცლებს გამოსცემენ. მამლების გაწერთნა და მათი ძიძგილაობა, ერთ-ერთ მათგანზე სანაძლეოს ჩამოსვლა ზოგს სისასტიკედ მიაჩნია, მაგრამ დასწყევლოს ღმერთმა, სხვა რიდას მაქნისია მოჩხუბარი მამლები?!.. თუ ქალაქში გინდა წასვლა, საკმარისია ჩუსტებში გაჰყო ფეხი. კარგია ქალაქში გავლა, როცა გინდა, ფიქრებს გამოეთიშო. უყურებ კუბელ გოგონებს და მათ თვალებში მცხუნვარე მზის შუქი ელავს... ფინკადან ნახევარი საათის სავალზე ჯდები ნავში და თხუთმეტიოდე წუთში გოლფსტრიმის ლურჯ წყალზე ხარ.“

თავს ბედნიერად გრძნობდა, მაგრამ მისი თაყვანისმცემლების აზრით, მას უკვე ამოწურული ჰქონდა საკუთარი თავი. „ვის უხმობს ზარი“-ის შემდეგ საგულისხმო არაფერი შეუქმნია. დაიწყო რომანი, ბევრიც დაწერა, მაგრამ უცებ მიხვდა, რომ არ ვარგოდა და თავი მიაწება. იმ დიდ ომში დაგროვილი შთაბეჭდილებები და ჩანაწერები უბის წიგნაკებში ვერ მოაწესრიგა და მხატვრულ ნაწარმოებად ვერ აქცია. 50 წლისა ხდებოდა, მაგრამ ღუმელს არ აპირებდა. ამიტომაც გამოეთხოვა მოჩხუბარი მამლებისა და დაიკერის სამყაროს კუბის ზღვისპირზე და შთაგონებისათვის ევროპას – ყველა ხელოვნების დედას მიაშურა. მისი ახალი გატაცება ვენეცია იყო, თუმცა მიაჩნდა, რომ გარკვეული უფლებები ჰქონდა ამ ქალაქზე, რადგან ჩრდილო იტალიაში ოდესღაც თავისი სისხლი დაღვარა. მერიხთან ერთად ვენეციური ზამთარი სასიამოვნო გამოდგა. ჯერ კუნძულ ტორჩელოზე, შემდეგ – კორტინაზე ცხოვრობდა. იხვებსა და კაკებებზე ნადირობდა, შიგადაშიგ წერდა. ახალგაზრდული გზნების დასაბრუნებლად (თუმცა ეს ჯერ გაცნობი-

ერებული არ ჰქონდა) მისთვის აუცილებელი იყო, რომ მის სიახლოვეს ყოფილიყო ვინმე ახალგაზრდა ქალი, ერთგვარი შვილობილი. ასეთი აღმოჩნდა 19 წლის ადრიანა ივანჩიჩი — ხავერდოვანი ხმის მქონე, ღვთისმოსავი კათოლიკე, უაღრესად ქალური, რაც ამერიკაში სულ უფრო დიდი იშვიათობა ხდებდა. მამაშვილური ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ჰემინგუეიმ იგი ერთ-ერთ მთავარ გმირად გამოიყვანა თავის რომანში, რომელშიც ფართო ასპარეზი ეთმობა ვნებათაღელვას. ეს რომანია „მდინარის გაღმა ხეების ჩრდილში“.

გენერალ სტოუნუელ ჯეკსონს სიკვდილის წინ უთქვამს — მდინარის გაღმა გავალ და ხეების ჩრდილში დავისვენებო. ვისაც ეს ამბავი გაუგია, ადვილად მიხვდება, რაზე უნდა იყოს რომანი: ძველმა მებრძოლმა იცის, რომ მალე მოკვდება. ჰემინგუეის მებრძოლი — პოლკოვნიკი რიჩარდ კანტუელი მაინცდამაინც ხნიერი არაა — დაახლოებით ავტორის ხნისაა — და თანაც გულის შეტევით კვდება და არა ბრძოლის ველზე. მეტიც, იგი ვენეციაში კვდება, სადაც ცხოვრება ჩქეფს, ხელოვნების იშვიათი ნიმუშებით არის გარშემორტყმული და ჰყავს უღამაზესი ახალგაზრდა შეყვარებული — გრაფის ასული რენატა, რომელიც ჩვეულებრივი ახალგაზრდა ქალი როდია, იგი თვით ვენეციის მფარველი ქალღმერთია. ჰემინგუეიმ არც ამჯერად უღალატა თავის ძველ ჩვევას და სიკვდილი ცხოვრების შუაგზაზე დაგვანახა (სიკვდილი ნაშუადღევს თავს იჩენს ღვინისა და სიყვარულის ქალაქის შუაგულში). მაგრამ აქ შერიგებაა სიკვდილთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი ცხოვრების ერთ-ერთ ციკლად არის დანახული. ჰემინგუეიმ სცადა რომანის თემა მაღალი ხელოვნების სიმალლეზე აეზიდა, მაგრამ ვერ შეძლო და ნაწარმოები სენტიმენტალური გამოუვიდა.

სათანადო მხატვრული ხორცშესხმის შემთხვევაში ეს თემა შექსპირისებურ, სოფოკლესებურ, ჯოისისებურ უღერადობას შეიძენდა: დაღლილი მამა-შეყვარებული და შუქმფინარი ასული-სატრფო. ნაწარმოები ხნიერ ქალში შეყვარებულ ვაჟზე ან კომედიური უნდა იყოს ან ამაზრზენი, მაგრამ ნაწარმოებმა ახალგაზრდა ქალის მოტრფიალე ხნიერ მამაკაცზე, ბანალური რომანის მსგავსად, შეიძლება გულწრფელი ცრემლი მოგვგაროს ანდა დიადი სატრფიალო რომანის ან თუნდაც ტრაგედიის დონემდე ამაღლდეს. „ტაიმსის“ ლიტერატურული დამატების რეცენზენტმა და ჯონ ო'ჰარამ „ნიუ იორკ ტაიმი“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ეს რომანი ლამის შექსპირის ქმნილებებს შეადარეს, მაგრამ კრიტიკოსთა უმრავლესობის აზრით, რომანის სტილი არ შეესაბამება თემას და ნაწარმოები უგემოვნების ნიმუშია.

მართლაც, წიგნი მოკლებულია ზომიერების გრძნობას. მხატვრული სახეები „არ მუშაობენ“. შეყვარებულები სვამენ თეთრ ღვინოს, რომელიც „რენატას ტანივით თავბრუდამხვევია“. მდარე შედარებაა. სამხედრო ხელოვნებიდან ნასესხები მხატვრული სახეები ეროტიკულ სცენებში, რომლებიც ელევანტური იქნებოდა მეთვრამეტე საუკუნის პორნოგრაფიულ პროზაში, აქ მხოლოდ უხერხულობის გრძნობას ბადებს (გთხოვ, წელან რომ შემომიტიე, ახლაც ისე მომაწეკი“.) პერსონაჟებს არა აქვთ უბრალოდ მოქცევის ან ისეთი ჩვეულებრივი რამის გაკეთების უფლება, როგორცაა, მაგალითად, მანქანის კარის დაკეტვა ან ხორცის დაღეჭვა: ყოველივე ამას ისინი „კარგად“, „ლამაზად“ ან „ერთად“ აკეთებენ. სრულიად უადგილოა მწარე რეპლიკები სხვადასხვა ადამიანების, მაგალითად, სინკლერ ლუისის მიმართ (მას ჰემინგუეისათვის არაფერი დაუშავებია, და რა მისი ბრალი იყო თუ ნაყვა-

ვილარი სახე ჰქონდა) და მართა გელჰორ-
ნისადმი (ოდნავ სახეშეცვლილად იგი კანტუ-
ელის მესამე ცოლადაა გამოყვანილი). ასე-
თი რამეები მკითხველს, მისდა უნებურად,
ხელს უშლის სიმართლით განწყვოს ჰემინ-
გუეის პიროვნებისადმი.

ამასთანავე მე არ მაგონდება ვენეციის
ასეთი დიდებული ქებათა ქება რომელიმე
სხვა თანამედროვე რომანში (აქ შეიძლება
გამონაკლისი იყოს ვოს „კვლავ ბრაიდჰჰედ-
ში“ და ოლდინგტონის „შვიდნი მაგისტრის
წინააღმდეგ“). როგორც წესი, ჰემინგუეი
ბრწყინვალედ აღწერს ტაძრებსა და არხებს,
ტორჩელოს და მურანოს ხედს, სუსხიან დი-
ლას, ბახრებს, იქაურ კერძებს. როგორც
კი თავს ანებებს მსჯელობას და საგანთა
სამყაროს, ფორმების, სუნისა და სხვათა
აღწერას იწყებს, საოცარი სიზუსტით შერ-
ჩეული სიტყვები მძლავრ ცხოველყოფე-
ლობას იძენენ. როგორც კი ჩართავს რაიმე
აზრს, რაც გაცვეთილი ფილოსოფიური მსჯე-
ლობის სახით ვლინდება, და კიდევ უარე-
სი, როცა ჰემინგუეი თავის თავს მრავალ-
ჭირნახულ პიროვნებად წარმოგვიდგენს,
თხრობა მოსაწყენი ხდება. სახეები უფერულ-
დება, და მკითხველი ან სარცხვილით იწყის
ან თავს ძლივს იკავებს დაცინებისაგან.

ახლა, როცა ხელში ვიდებთ რომანის პირ-
ველ გამოცემას, ძალაუნებურად გვაღელვებს
გარეყდის მხატვრობა, რომელიც რენატას
პროტოტიპს — ადრიანა ივანჩიჩს ეკუთვნის.
ნამდვილი ცხოვრებისეული სიტუაცია აქ
უფრო დამაჯერებლად არის გადმოცემული,
ვიდრე ჰემინგუეის რომანში. მერი კარგი და
გამგები ცოლი იყო და ესმოდა რა ხდებო-
და ერნესტის გულში და გულთბილად ექ-
ცეოდა. ეს იყო ჰემინგუეის უკანასკნელი
გაბრძოლება ახალგაზრდობის დასაბრუნებ-
ლად; შუა ხნის კაცმა მოინდომა ხელახლა
დაბადება (renatus — ლათინურად, მდებრო-

ბით სქესში — renata), მაგრამ მიხვდა, — გვიანაა.

ჯოისის „ფინეგანის ალაჰს“ ღრმა ადამიანურ კლერადობას სძენს (ამას ხშირად ვერ ამჩნევენ მისი მკითხველები, რომლებსაც იგი ენობრივი ექსპერიმენტი ჰგონიათ) აგრეთვე 50 წლის მამაკაცის — ეარუიკერის აკვიატებული და აუსრულებელი სურვილი, ჰყავდეს მარად ნორჩი და ქალწული ასული. მის ზმანებაში ინცესტის (სისხლისადრევის) ადგილს ინსექტი (მწერი) იჭერს, ეარუიკერის ტრაგედია კომედიაში გადადის; ადამიანთა ტრაგიკულ ისტორიაში — სისხლისადრევათა მატრიანეში განფენილია ის ცოდვა, რომელსაც ეარუიკერი არასოდეს დაიდებს. ჯოისისაგან განსხვავებით, ჰემინგუემ ვერ შეძლო იუმორის შუქზეც დაენახა თავისი განცდები. ხანში შესვლისას ჰემინგუეი სულიერად მოტყდა.

1950 წელი უიღბლო გამოდგა. კრიტიკოსებმა რომანზე „მდინარის გაღმა ხეების ჩრდილში“ თავი გაიქნიეს და თქვეს: ჰემინგუეის აღარაფერი აქვს სათქმელი. მაგრამ ამის საპასუხოდ ჰემინგუეი, გარდა იმისა, რომ ჩვეულებისამებრ ბუზღუნებდა და ყველას ღრანჭის მოქცევით ემუქრებოდა, გულმოდგინედ შეუდგა იმის მტკიცებას, რომ იგი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსაწერი. ვრცელი „სახლვით რომანის“ წერა დაიწყო (როგორც ვიცით, ეს წიგნი — „კუნძულები ოკეანეში“ — ჰემინგუეის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა და კრიტიკოსების დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია) და უხაროდა, რომ ადვილად ეწერებოდა, რასაც ადრიაანას უმაღლოდა. ამას შენ უნდა გიმაღლოდე, — ეუბნებოდა ადრიაანას. ამ დროს ჰემინგუეი უკვე ფინკა ვიხიაშია, სადაც ადრიაანა დედამისთან ერთად ესტუმრა. ნაშვილები ასული და თავისი ოცნების ასული ჰემინგუეისათვის შთამაგონებელი მუხა გახდა. სახლვით რომანი ოთხ დიდ წიგნად იყო ჩაფიქრებული, რომელთაგან სამისათვის წინასწარ მოი-

ვენეციის მიდამოებში ჰემინგუეი რაღაცას, ალბათ იხვს უმიზნებს.





ჰემინგუეი და მერი ვენეციაში, 1949. ვენეცია, თქვა ჰემინგუემ, აბსოლუტურად საოცარი ადგილია.



მერისთან ერთად კორტინა დ აპპეცოში.

ადრიანა ივანჩიჩი — რენატას („მდინარის გაღმა ხეების ჩრდილში“) პროტოტიპი.



გონა სათაური: „ზღვა ახალგაზრდობისას“, „შორეული ზღვა“, „ზღვა ამჟამად“. 1951 წლის შემოდგომაზე დიდძალი ნაწერი დაუგროვდა და შემოკლების შემდეგაც დიდტანიანი რომანი მიიღო.

მაგრამ ჰემინგუეიმ არ მოისურვა ჯერჯერობით მისი გამოქვეყნება. რა არ მოიმიზეზა — ჰონორარიდან დიდი საშემოსავლო გადასახადი მიაქვთ, ზოგიერთი ადგილი უადრესად პირადულიაო, მოგვიანებით კიდევ უნდა ჩაეასწოროს. რაც მთავარია, ალბათ თვითონ გრძნობდა, რომ რომანი მოსაწყენი და სტილისტურად საკმაოდ უფერული გამოიყვინდა. მაგრამ გადაწყვიტა, ბარემ ახლავე გამოქვეყნებინა რომანის ერთი მონაკვეთი, ანუ ის ნოველა, რომელსაც „მოხუცი და ზღვა“ ჰქვია. ამ წიგნმა მას პულიცერის პრემია მოუტანა, ხოლო საერთაშორისო რეპუტაცია იმ ზომამდე აღუდგინა, რომ „მოხუცი და ზღვა“ უდიდესი პრემიის ღირსად ჩათვალეს. უზარმაზარი ტირაჟები ელვის სისწრაფით იყიდებოდა და ნოველას ცრემლმორეულები კითხულობდნენ. ეს წიგნი უდაოდ შედეგურია. შემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთი საიდუმლოება თავისებურად მუღავნდება იმ გარემოებაში, რომ ჰემინგუეიმ ასეთი მაღალი ღონის ნაწარმოები მაშინ შექმნა, როცა საკმაოდ ინდიფერენტულად წერდა. ეს პატარა წიგნი 1952 წელს დაიბეჭდა (გარეყდა კვლავ ადრიანამ დაასურათა), ხოლო მანამდე მთლიანად გამოქვეყნდა „ლაიფ“-ის ერთ ნომერში, რომელიც ოცდაოთხ საათში ოთხ მილიონ ცალად გაიყიდა. მას მრავალი ქებათა ქება მიეძღვნა, მისი ავტორი ყოველდღიურად ადფრთოვანებულ წერილებს ღებულობდა, ჰემინგუეის ხალხი ქუჩაში აჩერებდა და აცრემლებული ეხვეოდა. იტალიელ მთარგმნელს ნოველის თარგმნა გაუჭირდა — გრძნობებს ვერ იკა-



ეკლდა. ვინაიდან ნოველის მთავარი გმირი დარიბი კუბელი მეთევზეა, ბატისტას მთავრობამ (რომელიც ჰემინგუეის საშინლად ეჯავრებოდა) იგი საპატიო შედლით დააჯილდოვა „მეთევზეების სახელით პუერტო ესკონდილოდან ბაჰია ჰონდამდე“. უმაღლესთავაზეს ფილმად გადაღება. ჰემინგუეი მწარე გამოცდილებით გრძნობდა, რომ კინემატოგრაფიული წუნი ამჯერადაც გარდაუვალი იყო, თუმცა მთავარ როლზე დანიშნული კინოვარსკვლავი სპენსერ ტრეისი, როგორც პიროვნება, ძალიან მოეწონა. მოგვიანებით ჰემინგუეიმ თქვა: ამ ფილმში ტრეისი ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობია, რომელიც თავს კუბელ მეთევზედ ასაღებს.

ძნელი მისახვედრი არაა, რატომ მიიპყრო და დღესაც რატომ იპყრობს ეს ნოვე-

„მდინარის გაღმა ხეების ჩრდილში“ — პირველი ამერიკული გამოცემის გარეუდა, 1950.

„მოხუცი და ზღვა“ — პირველი ამერიკული გამოცემის გარეუდა, 1952.



ჰემინგუეი და მერი ისე ღვანან, რომ გამოჩნდეს კილიმანჯაროს მთა, რომლის დასავლეთის ქედს, „კილიმანჯაროს თოვლიანი მთის“ თანახმად, მასაის ენაზე „ნგაიენგაიე“ — უფლის სახლი ეწოდება.

ჰემინგუეი, პარსივალი, რომლის გამბედაობას სათანადოდ მიეზღა „აფრიკის მწვანე ბორცვებში“, და უცნობი პირი.

თვითმფრინავი, რომლის კატასტროფაში მოჰყვა ჰემინგუეი აფრიკაში ყოფნისას.

ლა საყოველთაო ყურადღებას. იგი გარდაუვალი დამარცხების ვითარებაში გამოძედა ნებულ სიმამაცეზე მოგვითხრობს. მოხუცი კაცი თავისი ნავით ზღვაზე დიდ თევზს მისდევს დასაჭერად. ხართან მებრძოლი მატადორის მსგავსად, იგი იმდენად არის შეჰყრობილი ამ ვეება თევზის დაჭერის სურვილით, რომ, მართალია, ერთმა აუცილებლად უნდა იმსხვერპლოს მეორე, მისთვის სულ ერთია, რომელი დამარცხდება ამ ორთაბრძოლაში. თითქმის რელიგიური მორჩილებით ამბობს მოხუცი სანტიაგო: „არასოდეს მინახავს, ძმაო, შენზე დიდი ან უფრო ლამაზი, ან უფრო მშვიდი კეთილშობილი ქმნილება. მოდი და მომკალი“. ასეთი თავგან-



წირვის ფასად მოხუცი თვითონ კლავს დიდ თევზს. მაგრამ მას სინდისი შეაწუხებს: „თავის მოსაწონებლად მოკალი და კიდევ იმიტომ, რომ შეთევვზე ხარ“. თევზს ნაზე გაშობაბს და ასე მიჰყავს ნაპირისაკენ, მაგრამ მის ნადავლს ზვიგენები გამოედევნიან: პატრემოყვარობას სასჯელი მოჰყვა. სანტიაგო ხმელეთს ვეება ჩონჩხით მიადგება. მაგრამ ამ წარუმეტებლობის მიუხედავად, სანტიაგო მაინც არაა დამარცხებული. მას ღირსეულად და თავმდაბლად, მამაცურად და წესიერად ეჭირა თავი. მას სწამდა, რომ „ადამიანი დამარცხებისათვის არ არის შექმნილი. ადამიანი შეიძლება მოსპო, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია“. რაიმე ხე-



ლოვნურობის გარეშე, ეს უბრალო ამბავი გამსჭვალულია მრავალი ალეგორიული აზრით. როგორც სადა სტილის ნიმუშს, ამ ნოველას ტოლი არ მოეპოვება ჰემინგუეის შემოქმედებაში. ყოველი სიტყვა გამიზნულია და არც ერთი მათგანი ზედმეტი არაა. თავის დროზე ჰემინგუეის საყვედურობდნენ — ცხოვრებას განუდგა, აქტუალურ პრობლემებს არ ეხმაურება და თევზაობას გადაჰყვავაო. მაგრამ თევზაობის ყოველი წვრილმანის ცოდნამ ამ ნოველაში შესანიშნავი შედეგი გამოიღო. შწერალმა სიტყვების გარდა ისიც უნდა იცოდეს, რაზეც წერს.

კმაყოფილი და დამშვიდებული ჰემინგუეი კვლავ აფრიკისაკენ გაეშურა. გზად პამპლონაში შეჩერდა. აქ არ უტრაბახია, მაგრამ შემდგომ იმდენ ფათურაკს გადაეყარა, თითქოს ეტრაბახა. აფრიკაში ბევრს ნადირობდა, ასევე — მერიც. კენიაში კიმანას ჭაობთა ნაკრძალში, მისდა გასახარად, იგი ნადირთა დაცვის საპატიო ინსპექტორად აირჩიეს. 1954 წლის 21 იანვარს მერი და ერნესტი დასავლეთ ნაირობის აეროპორტიდან ბელგიის კონგოში გაფრინდნენ პატარა თვითმფრინავით, რომელსაც მართავდა მფრინავი სახელად როი მარში. ვიქტორიანილოსის მერჩისონის ჩანჩქერზე გადაფრენისას თვითმფრინავს ივეოსების გუნდი გადაეღობა. მათ რომ არ შეჯახებოდა, მარში დაბლა დაეშვა და ხეობაზე გადაჭიმულ გაუქმებულ ტელეგრაფის ხაზს გამოედო. პროპელერი დაზიანდა, თვითმფრინავმა დაკარგა მართვა და ჩანჩქერიდან სამი მილის დაშორებით ეკლიან ხეებში დაეცა. ერნესტს მარჯვენა მხარი დაეუფუა, მერიც საკმაოდ იყო შენჯღრეული. აღვილად გადარჩნენ. რაცია აღარ მუშაობდა, მაშველი თვითმფრინავის დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდათ. კოცონთან გატეხილი ღამის შემდეგ დაინახეს მდინარის ნავსადგურთან დაყენებული თეთ-

რი კატარდა „მერჩისონ“-ის სახელწოდებით. ყოყინითა და ყვირილით ნავსადგურისაკენ დაეშვნენ. კატარდა მდიდარ ამერიკელებს ემსახურებოდა. „აფრიკელი დედოფლის“ გადაღებისას იგი ჯონ ჰიუსტონს ჰქონია დაქირავებული. კატარდის უფროსმა — ინდიელმა, რომელიც დიდი გაიმევერა იყო, თითოეული მგზავრისაგან ასი შილინგი მოითხოვა. ბუტიაბაში ჩავიდნენ ალბერტის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე. აქ შეიტყვეს, რომ ახალი ამბების სააგენტოებს უკვე დაეწყოთ ხმების გავრცელება, რომ დაიდუჭა ჰემინგუეი (და, სხვათა შორის, ცხადია, მისი ცოლი და მფრინავი). ბრიტანეთის ტრანსოკეანული სამოქალაქო ავიაციის მაშველ თვითმფრინავს კატასტროფის ადგილი უნახავს, მაგრამ გადარჩენილები ვერ უპოვია.

მოსდა სასწაული, რამაც დაამტკიცა, რომ მეხი ხეს ორჯერ ეცემა. ბატიაბაში ჰემინგუეიმ თორმეტკაციანი თვითმფრინავი დაიქირავა ენტებეში ჩასასვლელად, მაგრამ თვითმფრინავი, რომელსაც თითქოს არა უშავდა რა, შეტორტმანდა ქეალორდიან და ბორბლებით დასერილ ასაფრენ მინდორზე, ოღნავ მოწყდა მიწას, შემდეგ დაენარცხა, დაიქინდრა და ცეცხლის ალში გაეხვია. ჰემინგუეიმ დაეყუილი მხრით გამოანგრია შეჭყლეტილი კარი. რთი მარშმა თანჯარა გამოამტვრია და მერისთან ერთად გადმოძვრა. ჰემინგუეი წერდა: „გაისმა ოთხი სუსტი გასროლის ხმა, რომელიც ჩვენი მარაგიდან კარლსბერგის ლუდმა გამოსცა. ამას მოჰყვა ოღნავ უფრო ძლიერი გასროლის ხმა, რომელიც გრან მაკნიშის ბოთლს ეკუთვნოდა. ამის შემდეგ აშკარად გავარჩიე კიდევ უფრო ძლიერი, მაგრამ არცთუ ისე გამაოგნებელი გასროლის ხმა, რომელიც გორდონის არყის ბოთლმა წარმოშვა. ამ არყის ბოთლს ლითონის თავსახური აქვს და ამიტომაც უფრო ძლიერ ხმას გამოსცემს, ვიდრე გრან მაკნიში,



ავა გარდნერი, „მკვლევებსა“ და „კლიმანჯაროს თოვლიან მთაში“ გადაღებული კინოფარსკვლავი, ჰემინგუეის ერთ-ერთი „შვილობილი“.

რომელიც მხოლოდ საცობით იხუფება და, რაც მთავარია, ამ შემთხვევაში ნახევრამდე იყო დაყვანილი. კიდევ მოველოდი გასროლის ხმას, მაგრამ — ამაოდ.”

ამბობენ თითქოს ჰემინგუეი ცეცხლმოდებული თვითმფრინავიდან ბანანის მტევნითა და არყის ბოთლით გადმოხტა ყვირილით: „ო, რა კარგი ბედი მაქვს“. ოდნავ მოგვიანებით გამოვიდა გრამფირფიტა, რომელზეც გავრცელებულ სიმღერას ამ რეზრენით როზმარი კლუნი და მისი ქმარი ხოხე ფერერი ასრულებენ. სიმღერა იწყება თვითმფრინავის ავარიის ხმით და შემდეგ კომიკურად არის გადმოცემული აფრიკაში მომხდარი ამბავი. მართლაც, ჰემინგუეის უნდოდა არაფრად ჩაეგდო რაც მოხდა, მაგრამ მერისაგან განსხვავებით მძიმედ იყო დაშავებული. მოსალოცი დეპეშებისა და ნაადრევი ნეკროლოგების მიუხედავად (რომლებიც მას ალბათ მხნეობას მატებდნენ) მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო. ნაირობის საავადმყოფოში ჰემინგუეის დაუდგინეს: მძიმე საერთო კონტუსია, მარცხენა თვალის სინათლის დროებითი დაქვეითება, მარცხენა ყურში სმენის დაქვეითება, სფინქტერის დამბლა, სახისა და ხელფეხის პირველი ხარისხის დამწვრობა, მარჯვენა ხელის, მხრისა და მარცხენა ფეხის ძარღვების დაჭიმვა, ხერხემლის დაზიანება, ღვიძლის, ელენთისა და თირკმლების გახვევა. თითქოს ეს არ კმაროდა, ერთი თვის შემდეგ ცეცხლმოდებულ ბუნქს აქრობდა, ზედ დაეცა და ფეხების, მუცლის, მკერდის, ტუჩების, მარცხენა ხელისა და მარჯვენა წინამხრის მეორე ხარისხის დამწვრობა მიიღო. ამიტომ ერთ ხანს მომბაზაში მოუწია დარჩენა, ვიდრე გემით გაემგზავრებოდა ვენეციაში, სადაც, დარწმუნებული იყო, კარგად გახდებოდა.

მისი ახალი მეგობართაგანი და შემდგომ მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი ა. ე. ჰოტნი-

ნერი სახტად დარჩა მასში მომხდარი ცვლილებით: როდესაც მის ოთახში შეკვდი, იგი ფანჯარასთან იჯდა, კითხულობდა, თვალების დასაჩრდილებლად ტენისის თეთრი ქუდი ეხურა, დაჭმუჭნული საშინაო ხალათი ეცვა და ქაშარი — „GOT MIT UNS“ კკეთა... დავინახე თუ არა, ელდანაცემივით შევჩერდი კართან... ხუთ თვეში საოცრად დებერებულყო. მეტწილად დამწვარი, მანამდე ნაცრისფერი თმა, და წვერი მთლიანად გაჭადარავებოდა. ამასთანავე თითქოს აკლდა რაღაც, მაგრამ არა ფიზიკურად, არამედ ვეება კაცის იერი დაკარგვოდა.

თავს კვლავ საკუთარი მეთოდით მკურნალობდა: დილას — ცივი შამპანური და ნეკროლოგების გადათვალერება, შუადღით — ჰემოციტოზის წამლები, ძილი და ესპანეთში მანქანით მგზავრობის დაგეგმვა. ყველაფერი ტკიოდა, მაგრამ სმას არ იშლიდა, ზუსტი სიტყვის მიგნება სულ უფრო უძნელებოდა. მაგრამ მისი წარსულის შარავანდედი უღიმღამო აწმყოსაც ვფინებოდა, რომლის შელამახება მხოლოდ მაშინ ხერხდებოდა, როცა იგი წარსულს ჩაბარდებოდა. თავის წარსულზე ათას რამეს ჰყვებოდა, მაგრამ ყველაფერი სარწმუნო როდი იყო. ასე, მაგალითად, ნიუ იორკის „კაედმონ რიკორდის“ მიერ 1965 წელს გამოშვებულმა ხანგრძლივდასაკრავმა ფირფიტამ „ერნესტ ჰემინგუეის ნაამბობი“ — შთამომავლობას შემოუნახა მისი ერთ-ერთი გამონაგონი, რომელიც მისგან ჰოტჩნერსა და სხვებსაც სმენიათ; იგი მატა ჰარის შეეხება: საკმაოდ ნასვამი ვიყავით ღვინით, როდესაც ჰემინგუეიმ გვითხრა, მატა ჰარის კარგად არ ვიცნობდი, ვინაიდან მე უბრალო უმცროსი ლეიტენანტი ვიყავი, მას კი — გენერლებთან და მინისტრებთან ჰქონდა ურთიერთობაო. მაგრამ ერთ ღამეს მაინც მოვახერხე ჩემთან დარჩენილიყო. უნდა გითხრათ რომ ძალიან განიერი თქოები ჰქონდა და




ინგრიდ ბერგმანი, მარიას შემსრულებელი ფილმში „ვის უხმობს ხარი“ და აგრეთვე, ჰემინგუეის ერთ-ერთი „შვილობილი“.

თვითონ არ განიჭებდა იმდენ სიამოვნებას, რამდენსაც იქით მოითხოვდა.

მოგეხსენებათ, ჰემინგუეი ევროპაში პირველად 1918 წელს ჩავიდა, ხოლო მატა ხარი ერთი წლით ადრე უკვე დახვრეტილი იყო ჯაშუშობისათვის.

აწმყო დიდებაზე რაიმეს მოგონება არ ესაჭიროებოდა. მანქანით მადრიდში დაბრუნებისას (მანამდე მილანში გაიარა, სადაც მეორედ მოინახულა ინგრიდ ბერგმანი და სიძულვილით მოიხსენია მისი ქმარი, ცნობილი რეჟისორი რობერტო როსელინი) პიემონტის მხარის ქალაქ კუნეოში თაყვანისმცემელთა ალყაში მოექცა და სიხარულით ლამის გაჭყლიტეს. დაღლილმა და დასუსტებულმა ჰემინგუეიმ ნიცაში წვერები გაიპარსა. შემდეგ — მადრიდი და კორიდა და ისევ სიხარულით აღსავესე შეხვედრა ავა გარდნერთან, რომელსაც ტორერო ლუის მიგელ დომინგინი უყვარდა. მაგრამ ჰემინგუეი დაქანცული იყო, თავს კარგად ვერგრძნობდა და კუბაზე დაბრუნდა. 1954 წელს ჰემინგუეის ნობელის პრემია მიენიჭა. ეს ჯილდო მას თან ეამაყებოდა და თან არა. ბოლოს და ბოლოს იგი უკვე მიღებული ჰქონდათ სინკლერ ლუისსაც, რომლის წიგნები, ხასიათი და გარეგნობა ჰემინგუეის თანაბრად სძაგდა, და უილიამ ფოლკნერსაც, რომელსაც იგი ახლა ვისკით გაუღენთილ სიტყვამრავალ მწერლად თვლიდა. გარდა ამისა პრემიის მიღებამდე ჰემინგუეის ნათქვამი ჰქონდა: „ჯერ არ მახსოვს ისეთი ვინმესთვის მიეცათ ნობელის პრემია, რომ მისი წიგნების წაკითხვა მოგვიანებითაც ღირდეს“. მან შეცდომა აღმოაჩინა ნობელის პრემიების კომიტეტის ოფიციალურ ტექსტში, რომლის თანახმად ჰემინგუეიმ „მკაცრი, ცინიკური და უხეში“ სტილის ხანა განვლო და „ხიფათისა და თავგადასავლისადმი მარიატიკური მამაკაცური სწრაფვა“ გამოავლინა და „თანამედრო-



ვე პროზის ხელოვნებაში მძლავრი, სტილის წარმომქმნელი ოსტატობა“ დაამკვიდრა. ჰემინგუეის შემოქმედებითი გზის განვითარება არასწორადაა დანახული, ხოლო „სტილის წარმომქმნელი ოსტატობა“, რომელსაც შვედურ დედანში ალბათ უფრო გამართული გამოთქმა შეესაბამება, კიბერნეტიკულ თარგმანს მოგვაგონებს. გაუხარდა 35 ათასი დოლარის ჩეკი: შეძლებული იყო, მაგრამ ფინანსურად გაჭირვებული კაცის როლს თამაშობდა. ოქროს მეჭალი ჯერ ეზრა პაუნდისათვის უნდოდა მიეცა, რომელიც ლიტერატურაში ყოველნაირი მედლის ღირსი იყო,

ჰემინგუეის სურათი იმის დასამტკიცებლად, რომ ბალანი მის გულმკერდზე ნამდვილია.



ჰემინგუეი და ფიდელ კასტრო, 1960. ერთი წლით ადრე, კუბაზე 20 წლის მანძილზე ცხოვრების შემდეგ. ჰემინგუეიმ რეპორტიორებს განუცხადა, რომ თავს კუბელად თვლის.

მაგრამ საბოლოოდ კუბელი წმინდანი ქალის — ვირხენ დე კობრეს ლუსკუმას გადასცა.

არ იყო კარგად სტოქჰოლმში წასასვლელად, თუმცა ამბობდა, მაინც არ წავიდოდიო, ვინაიდან კოსტუმი არასოდეს მქონია და არც ახლა ვაპირებ კოსტუმში გამოწყობასო. მაგრამ მისი სიტყვა, რომელიც ნობელის პრემიების კომიტეტს ამერიკის ელჩმა გადასცა, კარგადაა შედგენილი და მკაცრი სინატიფითაა აღბეჭდილი:

„მწერლობა, საუკეთესო გაგებით, განმარტოებული საქმიანობაა. მწერალთა ორგანიზაციები ცდილობენ დაეხმარონ მწერალს ამ სიმარტოვის გადალახვაში. მაგრამ მეექვსეა, რომ ამით ხელს უწყობენ მის შემოქმედებას. იგი იზრდება ხალხის თვალში, როცა ფართო ასპარეზზე გამოდის. მაგრამ ხშირად ეს ვნებს მის მუშაობას. მწერალი მარტოკა მუშაობს და თუ ის საკმაოდ კარგი მწერალია, გამუდმებით უნდა ფიქრობდეს,

შერჩება თუ არა მარადისობას მისი სახელი. ნამდვილი მწერლისათვის ყოველი ახალი წიგნი ხელახალი დასაწყისია, ხელახალი ცდაა მიუღწევლის მისაღწევად. იგი მუდამ უნდა ცდილობდეს შექმნას რაღაც ისეთი, რაც მანამდე არავის გაუკეთებია ანდა უცდია, მაგრამ ამოდ. და ასე, თუ ბედიც წყალობს, ზოგჯერ კიდევაც გაიმარჯვებს. რა ადვილი იქნებოდა მწერლობა, უკვე კარგად დაწერილისაგან განსხვავებულად წერა რომ კმაროდეს. იმის გამო, რომ დიდი მწერლები გვყავდა, დღეს. მწერალმა თავისი გზით უნდა იაროს იქით, სადაც მას ვედარავინ მიეშველება, მწერლისათვის შეუფერებლად გამიგრძელდა სიტყვა. თუ სათქმელი აქვს, მწერლის საქმე წერაა და არა ლაპარაკი. კვლავ მადლობას მოგახსენებთ.“

ნობელის პრემიაზე მეტად (რასაც უამრავი ინტერვიუ და მოულოდნელი სტუმრიანობა მოჰყვა), გაახარა სარაგოსაში კორიდაზე მისადმი ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის სპონტანურმა გამომჟღავნებამ. ორი ხარი მას მიუძღვნეს; ათასობით ადამიანი კორიდის ბილეთს აწვდიდა ავტოგრაფის მისაღებად. ესპანელი გულშემატკივრები იცნობდნენ „სიკვდილს ნაშუადღევს“, რომელსაც თაყვანისმცემლის სახარებად, ესპანელი ხალხისა და მისი უმთავრესი წარმართული რიტუალის პატივისცემის გამოხატულებად მიიჩნევენ, „ვის უხმობს ზარი“ ფრანკოს რეჟიმის დროს აკრძალული იყო, მაგრამ ესპანელებისათვის ცნობილი იყო ამ წიგნის არსებობა და ისიც, თუ ვის მხარეზე იყო ჰემინგუეი. იცოდნენ, რომ იგი ფრანკოს ძლიერი მტერი იყო, რომელიც მისი საყვარელი ქვეყნის ხელისუფალთ არასასურველ პირად მიაჩნდათ. ჰემინგუეი შესანიშნავად გამოიყურებოდა, მაგრამ სინამდვილეში ძალზე აუად იყო.



ჰემინგუეი ესა დამში, პამპლონასთან ახლოს, ივლისი, 1959.

სისხლის წნევა და ქოლისტეროლი ზო-
მაზე ბევრად მეტი ჰქონდა. არაფრად არ უვარ-
გოდა ღვიძლი (ამდენ სმას კარგი არაფერი
მოჰქონდა) და აორტის ანთება სჭირდა. აკ-
რძალული ჰქონდა ცხიმოვანი საჭმელი, მა-
გარი სასმელი და ქალი. საშინლად უგუნე-
ბო მთელი ზამთრით პარიზში წავიდა. „რიტ-
ცში“ ისეთი საოცარი რამ აღმოაჩინა, რა-
მაც სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა. აქ დახვ-
და მისი ორი ჩემოდანი, რომლებიც სასტუმ-
როს სარდაფში 1928 წლიდან ინახებოდა.
მათში აღმოჩნდა იმ ბედნიერი დროის ჩანა-
წერები, პროზაული ნაწარმოებებისა და რე-
პორტაჟების დაწუნებული ვარიანტები. ცი-
ნიკური ბუზღუნის მიუხედავად, ნობელის
პრემიის ლაურეატობის წლებში მან შესა-
ნიშნავი წიგნი შექმნა, რომლის საფუძველი
და სტილისტური ბრწყინვალეობა სიტყვას-
თან ჭიდილის ადრეულ ხანას უკავშირდე-
ბა. ეს წიგნი მწერლის სიკვდილის შემდეგ
გამოიცა სათაურით „მოძრავი დღესასწაუ-
ლი“.

კუბაზე დაბრუნებულს მეტად დაძაბული
პოლიტიკური სიტუაცია დახვდა; როგორც
უცხოელს, მას აკრძალული ჰქონდა აზრის
საჯაროდ გამოთქმა. ფინკასთან გუშაგები
დაძრწოდნენ და ლტოლვილ მემობოხეებს
დაეძებდნენ. მათ ჰემინგუეის ერთი ძალი
მოუკლეს. შეურაცხყოფილ პატრონს ხმის
ამოდების უფლება არ ჰქონდა. ჰემინგუეი
აიდაპოს შტატში კეტჩუმში წავიდა და მოუთ-
მენლად ელოდა ცნობებს ჰავანადან. 1959
წლის 1 იანვარს ჰემინგუეიმ შეიტყო, რომ
ფიდელ კასტრომ ხელთ იგდო კუბის დედა-
ქალაქი, ხოლო ბატისტა ტრუხილიოსთან
გაიქცა. ჰემინგუეი დიდად გაახარა ამ ამბავ-
მა: „კუბელ ხალხს პირველად ეძლევა წესი-
ერი ცხოვრების შესაძლებლობა“. აზრზე არ
იყო, ვინ იყო კასტრო, მაგრამ სჯეროდა, რომ
ბატისტაზე უარესი არავინ იქნებოდა. მას



შეგნებული ჰქონდა, რომ ამერიკის ფინანსური ინტერესები წინ აღუდგებოდნენ ახალ წყობილებას და შიშობდა, რომ მას, როგორც ამერიკელს, ამიერიდან თავის მეორე სამშობლოში არასასურველ პირად ჩათვლიდნენ. წუხდა თავისი კარ-მიდამოს ბედზეც. მაგრამ ახალი მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა — ხაიმე ბოფილსმა დაურეკა და აცნობა — პირადად მაქვს დავალებული თქვენი უშიშროების უზრუნველყოფაო. ბატისტას მთავრობის სერჟანტი, რომელმაც ჰემინგუეის ძალდი მოუკლა, სიკვდილით დაესაჯათ, გაცილებით უფრო მძიმე დანა-

სახლი კეტრუმში (აიდაჰო) — ჰემინგუეის უკანასკნელი სამოსახლო.

შაულისთვის. ჰემინგუეი მთელი ზაფხულით ესპანეთში წავიდა, ხოლო მანამდე კეტჩუმში იყიდა სახლი. შექმლო კიი უესტშიც ეცხოვრა. პოლინი აღარ იყო ცოცხალი. ტენესი უილიამსის შეკითხვაზე, თუ როგორ მოკვდა პოლინი, ჰემინგუეიმ უპასუხა: „მოკვდა ისე, როგორც სხვები კვდებიან. ახლა თვითონაც მოკვდა.“

თავის სამოცი წლისთავს მაღაგასთან ახლოს ლა კონსულაში, შეძლებული ამერიკელი ნაცნობის მამულში შეხვდა. მერიმ დიდებული წვეულება მოაწყო, ბოშური რომანსებით, აღლუმითა და ვეება ტორტით. იუბილარი, რომელსაც თირკმლები აწუხებდა, არა მხოლოდ ფიზიოლოგიური დარღვევის ნიშნებს ამჟღავნებდა. უბღვერდა და დასცინოდა მერის, როგორც მანამდე დასცინა თავის გარდაცვლილ ნაცოლარს. როდესაც ერთმა მეგობარმა გულთბილად მოხვია ხელი მხარზე და შემთხვევით კეფაზე შეეხო, დაუყვირა — ეს ერთადერთი ადგილია, რომელზეც შეხების უფლება არავის არა აქვს. თავისი რომანტიკული წარსულის გარდა, სხვა აღარაფერზე ლაპარაკობდა და სრულიად უმიზეზოდ უწმაწურ სიტყვებს ხმარობდა. მერი, წმინდანივით, უდრტვინველად იტანდა ყველაფერს; ეს ზაფხული ესპანეთში ჩამხამდა და მოუთმენლად ელოდა კუბაზე ან კეტჩუმში დაბრუნებას. მაგრამ ჰემინგუეის „ლაიფ“-თან კონტრაქტი ჰქონდა დადებული ხარების ბრძოლაზე ვრცელი ნარკვევის დასაწერად. ამის დაწერა მხოლოდ ესპანეთში შეიძლება, — თქვა მან. ამ ნარკვევს ერთობ შესაფერისი სათაური აქვს — „სახიფათო ზაფხული“.

ნარკვევი პატარა ზომის წიგნში გადაიხარდა. გადაწვევითა იგი ფინკა ვიხიაში დამთავრებინა. მისი შიში, რომ კუბიდან გააძევებდნენ როგორც არასასურველ უცხოელს, ჰავანას აეროპორტშივე გაქარწყლდა,



სადაც სან ფრანსისკო დე პაულას მთელი მოსახლეობა დროშებით იყო მოსული მის შესახებედრად. „ღმერთმა ნუ ქნას, რომ შეერთებულმა შტატებმა კვოტა დააწესონ კუბის შაქარზე. კუბა შავ დღეში ჩავარდება, ზურგს შეაქცევს ამერიკას და რუსეთს მიემხრობა...“, — ამბობდა იგი. დიდძალი საქმე დაუგროვდა, ოთხმოცდათორმეტ წერილზე უნდა ეპასუხა და თავის სიცოცხლეში პირველად დაფიქრდა — ხომ არ აეყვანა მდივანი. ესპანეთში ერთი გლასგოელი ქალიშვილი გაიცნო, რომელიც საამისოდ გამოადგებოდა. ხომ არ გამოიძახოს? ნარკვევა „ლაიფ“-ისათვის 63.562 სიტყვას გადაამეტა და ბევრად გადასცდა დათქმულ ზომას. მხედველობა გაუუარესდა: „თვალის გარსი მიშრება, საცრემლე არხები მთლად გამიშრა“ — ერთადერთი წიგნი, რომლის წაკითხვა შეეძლო, „ტომ სოიერის თავგადასავლის“ დიდტანიანი გამოცემა იყო. „სახიფათო საფხულმა“ 92.453 სიტყვას მიაღწია.

მალე „სახიფათო საფხული“ 108.746 სიტყვამდე გაიზარდა. არ იცოდა, როგორ შეემოკლებინა, საჭირო გახდა ესპანეთში ხელახლა ჩასვლა, გასარკვევი იყო ზოგიერთი საკითხი, მაგალითად, — როგორია რქების მოჭრის წესი, გარდა ამისა სხვადასხვა ფოტოსურათები დასჭირდა. მიხვდა, რომ ნარკვევის ნაცვლად წიგნი გამოუვიდა. როგორ პონორარს მიიღებს ამ წიგნში? მისი საავტორო შემოსავალი წელიწადში დაახლოებით 100.000 დოლარს უდრიდა და ბანკის ანგარიში რიგზე ჰქონდა. ჰემინგუეის მაინც აწუხებდა თავისი ფინანსური მდგომარეობა. „თუენთიზ სენჩარი ფოქს“-მა ათ მოთხრობაში ნიკ ადამსზე 100.000 დოლარი შესთავაზა. „ღმერთო ჩემო, ამდენს ერთ მოთხრობაში მიხდიდნენ, — ბრაზობდა ჰემინგუეი. — ამდენი გადამიხადეს „კილიმანჯაროს თოვლ-

ში“...თუ უნდათ, ათ მოთხრობაში ცხრაასი ათასი გადამიხადონ“. ამ და მსგავს სიტყვებს ამბობდა არა ის ძველი, ბრგე, კუნთებიანი მოკრივე, არამედ ჭირვეული თეთრწვერიანი მოხუცი. ჰოტჩნერი წერს: „მისმა მკერდმა და მხრებმა სიმკვრივე დაკარგა, ხოლო მკლავები ისეთი ფაფუკი და უფორმო ჰქონდა, თითქოს გამოუცდელმა ყასაბმა კუნთები ჩამოაცალაო“.

„სახიფათო საფხულის“ — ამ გულდასაწყვეტად გაჭიანურებული და უფერული ნაწარმოების ნაწილი „ლაიფ“-ში დაიბეჭდა, თან ერთვოდა ფოტოსურათების გვერდი. ამ სურათებმა მადრიდში მყოფი ჰემინგუეი ისე აღაშფოთა, რომ მის მეგობრებს ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა. შეხედეთ ამას, *pase ayuda* რომ აწერია, ამნაირ სურათებს ფოტოგრაფები მატადორების შანტაჟიერებისათვის იყენებენ... ყველა მასხრად ამიღებს, ვისაც კი ხარების ბრძოლის რაიმე გაეგება. არნახულ გაიძვერად და მატყუარად ჩამთვლიან... ნეტავ ეს სურათები არ მენახა და მერჩია ასჯერ მეწვინია ისეთი კატასტროფა, აფრიკაში რომ მოვეყვი,“ და ასე გაუთავებლად. არავის ესმოდა რითი იყო ცუდი ეს სურათები. ნიუ იორკში წასადებად ახალი სურათები ჰქონდა შექმნილი, მაგრამ შიშობდა, ვაითუ „იბერიის“ ავიახაზი კრძალავს თვითმფრინავში რაიმეს შეტანას და სურათები დამატოვებინონო.

ჰოტჩნერი და სხვები არწმუნებდნენ, რომ ამაოდ შიშობდა. „კი მაგრამ შუალამის თვითმფრინავი რეაქტიული არაა, — ამბობდა ჰემინგუეი, — იქნებ პროპელერიან თვითმფრინავზე ზედმეტი ბარგი აკრძალულია. თუ ფოტოებს არ გამატანენ, არც მე წავალ“. ჰოტჩნერი იძულებული გახდა დამოწმებული ხელწერილი მიეღო „იბერიის“ მუშაკისაგან იმის თაობაზე, რომ მგზავრს უფლება აქვს

თან იქონიოს ბარგი. ჰემინგუეიმ ხელნაწერი დაკეცა და გულდასმით ჩაიღო პასპორტში.

რატომ გადაწყვიტა გაფრენილიყო პროპელერიანი თვითმფრინავით, რომელსაც თოთხმეტი საათი სჭირდება, და არა რეაქტიულით, რომლისთვისაც შეიღი საათია საკმარისი? იმიტომ, რომ, ურჩევნოდა ნელ-ნელა შეკყოლოდა მისთვის მომაკვდინებელ სმას. ამასთანავე, მისი აზრით, ნაკლები იყო იმის შესაძლებლობა, რომ პროპელერიან თვითმფრინავში აღმოჩნდებოდნენ მასზე მიჩენილი აგენტები. მეგობრები ამჩნევდნენ, რომ ჰემინგუეის დემენცია — ჭკუასუსტობა უვითარდებოდა. კეტრუმში მიმავალმა თავისი მანქანა ოდნავ გაკრა სხვის მანქანას, რომლის პატრონმა უთხრა, არაფერია, ამაზე ლაპარაკიც არ ღირსო, მაგრამ ჰემინგუეიმ დაიჩემა შერიფი დამაპატიმრებსო. ამბობდა, გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები დამდევენო. ესპანეთში გაცნობილი გლასგოელი ქალიშვილი, რომელიც შტატებში გამოიძახა, დრამატულ წრეში დადიოდა, სწავლის ქირას ჰემინგუეი უხდიდა და თან წუხდა: გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები გარყვნილებას დამაბრალებენო. ის ორი კაცი, გვიანობამდე რომ მუშაობს ბანკში, აგენტები არიან, ჩემი გადასახადების სისწორეს ამოწმებენო. კომიუნიკაციებს რომ გვანან, ის ორი კაციც აგენტებია: წავიდეთ ამ ბარიდან.

ლაპარაკიც ზედმეტი იყო ფსიქიატრთან მიყვანასზე, მაგრამ ფიზიოლოგიური მოშლილობაც საკმარისი ჰქონდა. მინესოტას შტატში როჩესტერის წმინდა მერის საავადმყოფოში ღვიძლის სპეციალისტს ჰუგ ბატს გაასინჯეს. ექიმმა მცირედი დიაბეტი და გაუთავებელი სმით გამოწვეული ღვიძლის გადავავარება დაუდგინა. შესაძლოა იშვიათი დაავადება — ჰემაქრომატოზისიც სჭირსო, მაგრამ დიაგნოზის დასადგენად საჭირო იყო კანის

სინჯი, უჯრედების შესამოწმებლად, რისთვისაც იმჟამად მზად არ იყო. ცხადია, სისხლის წნევაც მაღალი ჰქონდა, ხოლო დეპრესია შესაძლოა იმ აბებით იყო გამოწვეული, რომლებსაც წნევის დასაწევად იღებდა. დოქტორმა ჰოუარდ როუმმა, რომელმაც არ გაუშვილა, რომ ფსიქიატრი იყო, ელექტროშოკით დაუწყო მკურნალობა.

1961 წლის დასაწყისში ჰემინგუეი, ჭაღარაწვერებიანი, სუსტი, ფერმკრთალი, გამხდარკიდურებიანი ბერიკაცი, გაცილებით უკეთ შეიქნა და მას ნება მისცეს კეტჩუმში დაბრუნებულიყო. ნიუ იორკში ყოფნისას სთხოვეს, რამდენიმე წინადადება დაეწერა ახლადარჩეული პრეზიდენტის ჯონ ფიცჯერალდ კენედისათვის მისართმევი წიგნისათვის. მთელი დღე ამაოდ იწვალა. „აწი ველარაფერს დავწერ“, — ტირილი აუვარდა. გახაფხულდა, მაგრამ რაღაც იდუმალი ხილვით თუ nada-ს სიახლოვით შეპყრობილი ჰემინგუეი ეტყობა ვერაფერს ამჩნევდა. მან მონადირის თოფი და ორი გილზი აიღო. გატანჯულმა მერიმ, რომელიც დიდ სულიერ მხნეობას იჩენდა, საუბარი გაუბა, ვიდრე სისხლის წნევის გასაშინჯად ექიმი მოვიდოდა. ექიმმა დაიყოლია ჰემინგუეი შემგებოდა თოფს.

საჭირო გახდა საავადმყოფოში მისი წაყვანა. აეროპორტში მისასვლელად მანქანაში ჩაჯდომამდე იარაღის სტელაჟისკენ გაქანდა და გატენილი თოფი კისერზე მიიღო. განაწყენდა, როცა განზრახვა ჩაუშალეს. თვითმფრინავში მთელი გზა ბუტბუტებდა: „შემომიტყუილეს“. შუაგზაზე როჩესტერამდე თვითმფრინავი საწვავის შესავსებად დაეშვა. ჰემინგუეი თითქოს დამშვიდებული იყო. ძირს ჩამოვიდა წელში გასამართავად. ყველგან, გაჩერებულ მანქანებს შორისაც კი გამწარებული ეძებდა თოფს. უნდოდა წინ გადადგომოდა მეორე თვითმფრინავს, რომელიც დაბ-

ლა ეშვებოდა. ექიმმა როუმმა პირობა ჩამო-
ართვა, რომ აღარ ეცდებოდა თავის მოკვლას.
მისმა დემენციამ ერთობ მზაკერული სახე
მიიღო — ცოლთან არაჯანსაღს ექიმებთან
შედარებით ნორმალურად ეჭირა თავი. მერის
თავზარი დაეცა, როდესაც როუმმა უთხრა,
მე მგონი არაა საშიში მისი შინ წაყვანაო.
მანქანით კეტრუმისკენ მგზავრობისას მერიმ
შეამჩნია, რომ ჰემინგუეი კვლავ შეიპყრო
დევენის მანიაჲ. გზად ღია ცის ქვეშ ისაუბ-
რეს, ღვინო დალიეს. ჰემინგუეი დარწმუნებუ-
ლი იყო, რომ სასმელის ტარებისათვის ცხე-
ნოსანი პოლიციელები დააკავებდნენ. წუხდა,
რომ ღამის გასათევს ვერ იშოვიდნენ მერიმ
უნდა დარეკოს მოტელში და შეუკვეთოს ოთა-
ხი. მერიმ იცოდა, რომ მოტელები ღამის
ცარიელი იქნებოდა. კეტრუმში უგუნებოდ
იყო, თუმცა სიცოცხლესთან გამოთხოვება-
ზე თითქოს აღარ ფიქრობდა.

1961 წლის 2 ივლისს, კვირა დილას იგი
დილაადრიან ადგა, მერის ჯერ კიდევ ეძინა.
იპოვა საკუჭნაოს გასაღები, სადაც ინახებო-
და თოფები, გატენა ორლულიანი თოფი, რომ-
ლითაც მტრედებზე ნადირობდა ხოლმე, და
სახლის წინა ფოიეში წამოიღო. ყველანი
ვალში ვართ ღმერთის წინაშე. მოთხრობა-
ში „სუფთა და ნათელი ადგილი“ არის ასე-
თი ლოცვა: „ჩვენო nada რომელი ხარ არა-
რაობასა შინა, მოვედინ, nada, სუფევა შენი
იყავნ, nada, ნება შენი, ვითარცა nada-სა ში-
ნა, ეგრეცა nada-სა ზედა“. ორივე ლულა
პირში ჩაიღო და გაისროლა. სროლის ხმამ
მთელი სახლი გაადღვია.

ჰემინგუეის წიგნებიდან, რომლებიც მი-
სი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, ყველა-
ზე უფრო დიდტანიანია „კუნძულები ოკეა-
ნეში“, რომელიც ავტორის ქვრივისა და გა-
მომცემლის ნებით. 1970 წელს გამოქვეყნ-
და. მათი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ
ნაწარმოებს საგრძნობლად აკლია დახვეწა,

მრავალი შინაგანი ღირსებით იგი. მაინც სა-
პატიო ადგილს დაიჭერს მის შემოქმედება-
ში. ამ წიგნს განსაკუთრებული მნიშვნელო-
ბა აქვს აგრეთვე ჰემინგუეის ტანჯული სუ-
ლის შესამეცნებლად. პროფესორი უალდჰორ-
ნი წერს: „მხატვრული ფორმის თვალსაზრი-
სით ეს რომანი ვერ უძლებს. მკაცრ მიდგო-
მას, მაგრამ ტრაგიკული ამბის ხშირად გა-
უმართავი თხრობის შრეებში ავტორის პი-
რადი განცდები, შემადარწუნებელი სულიერი
ტანჯვა გამოსჭვივის. რომანის — „კუნძუ-
ლები ოკეანეში“ — ძლიერება — ძლიერება
ცხოველმყოფელი — თითქმის მთლიანად
პროზის ხელოვნების მიღმა სუფევს“.

რომანის პირველ და ყველაზე ვრცელ
ნაწილში აღწერილია, როგორ ერთობა ტო-
მას ჰუდსონი, ცნობილი ამერიკელი მხატ-
ვარი კუნძულ ბიშინიზე, სადაც მასთან ერ-
თად არის მისი სამი ვაჟი. ჰუდსონი ყველას
უყვარს და მას ყველა პატივისცემით ხედე-
ბა. იგი უაღრესად წესიერი და თავაზიანი
კაცია, თუმცა თავის გულთბილ დამოკიდე-
ბულებას სხვებისადმი არასოდეს არ ამჟღავ-
ნებს. ხელოვნებაში იგი გამარჯვებულია, მაგ-
რამ არ გაუმართლდა არც პირველ და არც მე-
ორე ცოლთან. იგი აკვირდება თავისი ვაჟე-
ბის სიყმაწვილეში შესვლას, რაც დიდ თევზ-
თან შებრძოლების სახით ვლინდება. ჰუდ-
სონი კარგი მამაა, მაგრამ ვერ ახერხებს შვი-
ლებთან სიახლოვეს და მათთან არა მეგო-
ბარვით, არამედ მოძღვარვით უჭირავს თავი.
არდადეგების დამთავრებისთანავე შვი-
ლები მიემგზავრებიან. რამდენიმე დღის შემ-
დეგ ჰუდსონი დეპეშით შეიტყობს, რომ ისი-
ნი დედასთან, მის ნაცოლართან ერთად ავ-
ტომობილის ავარიაში დაიდუპნენ.

მეორე ნაწილში ჰუდსონი გებულობს,
რომ მისი უფროსი ვაჟი ყოფილი პირველი
ცოლისაგან, სამხედრო მფრინავი მეორე
მსოფლიო ომში, ბრძოლაში დაიდუპა. მოუ-

ლოდნელად მასთან ჩამოდის პირველი ცო-
ლი, მსახიობი, რომელიც თავისი ხელოვნე-
ბით ამხნეებს მებრძოლებს, და ძალიან
მოგვაგონებს Kraut-ს – მარლენ დიტრიხს.
მან არაფერი იცის შვილის დაკარგვისა. იგი
ჰუდსონთან ერთად ლოგინში ნებივრობს და
როგორღაც თავისთავად შედავნიდება ტრაგი-
კული ამბავი. „მითხარი, დაიღუპა?“ – „ჰო,
ასეა“. შემდეგ, მესამე ნაწილში ჰუდსონს თა-
ვისი კატარღა (აშკარად – „პილარი“) ექვს-
კაციანი შეიარაღებული ეკიპაჟით კუბის ნა-
პირებთან მიჰყავს, სადაც ფაშისტების ჩაძი-
რული წყალქვეშა გემიდან გადარჩენილები
უნდა შეიპყრას. იგი ახერხებს, თუ თავს
არწმუნებს ამაში, რომ არ იფიქროს დაღუ-
პულ შვილებზე. მას მძიმედ დაჭრიან, შესამ-
ლოა – სასიკვდილოდაც, დანამდვილებით
ამის თქმა ძნელია. ვინ იცის, იქნებ რაღაც
ცრურწმენის გამო ჰემინგუეის არ უნდოდა
იმის ჩვენება, რაც ფაქტიურად საკუთარი
სიკვდილის აღწერა გამოუვიდოდა.

ჰუდსონი, გამარჯვებული, სიყვარულითა
და პატივისცემით გარემოცული, მთელი წიგ-
ნის მანძილზე სიკვდილის გარდა სხვა არა-
ფერზე ფიქრობს. ეს აკეიატებული ფიქრი
სხვადასხვა და ზოგჯერ ნაკლებად დამაჯერე-
ბელი ხერხითაა ხორცშესხმული – დამხ-
რჩვალ უმცროსი ძმის მოგონება, შვილების
სიკვდილის გულცივი აღწერა, ომი, რომელ-
შიც ადამიანები იღუპებიან. რომანში გადმო-
ცემულია აგრეთვე ჰუდსონის სიზმრები და
კოშმარული მოჩვენებები, რომლებიც მის აკე-
იატებულ ფიქრს ირაციონალურ ნიშანდობ-
ლიობას ანიჭებენ. ერთ-ერთ სიზმარში ჰუდ-
სონი პენისის ნაცვლად პისტოლეტს იყე-
ნებს, ხოლო შემდეგ ეროტიკულ აქტში უხა-
ლისოდ გვევლინება ქალის როლში. ეს დაღ-
ლილობა, სიკვდილზე ფიქრი საკუთრივ ჰე-
მინგუეისეულია. ჩვენს ხელთაა მხატვრუ-
ლი პროზის კლასიკური ნიმუში, რომელიც

ხელოვნების თვალსაზრისით არაა სრულ-
ყოფილი და ამასთანავე ვერც ავტორის ენე-
ბათაღელვას გამოხატავს მთელი სიცხადით,
რის გამოც ეს წიგნი ვერ იქცა სულიერი
ტანჯვის კათარზისად.

რა სჭირდა ჰემინგუეის? იგი უთუოდ
შეპყრობილი იყო იმ მზარდი ნაღველით, რომ
ვერ შესძლო საკუთარ თავზე მის მიერვე
შექმნილი მითის განსახიერება; თუ გავით-
ვალისწინებთ მის სწრაფვას თავისი ვაჟ-
კაცობის დამკვიდრებისადმი, უფრო სავარაუ-
დლოა, რომ იგი სექსუალურად სუსტი მამა-
კაცი იყო და ძალიან განიცდიდა ამას; იგი
ყოველთვის ტრაბახობდა, *chines-იანი* ვა-
რო; მაგრამ ამ უკანასკნელს არაფერი აქვს
საერთო თოფის სროლასთან. შესაძლოა ის
აზრი ტანჯავდა და საკუთარი თავიც კი სძაგ-
და ამის გამო, რომ ბოლომდე ვერ უერთგუ-
ლა ჯოისისებური ხელოვნების ახალგაზრ-
დობისდროინდელ იდეალს;

და როდესაც მიხვდა რა ზიანიც მიაყუ-
ნა უსწორო გზით სახელის მოხვეჭამ, უკან-
დახევა უკვე დაგვიანებული იყო. სახელს და
დიდებას, საკუთარი წარმატების სხვების მი-
ერ აღიარების ნებისმიერ შეგრძნებას, ზოგ-
ჯერ თან სდევს ქრონიკული მელანქოლიის
შეტევები, გამოხატული სიკვდილზე ფიქ-
რით. უბრალოდ, ჰემინგუეიმ ჩათვალა, რომ
მასზე არ ვრცელდება ჰენრი თოროსეული
კანონი, რომლის თანახმადაც ადამიანი მშვი-
დად უნდა ეწეოდეს თავის ჭაბანს; მან ვერ
ზიდა ის ტვირთი, რომელსაც ადამიანთა უმ-
რავლესობა უდრტვინველად ატარებს; მე-
ტიისმეტად იყო ღვთის მსგავსი, რომ ეს შეძ-
ლებოდა.

1964 წელს გამოიცა „მოძრავი დღესას-
წაული“ — პარიზის დროინდელი ჩანაწერე-
ბის საფუძველზე შექმნილი ერთგვარი ავ-
ტობიოგრაფიული წიგნი ლიტერატურული
შეგირდობის წლებზე. სათაურის რელიგიუ-

რი შეფერილობა მას ისევე შეესაბამება, როგორც რომანს — „და აღმოხდების მზე“. ამ წიგნში ახალგაზრდა ჰემინგუეი და მისი მეგობრები იმდენად ღარიბები და დამშულები არიან, რომ ყოველი კარგი კერძი ერთგვარ საიდუმლოებასთან ზიარებად ეწვევებათ. რწმენისა და იმედის (უფრო ნაკლებად — მოწყალების) დღესასწაული, ანუ 20-იანი წლების Vie de Bohème ნამდვილად იყო, მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება, შთაბეჭდვით ლიტურგიასავით კვლავ და კვლავ განმეორდება და ცხოველმყოფელობას შიანიჭებს აწმყოს, რომელსაც — აი, პარადოქსი — საჭმელ-სასმელი არ აკლია, მაგრამ მაინც მშვიდრია. ჰემინგუეი ანგარიშიუცემლად როდი უკმევს გუნდრუქს იმ გარდასულ წლებს: ზოგისადმი დაუნდობელია და არც მწარე სიტყვებს იშურებს — უინდემ ლუისს „ქალის ხელმოცარული მოძალადის“ გამოხედვა აქვს (ლუისმა სიძულვილით აღსავეს წერილი დაწერა ჰემინგუეიზე, რომელიც „მუნჯ ხარს“ შეადარა), ფორდ მედოქს ფორდი, „ლამაზად ნაცმული, გადმოპირქვევებულ კასრს“ ჰგავს, ხოლო „გერტრუდა სტაინი საოცრად სიმპათიური იყო, ვიდრე პატივმოყვარე გახდებოდა“. მკაცრად არის გაკიცხული და ვრცლად არის დახასიათებული სკოტ ფიცჯერალდი (მისი პენისის ზომაც კი ცალკე მსჯელობის საგანია), რომელსაც დაუნდობლად ექცევა:

დიდი დრო გავიდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ ეორუმა, რომელიც სკოტის პარიზში ყოფნის დროს ოფიციალტი იყო, ხოლო ახლა „რიტცში“ უფროსი ბარმენი გამხდარიყო, ბარში ყოფნისას მკითხა: — Papa, ვინ იყო ეს მუსიე ფიცჯერალდი? ყველა იმაზე მეკითხება...

— ორი შესანიშნავი წიგნი აქვს დაწერილი, მესამე ველარ დაამთავრა. ვინც მის ნაწერებს კარგად იცნობს, ერთხმად ამბობს, ესეც შესანიშნავი წიგნი იქნებოდაო.

— საკვირველია. სულ არ მაგონდება ეს ფიცჯერალდი, — თქვა ჟორჟმა“. მაგრამ ეს წიგნი სულაც არ გახლავთ ავსტივეობაში ვარჯიში. ჰემინგუეი ჯოისს აღფრთოვანებით იგონებს, პაუნდს — გულთბილად, ხოლო მისი ტრფობის საგანი პარიზია:

„პარიზში რომ დაებრუნდი, აქ ნათელი, ცივი და სასიამოვნო ამინდი დაგეხვდა. ქალაქი უკვე ზამთრისთვის მომზადებულიყო. ჩვენი სახლის პირდაპირ შემისა და ნახშირის საწყობში შესანიშნავ შემას ჰყიდნენ. საუკეთესო კაფეების ტერასებზე მაყლები გამოედგათ. ჩვენს ბინაშიც თბილოდა და სიმყუდროვე სუფევდა. აღმოდებულ შემას ხელ-let-ს, ქვანახშირის მტერის დაწნეხილ, კვერცხისებურ ბრიკეტებს ვაყრიდით ხოლმე, გარეთ კი ყველაფერი ელვარე შუქით იყო განათებული. უკვე შევეჩვიეთ ცის ფონზე გამოკვეთილ ფოთლებდაცვენილ ხეებს. და ლუქსემბურგის ბაღში წვიმით გადარეცხილ ბილიკებზე სეირნობას, მიუხედავად იმისა, რომ სახეში გვცემდა სუსხიანი ქარი. ფოთლებდაცვენილი ხეები ქანდაკებებს ჰგავდნენ. აუზების ზედაპირზე ქარი უბერავდა და შადრევნების მხეფები მზეზე ელავდა. ისე შევეჩვიეთ მთებში სიარულს, რომ გზის სიშორე აღარ გვაშინებდა“.

ესაა ნამდვილი ჰემინგუეისეული პროზა, სადა და გამომსახველი, სიცოცხლის ხალისით აღსავსე და, როგორც ყოველი მისი ნაწარმოები — მსუბუქი მელანქოლიით აღბეჭდილი. ეს მელანქოლია განფენილია თვით წინადადებათა აღნაგობაშიც, რომელიც მთავარ აზრს ყოველთვის დასაწყისში ითავსებს და დაღმავალი ინტონაციით ვითარდება. ჰემინგუეისეული ტონალობა მაშინაც ელგვიურია, როდესაც უკიდურესი სიხარულის მოტივს უკავშირდება:

„პარიზი არასოდეს გათავდება და ვისაც იქ უცხოვრია, ყველას თავისებურად ახსოვს

იგი. ჩვენ ყოველთვის ვბრუნდებოდით იქ და როგორადაც არ უნდა შეცვლილიყო და როგორადაც არ უნდა შეცვლილიყო თვითონ პარიზი, რა ძნელიც არ უნდა ყოფილიყო იქ მოხვედრა. პარიზი ყოველთვის ღირს ამაღ, რადგან რაც არ უნდა გაიღო მისთვის, სამაგიეროს ყოველთვის მიიღებ. ასეთი იყო პარიზი მაშინ, როცა ჩვენ ღარიბები და ძალზე ბედნიერები ვიყავით“.

ჰემინგუეისეული ტონალობა ახალი და სრულიად თავისებური წვლილია მსოფლიო ლიტერატურაში. ამ ტონალობით იწყებს წერას ყოველი დამწყები მწერალი. ვაუკაცობის ჰემინგუეისეული კოდექსი, ჰემინგუეისეული გმირი და სტოიციზმი განსაცდელის უამს, ისეთ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა გავლენის სფერო დიდად სცილდება ლიტერატურის ფარგლებს. მართალია, პიროვნული ნაკლით ჰემინგუეიმ დიდი ზიანი მიყენა თავის შემოქმედებას, მაგრამ მისი საუკეთესო ქმნილებები ისეთივე ცხოველყოფილი და ანგარიშგასაწევი მოვლენაა, როგორც ფოლკნერისა და სკოტ ფიცჯერალდის შედეგები. მაშინაც კი, როცა მარცხი მოსდის, ჰემინგუეი შეგვახსენებს, რომ ხელშეკრულება ჯერ ცხოვრებასთან უნდა დადო და შემდეგ — ლიტერატურასთან.

1899 დაიბადა 21 ივლისს ოუკ პარკში ჩიკაგოსთან. კლარენს ე. ჰემინგუეისა და გრეის ჰოლის მეორე შვილი.

1917 ოუკ პარკის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჰემინგუეი მუშაობას იწყებს უმცროს რეპორტიორად „ჰანზას სიტის სტარ“-ში.

1918 შეერთებული შტატები ჩაებნენ მსოფლიო ომში. ჰემინგუეი ცუდი მხედველობის გამო ჯარში არ მიიღეს და იგი წითელი ჯვრის საველე ჰოსპიტალის სანიტრად ჩაეწერა. იტალიაში პიავენსთან დაჭრილისათვის დახმარების აღმოჩენისას დაიჭრა ფეხში. მილანის ჰოსპიტალში მოწყალების და — აგნეს ფონ კუროვსკი შეუყვარდა. დააჯილდოვეს იტალიისა და აშშ-ის მედლებით მამაცობისათვის.

1919 დაბრუნდა საშობლოში. შეხვდნენ როგორც გმირს. დელამისი სავეედურობს უსაქმურობის გამო. იწყებს სერიოზულად წერას.

1920 ხდება „ტორონტო სტარ“-ის რეპორტიორი. ჩიკაგოში რედაქტორობს კოოპერაციული მოძრაობის ჟურნალს. ცოლად ირთავს კელლი რინარდსონს და დეკემბერში მასთან ერთად პარიზში მიემგზავრება „ტორონტო სტარ“-ის კორესპონდენტად.

1923 შეეძინა ვაჟი. პარიზში დაიბეჭდა „სამი მოთხრობა და ათი ლექსი“.

1924 პარიზში დაიბეჭდა „ჩვენს დროში“, რომელიც შეაქო უღმუნდ უილსონმა. ეხმარება ფორდ მელოქს ფორდს „ტრანსატლანტიკ რივიუ“-ს გამოცემაში.

1925 დაიბეჭდა „ჩვენს დროში“ (კომერციული გამოცემა), რომელსაც ამერიკაში კრიტიკოსები დადებითად გამოეხმაურნენ.

1926 გამოიცა „ვაზაფხულის ნიღბები“ — ღვარძლიანი პაროდია მისი მეგობრის შერეულ ანდერსონის სტილზე. ოქტომბერში დაიბეჭდა „და აღმოხდების მზე“- (ბრიტანეთში „ფიესტა“-ს სახელწოდებით), რომელსაც დიდი კომერციული წარმატება და კრიტიკოსთა მოწონება ხვდა წილად.

1927 მოთხრობების კრებულმა „კაცები უქალებოდ“ განამტკიცა ჰემინგუეის ავტორიტეტი. გაყარა ჰედლის.

1928 ცოლად მოჰყავს პოლინ პფეიფერი და მასთან ერთად ბრუნდება ამერიკაში. დასახლდა კიი უესტში ფლორიდის შტატში. შეეძინა მეორე ვაჟი. პოლინის მძიმე მშობიარობა აისახა „მშვიდობით, იარაღ“-ში. მამამისმა, მძიმედ ავადმყოფმა, თავი მოიკლა.

1929 დაიბეჭდა „მშვიდობით, იარაღ“.

1929 „სიკვდილი ნაშუადღევს“ — წიგნი ხარების ბრძოლაზე. დიდი ეკონომიური დებრესიის პერიოდში მემარცხენე მწერლები ჰემინგუეის სოციალური საკითხების უგულებელყოფას საყვედურობენ.

1933 „გამარჯვებული არაფერს იგებს“.

1934 „აფრიკის მწვანე ბორცვები“.

1937 მემარცხენე კრიტიკოსები კმაყოფილებით შეხედნენ რომანს „ქონება თუ უქონლობა“ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეკონომიურად გატანჯული პიროვნების ჩვენებისათვის.

1937 ჰემინგუეი ჟურნალისტად მიემგზავრება ესპანეთში. თანაუგრძობს

ნობს სახალხო ფრონტს, თავის მტრულ დამოკიდებულებას ფრანკოსადმი გამოხატავს ფილმში „ესპანეთის მიწა“.

1938 ბეჭდავს მოთხრობების კრებულს, რომელშიც შევიდა პიესა „მეხუთე კოლონა“ და აფრიკულ შთაბეჭდილებათა მიხედვით შექმნილ მოთხრობებს: „ფრენისის მკომბერი“ „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“ და სხვ.

1940 ცოლად მოჰყავს მართა გელპორნი, ჟურნალისტი; მათი საბოლოო დაახლოება ესპანეთში მოხდა. სახლი კიი უესტში პოლინს დარჩა. თვითონ კუბაზე დასახლდა. რომანს „ვის უხმობს ხარი“ დიდი წარმატება ხვდა, მაგრამ კრიტიკოსები ჰემინგუეის მხატვრული ოსტატობის დაქვეითებას უჩივიან.

1941 მართასთან ერთად მიემგზავრება შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთ-იაპონიის ომზე სტატიების დასაწერად. მეორე მსოფლიო ომში ამერიკის ჩაბმისთანავე ჰემინგუეი საბრძოლოდ აღჭურავს თავის კატარდას კუბის ნაპირებთან სამოქმედოდ.

1944 მიემგზავრება ევროპაში სამხედრო კორესპონდენტად, მონაწილეობს ნორმანდიაზე გადმოსხმაში, მოხალისეთა რაზმთან ერთად შედის პარიზში. უსიამოვნება შეხვედა არასამხედრო პირის სტატუსის დარღვევისათვის. აჯილდოვებენ ბრინჯაოს ვარსკვლავით.

1945 შეუყვარდება ჟურნალისტი მერი უოლში, მართა ევრება ჰემინგუეის.

1946 იტალიაში აგროვებს მასალას წიგნისათვის —

1950 „მდინარის გაღმა ხეების ჩრდილში“, რომელსაც დიდი მო-

წონება არ ხვდა. შეღახული ავტორიტეტი აღიდგინა ნოველით –

1952 „მოხუცი და ზღვა“, რომელიც მილიონობით მკითხველმა ალტაცებით მიიღო.

1953 მიენიჭა ბულიცერის პრემია.

1954 მიენიჭა ნობელის პრემია. აფრიკაში ზედიზედ ორჯერ მოჰყვა საავიაციო კატასტროფაში. მიღებული კანტუნიის გამო ვერ ესწრება დაჯილდოებას სტოკჰოლმში. გატანჯულია საერთო ფიზიკური და ნერვიული მოშლილობით.

1960 წერს ვრცელ ნარკვევს ხარების ბრძოლაზე – „სახიფათო ზაფხული“, რომლის ნაწილი „ლაიფ“-ში დაიბეჭდა. ამავე დროს აერთიანებს ერთ წიგნად პარიზულ მოგონებებს – „მოძრავი დღესასწაული“. სამკურნალოდ მიდის საავადმყოფოში, მინესოტას შტატში.

1961 დასახლდა კეტჩუში აიდაპოს შტატში. სათანადო მკურნალობის მიუხედავად, ჯანმრთელობა გაუუარესდა. ფიზიკურად და ფსიქიურად მოშლილმა 2 ივლისს თავი მოიკლა.

ЭНТОНИ БЕРДЖЕС

Э. Хемингвей и его мир

(На грузинском языке)

Издательство «Мерани», пр. Руставели, 42
Тбилиси 1987

ს. ბ. 3604

რედაქტორი ც. ინწკირველი, მხატვარი ქ. ყოფიანი, მხატვრული რედაქტორი
ჯ. ზენაიშვილი, ტექრედაქტორი დ. რაზმაძე, კორექტორები: ე. ჩიკაშუა, რ. გო-
ციროძე. გამომშვები ნ. სავთასი.

ჩაბარდა წარმოებას 5.02.87 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 7.08.87 წ. ფორმატი
70×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი ოფსეტური. გარნიტურა აკადემიური. ბეჭდვა
ოფსეტური. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13,46. სააღრიცხვო-საგამომცემლო
ფურცელი 11,15. პირობითი საღებავგატარება 13,75

ტირაჟი 15.000 შუკვ № 560
ფასი 3 მან.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის 42. თბილისი, 1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქ-
მეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა,
მეგობრობის გამზ. № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственного коми-
тета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной тор-
говли, пр. Дружбы № 7.

